პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34, ტელეფონი № 8—81
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ. ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 13—80 ექსპედ. 5—48.

დღიური

- საკავშირო ცაკის სესია გაიხსნება 1927 წ. 31 იანვარს.
- საფრანგეთში იზრდება კომპარტიის გავლენა.
- გადადგა სამხრეთ - სლავიის საგარეო საქმეთა მინისტრი ნინჩიჩი.
- ლვოვში და კრაკოვში პურის მცხობლებმა გამოაცხადეს გაფიცვა.
- ბულგარეთის მთავრობამ გააძლიერა თეთრი ტერორი ოპოზიციონერთა წინააღმდეგ.
- საფრანგეთის დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისიის თავმჯდომარეთ აირჩიეს რადიკალი მალი.

ხუთშაბათი, 9 დეკემბერი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 282 (1737)

საცალო ფასების დაკლება

(„პრავდა“-ს მოწინავე წერილი)

ის მასალები, რომელიც მოგვეპოვება საცალო ფასების დაკლების კამპანიის მსვლელობის შესახებ, ჯერ კიდევ საშუალებას არ გვაძლევს ამომწურავი, გარკვეული მსჯელობა ვიქონიოთ მის შედეგებზე. ცალკე რაიონებში ჩვენ გვაქვს ფასების ერთგვარი დაკლება, რაც სოფლის ძირითად სავაჭრო აპარატზედაც ვრცელდება. მაგრამ ეს ფასების დაკლება საგრძნობი არ არის. სამომხმარებლო კოოპერაცია, რომელიც სამრეწველო საქონლის ძირითადი გამტარებელია, გვიჩვენებს, რომ უკანასკნელ ნახევარი წლის განმავლობაში მან დაახლოვებით 4—5 პროცენტით შესძლო ფასების დაკლება.

მაგრამ, წინააღმდეგ ამისა მთელი რიგი ფაქტები მოწმობენ იმასაც, რომ მთელ რიგ ქალაქებში ადგილი აქვს საცალო ფასების აწევას, ზოგიერთ ადგილას საფეიქრო ნაწარმოებზე, ზოგიერთ ადგილას ფეხსაცმელზე, ლითონზე და სხვა.

ამრიგად არსებული მასალებიდან უსაფუოდ შეგვიძლია გამოვიტანოთ ის დასკვნა, რომ პარტიის უმნიშვნელოვანეს დირექტივის შესრულება უაღრესად ნელი ტემპით და არათანაზომიერათ სწარმოებს. ფასების სხვადასხვაობა ცალკე რაიონებში დ სხვადასხვა საქონელზე მოწმობს იმას, რომ საქონლის გამტარებელ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ ვერ აუღიათ მტკიცე გეზი ფასების დაკლებისათვის. სჩანს, რომ ჩვენ მოვიკოჭლებთ აგრეთვე იმ ღონისძიებათა ჩატარების საქმეშიაც, რომლებმაც აუცილებლად უნდა მიგვიყვანოს საცალო ფასების დაკლებამდე.

ეს დაუდევრობა და ზოგჯერ საქონლის ნაკლებობით „ხელის მოთბობის“ სურვილი ბადებს აზრს, თითქოს უკვე მიღწეული იყოს „საზღვარი“ ღონისძიებათა გატარებაში და თითქოს შემდეგში გასაკეთებელი და გასაუმჯობესებელი აღარაფერი იყოს.

განა საჭიროა ლაპარაკი იმაზე, რომ ამგვარ შეხედულებას არავითარი საერთო არა აქვს პარტიის ხაზთან? ფასების დაკლება კვლავ რჩება ცენტრალურ ამოცანად, რომლის გადაჭრაზე დამოკიდებულია მუშათა რეალურ სამუშაო ხელფასის გადიდება და გლეხობის საარსებო ინტერესების დაკმაყოფილება. ამ საკითხში განუყოფელია ჩვენი მოსახლეობის დიდი უმრავლესობის ინტერესები და ბუნებრივია, რომ აქ პარტია ვერ დაუშვებს ვერავითარ შესუსტებას და მით უფრო დასახულ მიზნისაგან გადახვევას.

ფასების დაკლებას პარტია გადაჭრით გაატარებს ცენტრში და პერიფერიებში, როგორც სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერაციის, ისე სახელმწიფო მრეწველობის ხაზით. სახელმწიფო მრეწველობისადმი ეს კურსი უნდა გამოიხატოს შემდეგში: გადასინჯული უნდა იქნეს საბითუმო ფასები, უნდა მოწესრიგდეს ბითუმათ შემსყიდველებთან ანგარიშის გასწორების პირობები, გაძლიერებულ უნდა იქნეს მუშაობა ნაწარმოების თვით ღირებულების შესამცირებლად.

მაგრამ თავისთავად ცხადია, რომ საბითუმო ფასების დაკლება სახელმწიფო მრეწველობაში გამართლებულ იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარწმუნებული ვიქნებით, რომ სავაჭრო აპარატის მუშაობა მტკიცე და იაფი იქნება, რომ ფასების განსხვავება არ გაიხირება მოვაჭრე ორგანიზაციების არხებში ჯამაგირების გასადიდებელ ხარჯების დასაფარავად.

ვინაიდან განსხვავება საბითუმო და საცალო ფასებს შორის სამრეწველო საქონელზე ჯერ კიდევ გადიდების ტენდენციას იჩენს, მით უფრო გარკვევით და გადაუდებლად ისმება საცალო ფასების დაკლების ამოცანა. ამ ამოცანის შესრულებაზეა დამოკიდებული საცალო ფასების დაკლების წარმატება, ხოლო ორივეზე კი ბრძოლის წარმატება იმ მეორენაირ „მაკრატელის“ წინააღმდეგ, რომელსაც ქმნის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ფასების შეუფარდებლობა.

ამიტომ საცალო ფასების დაკლების კამპანია უფრო გაძლიერებით უნდა იქნეს წარმოებული. ამასთან ერთად ეს კამპანია უფრო მეტად უნდა იქნეს დაკავშირებული საქონლის გამტარებელ ქსელის რაციონალიზაციის ამოცანებთან. ფასების დაკლება თვით იმ შემთხვევაშიაც, როცა ეს ამა თუ იმ სახით მიღწეულია, ვერ იქნება მტკიცე თუ ის არ გამომდინარეობს ვაჭრობის მეთოდების გაუმჯობესებიდან, შუამავალ ორგანოების გამარტივებიდან და საერთოდ მოვაჭრე ორგანიზაციების განმტკიცებიდან.

რასაკვირველია ფასების დაკლება არ შეიძლება გადაიდოს სავაჭრო აპარატის სრული გაჯანსაღების მიღწევამდე. ორივე ამოცანა—ფასების დაკლება და აპარატის რაციონალიზაცია—უნდა ავიღოთ ერთ და იმავე დროს, ერთმანეთთან დაკავშირებით და შეუდგეთ მათ დაუყოვნებლივ და გადაუხვევლად შესრულებას.

წარმატებები, რომელიც ჩვენ გვაქვს კერძო კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში, შეგვიძლია შემდეგში განვავითაროთ მხოლოდ საქონლის გამტარებელ ქსელის გაიაფებით და საცალო ფასების დაკლებით. ეს პირობა კარგად უნდა გვახსოვდეს. მსხვილ და საშუალო საბითუმო ფასების დარგში ჩვენ შედარებით მეტი მიღწევები გვაქვს. სუსტ ადგილათ რჩება საცალო ფასები. კერძო საცალო ვაჭრობა საშიშია არა მარტო თავისთავად, როგორც ზღუდე, რომელიც მომხმარებელს აშორებს სახელმწიფო მეურნეობას, არამედ აგრეთვე, როგორც კერძო ბითუმათ მოვაჭრის მოსამზადებელი წყარო. მუშათა კლასის და გლეხობის სალად გაგებული ინტერესები, მუშების და გლეხების კავშირის ინტერესები, გვიკარნახებს ჩვენ დავიპყროთ საცალო ვაჭრობა საცალო ფასების შეუჩერებლად დაკლების საშუალებით.

მოსკოვი, 8 დეკემბერი.

კოოპერატიულ მუშაკთა მომზადება და გამოყენება

კოოპერატიული აპარატის თვისობრივ გაუმჯობესებას და მომზადებულ მუშაკების შერჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს კოოპერაციის გაჯანსაღებისა და გაძლიერებისათვის. კოოპერატიულ ცოდნით აღჭურვილ პირთა ნაკლებობა კოოპერატიულ ორგანოებში ჩვენი კოოპერაციის სისუსტის ერთი უმთავრესი მიზეზია. მრავალი კოოპერატივი დაიღუპა უმთავრესად მომზადებულ ხელმძღვანელთა უყოლობის და წევრთა შორის კოოპერატიული თვითშეგნების სისუსტის გამო.

კოოპერატიული მუშაობა რთულ სამეურნეო საქმიანობას წარმოადგენს, რომლისთვისაც საჭიროა სათანადო ნიჭიც, ცოდნაც და გამოცდილებაც. ასეთი პირები კი ჩვენში საკმაოდ არ მოიპოვება და საჭირო შეიქმნა უკანასკნელ წლებში კოოპერატიულ განათლებისთვის შესაფერისი ყურადღების მიპყრობა.

გარდა საშუალო სასწავლებლებში და უნივერსიტეტში სპეციალური კოოპერატიული განხრის შემოღებისა საჭირო გახდა სპეციალური კოოპერატიული კურსების მოწყობა. ასეთი კურსები 1924 წ. სექტემბერში მოეწყო ცეკავშირის და წარმოკავშირის ინიციატივით. პირველად ეს კურსები სამთვიანი ყო, შემდეგ კი ის 7 თვიანი შეიქმნა და ამ ჟამადაც მოქმედობენ.

პირველი ორი წყება სამთვიანი კურსები გაიარა 240 მსმენელმა, წარსული წლის 7 თვიანი კურსებიც გაიარა 65 კაცმა. ამნაირად ხსენებული კურსები უკვე 300 მსმენელზე მეტმა დაამთავრა და მათი უმრავლესობა ამ ჟამად ჩაბმულია კოოპერატიულ საქმიანობაში და, როგორც სჩანს, ამან დადებითი შედეგებიც მოიტანა განსაკუთრებით ზოგიერთ რაიონებში.

ამ ჟამად მომქმედ კოოპერატიულ კურსებზე ირიცხება 82 მსმენელი, რომელთა დიდი უმრავლესობა გამოგზავნილია ძირითად სამომხმარებლო კოოპერაციის ქსელიდან. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერაცია ნაკლებ თვითმოქმედობას იჩენს, თუმცა მომზადებულ მუშაკთა სიმცირე კოოპერაციის ამ დარგში უფრო შესამჩნევია. კურსებ დამთავრებულთა გამოყენებასაც უმეტესი ყურადღება სამომხმარებლო კოოპერაციის მიერ ექცევა და საზოგადოთ ამ საქმის მთავარი იდეურ ხელმძღვანელს ცეკავშირი წარმოადგენს, თუმცა მიმდინარე სამოსწავლო წლიდან ხსენებული კურსები საქართველოს კოოპერატიული საბჭოს გამგებლობის ქვეშ იმყოფება.

სამწუხაროდ საქართველოს კოოპერატიულ მუშაკთა მოსამზადებელი კურსები მატერიალურად ვერ არიან უზრუნველყოფილი: მსმენელები იხდიან გადასახადს პანსიონით 350 მან. და გარეშე მოსიარულეები 120 მან. ამის გამო კოოპერატიული განათლების მიღების მრავალი მსურველი კურსების გარეშე რჩება, ბევრსაც უსახსრობის გამო შუა წელიწადში უხდება სწავლის შეწყვეტა. ესვე მიზეზი უშლის ხელს კურსების პროგრამის სავსებით გავლას და შეთვისებას. აუცილებლად საჭიროა ამ მხრივ სათანადო ორგანოების ყურადღება. და თუ კოოპერატიული ცენტრები მოისუსტებენ ფინანსიურად და ვერ შესძლებენ კურსების ხარჯების დაფარვას, რომელიმე სხვა წყაროებიდან იქნებ მაინც გამოინახოს საამისო საშუალებანი. მომავალში კი შენახვა ასეთი კურსებისა, სადაც სწარმოებს ყველა სახის კოოპერაციის მუშაკთა მომზადება, თვით კოოპერაციამ უნდა იკისროს და გამოყოს ამისთვის შესაფერი საშუალებანი და ძალები.

კოოპერატიული განათლებისთვის ჯეროვანი ყურადღების მიქცევა თვით კოოპერაციის ინტერესებიდან გამომდინარეობს. კოოპერატიული აპარატის ღირსების ამაღლება და გაუმჯობესება და კოოპერატიულ მუშაკთა ყოველწლიური ბუნებრივი დანაკლისის შევსება უმთავრესად კოოპერატიული სკოლებში სწავლა დამთავრებულ ახალგაზრდობიდან უნდა სწარმოებდეს. კურსებ გავლილ ახალგაზრდობის გამოყენებაზე უნდა იზრუნონ როგორც კოოპერატიულმა ცენტრებმა, აგრეთვე კოოპერაციამ, ყველა სახის ძირითადმა კოოპერაციამ. აღსანიშნავია, რომ, თუ ზოგიერთი კოოპერატივები ხალისით იწვევენ და აბამენ თავის საქმიანობაში ახალგაზრდა კოოპერატორებს, ისეთი კოოპერატორებიც მოიპოვებიან, რომლებიც მათ ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ დაწესებულებებს ავსებენ შემთხვევითი ხალხით, რომლებსაც არც კოოპერატიული ცოდნა და არც საზოგადოებრივი ნდობა მოეპოვებათ. ასეთი შემთხვევითი ხალხი კი კოოპერატიულ საქმიანობას წინ ვერ წასწევს და ვერც გლეხობის და საზოგადოთ კოოპერაციის წევრთა თვითშეგნების ზრდას შეუწყობს ხელს.

ამიტომაც კოოპერატიულ-საგანმანათლებლო მუშაობასთან ერთად უნდა სწარმოებდეს ახალგაზრდა კოოპერატორების ჩაბმა კოოპერაციის საქმიანობის სხვადასხვა დარგში. ამით საშუალება მოგვეცემა ვაწარმოოთ კოოპერატიული აპარატის შერჩევა და გაუმჯობესება.

მიუხედავათ მრავალი დაბრკოლებებისა საერთოდ ჩვენი კოოპერაცია თანდათანობით იზრდება და ფართოვდება. კოოპერაციის მნიშვნელობის ზრდასთან ერთად ბუნებრივათ იზრდება კოოპერატიული აპარატიც, რომლის სათანადო დონეზე დგომას დიდი მნიშვნელობა აქვს კოოპერაციის მომავლისთვის. კოოპერაციის კულტურულ-განმანათლებელი მუშაობით პირველად ყოვლისა კოოპერატიული აპარატის გაუმჯობესებას უნდა მივაღწიოთ.

S.

სამთამადნო რაიონ. გრძელდება საკონფლიქტო მდგომარეობა

პოლონეთი სამოქალაქო ომის მოლოდინში.—ბრძოლა პოლონეთის ფაშისტებს შორის

დმოვსკის ფაშისტური ჯგუფი ემსადება პილსუდსკის ჩამოსაგდებათ

ჩინეთის რეაქციონერები განაგრძობენ გომინდანის წევრების დევნას

ინგლისის მუშების ბრძოლა

კვლავ გაფიცვა

ლონდონი, 7 დეკემბერი. მუშაობის განახლების შემდეგ პირველი გაფიცვა დაიწყო კენტში, ტილმანსტანის მაღაროში, სადაც 700 მემაღაროემ გაფიცვა გამოაცხადა იმის გამო, რომ მაღაროების მეპატრონეებმა დაითხოვეს სამი უფროსი მუშა. (ადს).

შეთანხმების შედეგები

ლონდონი, 8 დეკემბერი. ქვა-ნახშირის რაიონებში უკვე დაიწყო გაუგებრობანი მაღაროს მეპატრონეებსა და მემაღაროებს შორის, რომლებმაც საარაიონო შეთანხმებათა საფუძველზე განაახლეს მუშაობა. გაუგებრობანი წარმოიშვა მემაღაროეთა სამუშაოზე უკან მიღების საკითხში. ზოგიერთმა მაღაროს მეპატრონეებმა უარი უთხრეს მემაღაროეთა წარმომადგენლებს, რომ განეხილათ მემაღაროეთა უკან დაბრუნების საკითხი. (ადს).

მაკდონალდის შეკითხვა და რეზოლიუცია

ლონდონი, 8 დეკემბერი. მაკდონალდმა თემთა პალატაში შეიტანა შეკითხვა: განიხილა თუ არა მთავრობამ საკითხი ამნისტიისა იმ პირთათვის, რომელნიც დასჯილნი იყვნენ მემაღაროეთა გაფიცვის პერიოდში.

ბოლდუინმა უპასუხა, რომ მთავრობას არ აქვს განზრახვა მსჯელობა იქონიოს გამოტანილ განაჩენების შესახებ.

მაკდონალდმა შეიტანა რეზოლიუცია, რომელიც გაკიცხვას უცხადებდა მთავრობას იმ პოზიციის გამო, რომელიც მას ეჭირა ქვა-ნახშირის მრეწველობაში მომხდარი კონფლიქტის დროს. (ადს).

მოღალატეები

ლონდონი, 7 დეკემბერი. „ვესტმინსტერ გაზეტ“ მართავს საუზმეს, რომელმაც „უნდა გააერთიანოს მრეწველობაში მშვიდობიანობის მომხრენი“. ამ საუზმეს დიდ ფინანსისტებს, კომერსანტებს, მრეწველებს და მთავრობის წარმომადგენლებს გარდა, დაესწრებიან რკინისგზელთა კავშირის მდივანი **კრემპი** ფეიქართა კავშირის თავმჯდომარე, გენერალურ საბჭოს წევრი **ბენ ტერნერი**, რკინისგზების და კანტორების მოსამსახურეთა ასოციაციის მდივანი **უომდენი** ნოტინჰემშირის მემაღაროეთა ფედერაციის მდივანი **ვარლი**, მემაღაროეთა ინტერნაციონალის მდივანი **ხოჯესი** და სხვ. (ადს).

უმუშევარ მემაღაროეთა რიცხვი იზრდება

ლონდონი, 8 დეკემბერი. უკანასკნელი ცნობით, სამუშაოებზე დაბრუნებულ მემაღაროეთა რიცხვი შეადგენს—800.000, ყოველ შემთხვევაში არა უმეტესს—900.000-სა. აპრილის თვეში კი მაღაროების სამუშაოებზე იყო—1.100 ათასი მუშა, ხოლო უმუშევარ მემაღაროეთა რიცხვი კი შეადგენდა მაშინ—100.000. ამგვარათ, მაღაროების მეპატრონეთა წინადადების მიღება იწვევს უმუშევარ მემაღაროეთა რიცხვის გადიდებას—300.000-მდე. შრომის მინისტრმა განკარგულება გასცა, რომ უმუშევარ მემაღაროებს არ მიეცეთ დახმარება მანამდე, ვიდრე მაღაროებში მუშაობა სავსებით არ გაფართოვდება.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

სავაჭრო ურთიერთობა იაპონიასთან

ხარბინი, 7 დეკემბერი. უკანასკნელ ხანებში იაპონიის სავაჭრო წრეები დიდ ინტერესს იჩენენ საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის საქმიანობისადმი ჩრდილოეთ მანჯურიაში. იაპონიის სავაჭრო და ფინანსიური წრეების გამოჩენილმა წარმომადგენლებმა ინახულეს სავაჭრო სრულუფლებიან წარმომადგენლობის რწმუნებული ხარბინში. „ჩოოენბანკის“ გამგეობის წევრი ტოკიოში **ხასიმოტო**, ქვედა პალატის წევრი მოშიამა დაინტერესებული არიან საბჭოთა კავშირისათვის ადგილობრივ იაპონურ ფირმებისაგან საქონლის შესყიდვის შესაძლებლობით და ფინანსიურ დახმარებას პირდებიან იაპონიაში ვლადივოსტოკით საქონლის ექსპორტის ოპერაციებს. (ადს).

ინგლისის სავაჭრო ბანკის განცხადება

ლონდონი, 8 დეკემბერი. ინგლისის საგარეო ვაჭრობის ბანკის გამგეობის თავმჯდომარე **კრიპსმა** ბანკის წევრთა ყოველდღიურ კრებაზე განაცხადა: რუსეთის ფასიანი ქაღალდების ინგლისელმა მეპატრონეებმა უნდა შეიგნონ, რომ არ არის სწორი მათი მოსაზრება, **თითქოს რუსეთის მიერ თავის წინანდელ ვალდებულებათა შეუსრულებლობა მუდამ დააბრკოლებს საკრედიტო შეღავათების მიღებას რუსეთისათვის ინგლისის მხრივ.**

ეკონომიური კრიზისი საფრანგეთში

კრიზისის ნიშნები

პარიზი, 7 დეკემბერი. წინააღმდეგ პუანკარეს განცხადებისა, რომ საფრანგეთში არ არის ეკონომიური კრიზისის ნიშნები, საფრანგეთის საქმიან წრეებში სულ სხვაგვარი შეხედულების არიან. **კრიზისის ნიშნები სჩანს არა მარტო ვაჭრობის დარგში. მცირდება აგრეთვე წარმოებაც. ფუფუნების საგნების დამამზადებელ წარმოებებმა პარიზში დაითხოვეს 15.000 მუშა. წარმოებას ამცირებენ აგრეთვე აბრეშუმის, ფეხსაცმელების და ბამბეულის ფაბრიკები.** მძიმე ინდუსტრია ჯერ-ჯერობით თუმცა ძველებური ტემპით მუშაობს, მაგრამ **ახალი დაკვეთების რაოდენობა, როგორც იუწყებიან, მრეწველობის ამ დარგშიაც ეცემა.** მძიმე ინდუსტრიის პრესა არ ფარავს, რომ **კრიზისი ნაწილობრივ უკვე დაიწყო, მაგრამ თავს ინუგეშებს იმით, რომ კრიზისის შედეგათ მოხდება წარმოების კონცენტრაცია და რაციონალიზაცია.** (ადს).

კომუნისტური გავლენის ზრდა

პარიზი, 7 დეკემბერი. დამატებითი საპარლამენტო არჩევნებში ნევრის დეპარტამენტში (ლითონის ქარხნები, მეღვინეობა და სხ.) რეაქციონურ პარტიის კანდიდატმა ლომეფმა მიიღო 25.000 ხმა, კომპარტიის კანდიდატმა ბაინმა 14.000 ხმა. 1924 წლის არჩევნებზე კომპარტიის კანდიდატმა ნევრის დეპარტამენტში მიიღო 9.000 ხმა. (ადს).

პოლონეთი სამოქალაქო ომის წინ

ამერიკელებს ეპატიჟებიან

ვარშავა, 7 დეკემბერი. პოლონური გაზეთები ავრცელებენ ხმებს, რომ უკანასკნელ ხანებში სწარმოებს მოლაპარაკება პოლონეთის მთავრობასა და ამერიკელ კაპიტალისტებს შორის ამ უკანასკნელთა მონაწილეობის შესახებ პოლონეთის მრეწველობაში. ეს ხმები გავრცელდა ვარშავაში „ბენკერს ტრესტი“-ს წარმომადგენელის ტომკინსის ჩამოსვლის გამო. ტომკინსი ზემო სილეზიაში გაემგზავრა. **ჯერ-ჯერობით არავითარი გარკვეული ცნობები არ არის ამერიკელ კაპიტალისტების მიერ პოლონეთისათვის სესხის მიცემის შესახებ.** (ადს).

ფაშისტები ემზადებიან

ვარშავა, 7 დეკემბერი. „დიდი პოლონეთის ბანაკის“ ყრილობის დახურვის შემდეგ, დმოვსკიმ, პრესის წარმომადგენლებთან საუბარში, განაცხადა შემდეგი:

„დიდი პოლონეთის ბანაკის მოწყობას არა აქვს მიზნად აქტიური ბრძოლის წარმოება ან და პილსუდსკის მთავრობის დამხობა. ყოველ შემთხვევაში ბანაკი მზად უნდა იყოს მოულოდნელ შემთხვევებისათვის. თუ დღევანდელი მთავრობა იძულებული გახდება გადადგეს მთელი რიგ დამარცხებათა მიზეზით, ამ შემთხვევაში ბანაკი მზად უნდა იყოს თავის ხელში სახელმწიფოს მმართვა-გამგეობის ასაღებად“.

ნაციონალურ მუშათა პარტიის ორგანო სწერს: „დმოვსკი იწყებს ფაშისტურ ელემენტების გაერთიანებას სწორედ იმ დროს, როცა აშკარა გახდა პილსუდსკის ბანაკში მათი გადასვლის ლტოლვა“.

„დიდი პოლონეთის ბანაკის“ პოზნანის ყრილობის საწინააღმდეგოთ „პრავიცა ნაროდოვის“ ორგანიზატორი, პილსუდსკის მომხრე **რაძივილი** მიემგზავრება კრაკოვში „პრავიცას“ ვარშავის კომიტეტის გამოჩენილ წევრთა თანხლებით. კრაკოვში გაიმართება რაძივილისა და მასთან ერთად ჩამოსულ ცნობილ მოღვაწეთა თათბირი „პრავიცა ნაროდოვის“ კრაკოვის მოღვაწეებთან. ეს თათბირი ორ დღეს გაგრძელდება.

პრესის წარმომადგენლებთან საუბარში რაძივილმა განაცხადა, რომ პოლონეთი უკვე შევიდა გარდამავალ პერიოდში, და ეს პერიოდი ჩვენ რაც შეიძლება ხანმოკლე უნდა გავხადოთ. ამიტომ „პრავიცა ნაროდოვა“ მზად არის ყოველმხრივ დაეხმაროს მთავრობას.

რაძივილი ფიქრობს, რომ საზღვარ-გარეთელ კაპიტალის დაუხმარებლად პოლონეთის სახალხო მეურნეობა საკმაოდ ვერ მოიმაგრებს ფეხს. (ადს).

სოლიდარობის გაფიცვა

ვარშავა, 7 დეკემბერი. ლვოვისა და კრაკოვის პროფორგანიზაციებმა გაფიცულ პურის მცხობელთა სოლიდარობის ნიშნად გამოაცხადეს გაფიცვა. (ადს).

ფაშისტები „მუშაობენ“

ვარშავა, 7 დეკემბერი. ვარშავაში მიღებული ცნობებით, ბელორუსიის გრომადის' რაიონული ორგანიზაციის ყრილობას სოფელ სტარო-ბერიოზაში (ბელსკის მაზრა) კვირას თავს **დაესხა შეიარაღებული ბანდა.** ცხენოსანი და ფეხოსანი პოლიციის დახმარებით, რომლებმაც ალყა შემოარტყეს სოფელს ბანდა შეიჭრა ქოხში, სადაც სხდომაზე იმყოფებოდა ყრილობის 120 მონაწილე და დაუწყო ცემა მათ. დაჭრილია ბელორუსიელი დეპუტატები—მეტლა და ვოლოშინი. **დეპუტატებს გარდა დაჭრილია ყრილობის 50 მონაწილე.**

პოლიციის რაზმი, რომელმაც ალყა შემოარტყა სოფელს და რომელმაც უშუალო მონაწილეობა მიიღო ყრილობის დელეგატების ცემაში, შეიარაღებული იყო ტყვიის მფრქვეველებით. ეს პირველი შემთხვევა არა ბელორუსიის გრომადაზე თავდასხმისა. (ადს).

დმოვსკი პილსუდსკის წინააღმდეგ

ვარშავა, 7 დეკემბერი. „პოლონეთის ახალგაზრდათა ორგანიზაცია“ შეუერთდა დმოვსკის მიერ მოწყობილ „დიდი პოლონეთის ბანაკს“.

გაზეთი „პშეგლონდ“ **აცხადებს, რომ ერთმანეთს დაუპირდაპირდა ორი ბლოკი. გაზეთის აზრით, „დიდი პოლონეთის ბანაკის“ შექმნა ნიშნავს სამოქალაქო ომის სტაბილიზაციას პოლონეთში.**

ნაციონალურ მუშათა პარტიის ორგანო „ცლოს პოდზენი“ სწერს:

„ერთმანეთის წინააღმდეგ სდგანან დმოვსკის და პილსუდსკის გაერთიანებანი. ორივე ბანაკს ერთმანეთთან დიდი მსგავსება აქვს, როგორც ერთი, ისე მეორე პოლიტიკურ გაერთიანებას წარმოადგენს; მათ ემხრობიან სულ სხვადასხვა ჯურის ელემენტები დაწყებული სოციალისტებიდან გათავებული ფაშისტებით. **პილსუდსკიმ მაისში იერიში მიიტანა დმოვსკიზე. ეხლა დმოვსკი ძალებს კრებს იმისათვის, რომ იერიში მიიტანოს პილსუდსკიზე“.** (ადს).

დმოვსკის ძალები

ვარშავა, 7 დეკემბერი. ირკვევა, რომ დმოვსკის ჯერ-ჯერობით ემხრობიან ნაციონალ-დემოკრატები და დომბროვის მრეწველთა ჯგუფი. (ადს).

ნინჩიჩი გადადგა

ვენა, 7 დეკემბერი. გადადგა სამხრეთ-სლავიის გარეშე საქმეთა მინისტრი ნინჩიჩი. (ადს).

ხიკსი „დაიღალა“

ლონდონი, 7 დეკემბერი. ავადმყოფობის გამო ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრი ხიკსი მიდის შვებულებაში. ხიკსის შვებულების დროს შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობას შეასრულებს ინდოეთის საქმეთა მინისტრი ბირკენხედი. (ადს).

ყვითელ პროფკავშირთა

ყრილობაზე

სტოკჰოლმი, 7 დეკემბერი. სკანდინავია-ბალტიის პროფკავშირთა ყრილობაზე ფინეთის დელეგაციის წარმომადგენელმა ხასტიკი პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ საკავშირო ცენტრალური პროფსაბჭო არ იქნა მოწვეული კონფერენციაზე, მიუხედავათ იმისა, რომ ფინეთის პროფკავშირთა საბჭომ წამოაყენა ეს მოთხოვნილება. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ჩინეთის თავისუფლების დაცვის მუშათა საბჭო

ლონდონი, 8 დეკემბერი. ლონდონის პროფკავშირთა წარმომადგენლების კრებამ დაადგინა მოაწყოს „ჩინეთის თავისუფლების დაცვის ინგლისელ მუშათა საბჭო“.

ლატვიის მთავრობის გადადგომა

რიგა, 8 დეკემბერი. ლატვიის მთავრობის სახელით მთავრობის თავმჯდომარემ პრეზიდენტს წარუდგინა თხოვნა გადადგომის შესახებ. თხოვნა შეწყნარებულია. მთავრობის გადადგომა გამოიწვია სოციალ-დემოკრატების მიერ წარდგენილ რეზოლიუციის მიღებამ, სადაც გამოთქმულია უნდობლობა მთავრობისადმი, და შეკითხვამ, თუ რატომ არ არის დღემდე გამოცვლილი ფინანსთა მინისტრი.

ამხ. ვლადიმირსკის დანიშვნა

მოსკოვი, 8 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა დანიშნოს ამხ. ვლადიმირსკი სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის პირველ მოადგილეთ.

მალვის არჩევა

პარიზი, 7 დეკემბერი. რადიკალი მალვი არჩეულია დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისიის თავმჯდომარეთ. (ადს).

საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა ყრილობა

მოსკოვი, 8 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა ყრილობის 8 დეკემბრის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი **ტომსკის და დოგადოვის** მოხსენებათა გარშემო.

სამხრეთ სლავიის მთავრობის გადადგომა

ვენა, 8 დეკემბერი. საგარეო საქმეთა მინისტრის გადადგომის გამო, სამხრეთ-სლავიის მთავრობის მთელმა შემადგენლობამ გადასწყვიტა განუცხადოს მეფეს მთავრობის გადადგომის შესახებ.

სამხრეთ სლავიის ახალი მთავრობა

ვენა, 8 დეკემბერი. სამხრეთ სლავიის მეფემ უზუნოვიჩს დაავალა ახალი მთავრობის შედგენა. მთავრობის შემადგენლობის შესახებ ჯერ არავითარი ცნობა არ არსებობს. (ადს).

ინგლისის კრეისერი გონკონგში

ლონდონი, 8 დეკემბერი. კოლომბოიდან (ცეილონი) ინგლისის კრეისერი გაემგზავრა გონკონგში (ადს).

კერჟენცევის უკანვე გამოწვევა

რომი, 7 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა იტალიაში კერჟენცევმა გადასცა მეფეს გაწვევის სიგელი.

ბრძოლა ჩინეთში

გადამწყვეტი ბრძოლის წინ

ხარბინი, 7 დეკემბერი. მუკდენიდან გირინში სასწრაფოდ გაემგზავრა გირინის გუბერნატორი ჩუან-ცზო-სიანი, ჩუან-ცზო-სიანმა გასცა ბრძანება გირინში მყოფი მე-15 დივიზიის გასვლის შესახებ სამხრეთისაკენ.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ მუკდენის ჯარები, რომლებიც ამჟამად იცავენ პეკინს და მუკდენის რკინის გზას, მალე დაიძრებიან სამხრეთით კანტონის არმიასთან ბრძოლის მიზნით, და ამიტომ მუკდენის გზის დაცვა დავალებული აქვს გირინის არმიას. (ადს).

გომინდანელების დევნა გრძელდება

პეკინი, 7 დეკემბერი. **გრძელდება** გომინდანელების დაპატიმრება ტიანძინში. უკანასკნელი კვირის განმავლობაში კიდევ დაპატიმრებულია 13 კაცი, მათგან რამდენიმე ქალია. როგორც სჩანს **დაპატიმრება სწარმოებს იმ სიების მიხედვით, რომელიც ჩაიგდეს ხელში გომინდანის ადგილობრივი კომიტეტის გაჩხრეკის დროს.** ზოგიერთი გომინდანელები დაპატიმრებულ იქნენ ჩინეთის სამხედრო ხელისუფლების მიერ საფრანგეთის კონცესიის ტერიტორიაზე. ყველა დაპატიმრებულნი გადაეცა ჩინეთის ადმინისტრაციას, რომელნიც ახდენს გამოძიებას. ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია, თუ რა ბედი ეწვიათ პირველად დაპატიმრებულ 14 გომინდანელს!

დაიხურა ჩინური გაზეთი „მინ-ჩუნ-ვენ-ბაო“, რომლის რედაქცია საფრანგეთის საკონცესიო ტერიტორიაზე იმყოფებოდა. გაჩხრიკეს სხვა ჩინური გაზეთების რედაქციებიც. გომინდანის შანხაისა და ჩჟილის ორგანიზაციებმა გაუგზავნეს პროტესტი ინგლისის ელჩს პეკინში და ინგლისის კონსულს ტიან-ძინში დაპატიმრებულ გომინდანელების მუკდენის ხელისუფლებისათვის გადაცემის წინააღმდეგ. (ადს).

ჩან-ძო-ლინმა „აკრძალა აგიტაცია“

ხარბინი, 7 დეკემბერი. მუკდენიდან იუწყებიან, რომ ჩან-ძო-ლინმა ტიან-ძინში გაგზავნა დეპეშა, რომლითაც უბრძანებს ყველა სამოქალაქო და სამხედრო დაწესებულებებს, ქვეყანაში მშვიდობიანობის დაცვის მიზნით, გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოონ წითლების აგიტაციის წინააღმდეგ. (ადს).

მგელი ცხვრის ქურქში

პეკინი, 7 დეკემბერი. ჩინეთის სავაჭრო პალატის კრებაზე შანხაიში ინგლისის ელჩმა **ლემპსონმა** განაცხადა:

„ჩინეთში შექმნილი ქაოსი დიდ ზარალს აყენებს უფრო ჩინეთის, ვიდრე ინგლისის ვაჭრობას. არავითარ ინტერვენციაზე ინგლისის მხრივ ჩინეთში არ შეიძლება ლაპარაკი, პირიქით—ინგლისი მზად არის დაეხმაროს ჩინეთს“. (ადს).

რემედასის მოწოდება

მოსკოვი, 8 დეკემბერი. ტიან-ცზინში მომხდარ დაპატიმრებათა გამო რემედასის აღმასკომმა მოწოდებით მიმართა მთელი ქვეყნის მშრომელთ: „ყოველ წუთში უნდა ველოდეთ, ნათქვამია მოწოდებაში, რომ რევოლიუციონური ჩინეთის 27 მებრძოლს ეწვევა იგივე ბედი, რაც ეწვია ჩინეთის ხალხის მრავალ ათას შვილს, რომელნიც აწამეს ან სიკვდილით დასაჯეს ჩინეთის მილიტარისტებმა და კონტრ-რევოლიუციონურმა ბანდებმა. ბრძოლა 27 გომინდანელის გადასარჩენად არის ბრძოლა იმისათვის, რომ ჩინეთის მშრომელ ხალხს მიეცეს არსებობის უფლება. საერთო პროტესტით დააშვებინეთ ხელები ძირს ჯალათებს, რომელთაც სურთ 27 მებრძოლის სიკვდილით დასჯა. (ადს).

თეთრი ტერორი

ვენა, 7 დეკემბერი. **25 ნოემბერს ღამით ჟანდარმების და პოლიციის ძლიერმა რაზმმა ალყა შემოარტყა ქალაქ სამოკავს ბულგარეთში არალეგალურად მცხოვრებ პირების დასაპატიმრებლად.** ქალაქი ალყა შემორტყმული იყო დილის 10 საათამდე. გაჩხრიკეს ყველა ბინები და ყველა მოქალაქე. მოხდა მასიური დაპატიმრება. **აპატიმრებდენ უმეტესად მუშებს და ხელოსნებს.** (ადს).

რუმინეთში

ვენა, 7 დეკემბერი. ჩეხიის დამოუკიდებელ პროფკავშირთა დელეგატი **ვიტურკა**, რომელიც ბუქარესტში ჩავიდა რუმინეთის მელითონეთა უნიტარულ კავშირის ყრილობაზე დასასწრებლად, რამდენიმე დღის შემდეგ **დააპატიმრეს და გადაასახლეს რუმინეთიდან.** (ადს).

კრასინი

(წერილი ინგლისიდან)

„კრასინი მოკვდა!“

თავზარდამცემია ეს სიტყვები, რომლებიც დიდი ასოებით იბეჭდება გაზეთებში. მე ვიცოდი რომ ის ავად, მძიმე ავად იყო, მაგრამ მაინც ვიმედოვნებდით, რომ მისი მაგარი აგებულება ერთხელ კიდევ გაუძლებდა იერიშს. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაშიც ყველას ჰქონდა ამის იმედი, ყოველ შემთხვევაში ასეთი მოსწრაფებული სიკვდილი ყველასათვის მოულოდნელი იყო.

მე ვიცნობდი კრასინს 1920 წლიდან, როცა ის მოვიდა ლონდონში სავაჭრო დელეგაციის თავმჯდომარედ. მისმა სასტიკმა, მაგრამ თავდაჭერილმა გამომეტყველებამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. მე მასში ვიპოვე მოსიყვარულე, გულთბილი და გულგახსნილი ამხანაგი. მას შეეძლო რთული, ძნელად გადასაჭრელ საკითხების გადაწყვეტა არაჩვეულებრივის სისწრაფით. მისი თვალები გონივრულად ბრწყინავდენ, ხანდახან კი მათში გაიელვებდა მწარე ირონია.

მისი დაუშრეტელი ნიჭი ორგანიზატორის, კომერსანტის და ადმინისტრატორის ახერხებდა ათასგვარ მძიმე დაბრკოლებათა დაძლევას, ახერხებდა ათასგვარ სიძნელეთა გადალახვას, რომელიც ეღობებოდა მას წინ „ფორეინ ოფისის“ (ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრო) დიპლომატების და სიტის ფინანსისტების ხრიკების წყალობით.

მე მახსოვს ის, მისი მოღვაწეობის ამ უძნელეს პერიოდში. ის მიიწევდა წინ დიდის წინდახედულობით ათასგვარ სიძნელეთა შორის. მისი საქმიანობა შეუწყვეტელი, მისი გონება დაუღრგომლად მომქმედი იყო; ის ყოველთვის მზად იყო წარმოედგინა ახალი გეგმა, თუ კი წინანდელი უარყოფილ იქნებოდა; ის ყოველთვის უწევდა ანგარიშს იმ მტრულად განწყობილ ატმოსფერას, რომელშიაც მიმდინარეობდა მისი მუშაობა. მის მუშაობაში იყო მომენტები ძლიერ დაძაბულობის, სადაც დიდის გულმოდგინებით ნაკეთები საქმე ეს-ეს იყო უნდა დაფუშულიყო, როცა ლოიდ ჯორჯი ამუქრებოდა ყველაფრის ჩაშლით.

მაგრამ, კრასინმა მიაღწია დასახულ მიზანს და ხელი მოაწერა ინგლის - რუსეთის სავაჭრო ხელშეკრულებას, რომლითაც ცნობილ იქმნა საბჭოთა რუსეთის სუვერენული უფლებები.

რუსეთის მუშების და გლეხების მიმართ კაპიტალისტების მხრით საშინელი სიძულვილის პირობებში ხელშეკრულების დადება უდიდესი გამარჯვება იყო. ლონდონიდან გამგზავრების შემდეგ მე არ მქონია შემთხვევა მისი შეხვედრისა. ხოლო როცა მე ის კვლავ ვნახე ამ რამოდენიმე კვირის წინად. მან ჩემზე მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. ის საგრძნობლად მოხუცებულიყო. განმანადგურებელ სენს თავისი კვალი დაეჩინა. მისი თვალები კვლავ გონივრულად აშუქებდენ, ის კვლავ ცოცხლად გამოიყურებოდა, მაგრამ მას უძნელდა თავისი საქმიანობაზე მოწყვეტა, ფიზიკური სიუძლურე მას არ აძლევდა ხანგრძლივი მუშაობის საშუალებას. მას მხოლოდ რამოდენიმე საათი დღეში შეეძლო ემუშავნა თავის კაბინეტში.

ათიოდე დღის წინად მისი მდგომარეობა გაუარესდა და იგივე სიმპტომები, რომლებმაც ის აიძულეს წარსულ წელს დაწოლილიყო კრემლის საავადმყოფოში, კვლავ განმეორდენ. ყოველგვარი ზომა იქნა მიღებული მის გადასარჩენად, მაგრამ ავადმყოფობამ გაიმაგრა ფეხი მის სხეულში და ხელიდან გამოგვაცალა საუკეთესო ამხანაგი.

უკანასკნელ წუთამდე მის გონებას არ შეუწყვეტია მუშაობა. რამოდენიმე საათის წინ გარდაცვალებამდის ის იძლეოდა განკარგულებებს მნიშვნელოვან საკითხებზე.

კრასინი მოკვდა თავის პოსტზე.

კაპიტალისტური პრესა, რომელთანაც ასე ხშირად უხდებოდა მას შეჯახება, რომელიც ასე უტიფრად ლანძღავდა და ცილს სწამებდა მას, იძულებულია ღირსეულად შეაფასოს მისი დიდი ნიჭი ორგანიზატორის და ადმინისტრატორის, მაგრამ მას ამ მომენტშიც კი არ შეუძლია თავი შეიკავოს ურცხვ გამოლაშქრებისაგან გარდაცვლილ ამხანაგის მიმართ.

ჰ. დავიდ.

ლონდონი, 24 ნოემბერი 1926 წ.

გაზეთების მიმოხილვა

საბჭოთა

პროფმუშაობა კერძო წარმოებებში

პროფმუშაობა კაპიტალისტურ ტიპის წარმოებებში (კერძო, საკონცესიო და შერეული წარმოებები) დაბანდებულ მუშებ შორის დღემდე საგრძნობლად მოიკოჭლებს. კავშირები ამ კატეგორიის მუშებთან ბევრგან მჭიდროდ არ არიან დაახლოვებულნი და მათზე პროფკავშირული გავლენა არ არის ღრმა და მტკიცე, რითაც კერძო მწარმოებელნი სარგებლობენ და ცდილობენ მათ თავის გავლენის ქვეშ მოქცევას. პროფმუშაობის მეთოდები არ ყოფილა სათანადოთ შეფარდებული კერძო წარმოებათა მუშების შემადგენლობასთან, მათი შრომის განსაკუთრებულ პირობებთან, კერძო წარმოებათა სოციალურ ხასიათთან. გაზ. „ტრუდ“, აღნიშნავს რა ყველა ამას, წერს:

„პირველ ყოვლისა საჭიროა სწორი დამოკიდებულების დამყარება თვით კერძო საწარმოო დაწესებულებებთან. ის არ შეიძლება იყოს ისეთი, როგორც დამოკიდებულება სოციალისტურ საბჭოთა ფაბრიკასთან. კავშირების ამოცანა კაპიტალისტურ ფაბრიკაში მდგომარეობს მუშების ეკონომიურ ინტერესების დაცვაში და მათ კლასობრივ აღზრდაში. არავითარი ზრუნვა რაციონალიზაციაზე. ეს თვით მესაკუთრეების კერძო საქმეა. მუშებში უნდა განვავითაროთ თავის კლასობრივი ინტერესების და მეპატრონეების ინტერესების კლასობრივი წინააღმდეგობის შეგნება. ამიტომ: არაფერი ისეთი, რასაც შეუძლია ინტერესთა ამ წინააღმდეგობის ოდნავ შესუსტება...

ყველაზე უფრო მთავარია მუშა-მოსამსახურეთა კლასობრივი შეგნების აღზრდა და მათი ინტერესების სწორი დაცვა. მწარმოებლები ენერგიულ ბრძოლას აწარმოებენ მუშის „სულისათვის“, იყენებენ რა ამისათვის, როგორც „წაძლევის“ და პრივილეგიების სისტემას ცალკე პირებისა და ჯგუფებისათვის, ისე მუქარის და რეპრესიების სისტემას. დაცვითი მუშაობის ყოველნაირი გაძლიერებით, პირველ რიგში და კულტურულ - საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მუშაობის მაქსიმალური განვითარებით კავშირები უნდა შეეცადონ მუშებზე საკუთარი გავლენის უზრუნველყოფას და მასების შეგნებაში იმ აზრის განმტკიცებას, რომ მეპატრონეთა ყოველგვარი „წაძლევა“ ნაკარნახევია ანგარებითი მიზნებით, ექსპლოატაციის მიზნებით.

კავშირების მუშაობას საკონცესიო და [illegible] წარმოებებში საგრძნობი სირთულე ახასიათებს. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ წარმოებათა ფაბქარხკომების განმტკიცებას და შეგნებულ მომქმედ პროფაქტივის შექმნას. უკანასკნელის სისუსტე მრავალ კერძო წარმოებაში პროფკავშირულ მუშაობის სისუსტის ერთ-ერთ მთავარი მიზეზია“.

ამ მიმართულებით პროფკავშირებმა უნდა გააძლიერონ მუშაობა. სათანადო დირექტივა უკვე მოცემულია ამას წინედ გამოქვეყნებულ საკავშირო პროფსაბჭოს წერილში, რომლის შინაარსის საერთო დახასიათებას ზემომოყვანილი ამონაწერი იძლევა. კერძო წარმოებათა მუშები მთლიანად და აქტიურად უნდა ჩავაბათ პროფმუშაობაში და ამ გზით მოვსპოთ ამ მუშების კერძო მწარმოებელთა გავლენაში მოქცევის ყოველგვარი შესაძლებლობა.

უცხოეთის

დიდი კოალიცია და სოციალ-დემოკრატები

როგორც ცნობილია გერმანიაში დიდი მითქმა - მოთქმა იყო და არის კიდევ ეგრედ წოდებულ დიდი კოალიციის შესახებ, რომლის მონაწილენი, ბურჟუაზიულ პარტიებთან ერთად, უნდა იყვნენ სოციალ - დემოკრატები. იმ დიდი „ღვთისწყალობისათვის“, რომელსაც ბურჟუაზია სთავაზობს სოციალ - დემოკრატებს, ეს უკანასკნელები მიდიან ყოველ შესაძლებელ (და რა არის მათთვის შეუძლებელი!) დათმობებზე. ამ დათმობების შესახებ კომუნისტური „როტე ფანე“ სწერდა ამას წინად, რომ სოციალ - დემოკრატები ხელს იღებენ რვა საათის სამუშაო დღეზე და პირდებიან ბურჟუაზიულ პარტიებს აიძულონ მუშები, რომ მათ არ აწარმოონ ამ მიზნისთვის ბრძოლა. მაგიერად მოელიან მინისტრის პორტფელებსო. მენშევიკებმა ყვირილი ასტეხეს: ეს კომუნისტების მოროგვ დემაგოგია არის, ჩვენს წინააღმდეგ გამოგონილიო. მაგრამ დახეთ [illegible]რებას იგივე „დემაგოგია“ გაიმეორეს თვით სოციალ - დემოკრატიულმა გაზეთებმა. აქ კი ველარაფერს იტყვიან სოციალ-დემოკრატები თავიანთი პარტიული ორგანოების წინააღმდეგ, ველარ დასდებენ მათ ბრალს იმაში, რომ ისინი დემაგოგიურათ გამოდიან სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ.

აი რასა სწერს სოც.-დემოკრატიული „ხემნიცის სახალხო ხმა“ (19 ნოემბერი):

„იმას, რასაც ჩვენგან მოითხოვენ, ნათლად და გარკვევით გამოსთქვამს გაზ. „ტეგლიხე რუნდშაუ“. ჩვენგან მოითხოვენ, რომ ხელი ავიღოთ უმუშევრებისათვის ზრუნვაზე, რვა საათის სამუშაო დღეზე. ამას მოითხოვენ გადაჭრითა და გარკვევით სოციალ-დემოკრატიისაგან“.

„როტე ფანე“-ს მიერ წამოყენებულ ბრალდებას ადასტურებს აგრეთვე მეორე სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „საქსონიის სახალხო ფურცელი“. ის სწერს შემდეგს (20 ნოემბერი):

„გერმანიის სახალხო პარტიის წინასწარ პირობათა დიდი კოალიციაში სოციალ-დემოკრატების დასაშვებათ მიაჩნია ის, რომ მათ ხელი აიღონ თავიანთ მოთხოვნებზე, რომელთა შინაარსია უმუშევრების დაკმაყოფილება; რომ დაანებონ თავი რვა საათის სამუშაო დღის შემოღებას—კანონმდებლობის წესით; რომ უარი სთქვან ბრძოლაზე კარტელების დიქტატურის წინააღმდეგ ფასების დაწესების საქმეში“.

როგორც მკითხველი ხედავს, თვით სოციალ - დემოკრატიულმა გაზეთებმა დაადასტურეს ის ბრალდებანი, რომლებიც ჩვენმა ამხანაგებმა წაუყენეს გერმანიაში სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რაღას იტყვიან ამიერიდან ისინი კომუნისტების „დემაგოგიის“ შესახებ?

მუშები დაინახავენ, რა მსხვერპლი უნდა გაიღონ სოციალ-დემოკრატებმა ფორმალურად მაინც (რადგან არსებითად ისინი არასოდეს არ იმტვრევდენ თავს არც უმუშევრებისა და არც რვა საათის სამუშაო დღისათვის), რომ ღირსი გახდნენ დიდი კოალიციის წევრობისა, მინისტრების პორტფელებისა და სავარძლებისა.

თეთრგვარდიელთა

„რუმინელი“ გრიგოლ ალექსინსკი

როგორც გაზეთებში უკვე იყო მოთავსებული ცნობები, „გრეგუარ“ ალექსინსკიმ ბუხარესტში მინისტრების თანადასწრებით გააკეთა მოხსენება „რუსეთ-რუმინეთის“ დამოკიდებულების შესახებ. გ. ალექსინსკი ყოფილი ბოლშევიკი, შემდეგ სოციალ-დემოკრატი, მერე ლიბერალი და შავრაზმელი, დღეს არის უბრალო პროვოკატორი, რომელიც ლუკმა პურს ეძებს თავისი გამყიდველობის საფასურად. ბუხარესტში მას შეპირდენ, რომ გაგიჩენთ „სამუშაოსო“. როგორც თვით ალექსინსკი აცხადებს, მას აძლევენ რუმინეთის ბოიარები ფულს, რომ დაარსოს რუსული გაზეთი კიშინევში და ემსახუროს რუმინეთის ტახტის იდეის აგიტაციას ბესარაბიაში.

და აი ესალექსინსკი მოხსენებას კითხულობს პარიზის ერთ-ერთ დიდ დარბაზში. დარბაზი ცარიელია, აქა-იქ მოსჩანს მხოლოდ ოცდაათმდე კაცი.

„მოხსენებაზე მოსული რუმინელი ლტოლვილები სწერს გაზ. „Последние Новости“—და რუმინეთიდან ახლახან დაბრუნებული პირები აღშფოთებით უყურებდენ ალექსინსკის და ამხილებდენ მას სიყალბეში და უსინდისობაში, როდესაც ის აღწერდა რუმინელების „სასიქადულო“ საქმეებს ბესარაბიაში. ჩვენ მადლობა უნდა განვუცხადოთ რუმინეთის ჟანდარმებს—სთქვა ალექსინსკიმ თავის მოხსენებაში—რომ მათ ამდენ ხანს არ შეუშვეს საბჭოთა ჩეკისტები ბესარაბიაში. ჩვენ (!) ბესარაბია უნდა დაუთმოთ რუმინელებსო.

აღშფოთება იპყრობს მოხსენებაზე დამსწრე რამოდენიმე კაცს. ყვირიან:

— რუმინეთის აგენტი!

— რამდენი მოგცეს რუმინელებმა?

— პროვოკატორი!

მომხსენებელს უხსნებიან, რომ ბესარაბიაში რუმინელები სდევნიან რუსულ ენას, გამეფებულია საშინელი ძალმომრეობა რუმინელებისა. ალექსინსკი ჯერ უარყოფს ფაქტებს, შემდეგ იძულებულია აღიაროს, რომ რუმინელები ნართლაც არ აძლევენ ნებართვას რუსული სკოლების გახსნასა და რუსული ენის ხმარებაზე.

— და სრულიად სამართლიანადაც — ამბობს მომხსენებელი—მე, მაგალითად, შეცდომად მიმაჩნია, რომ პარიზში არსებობს რუსული გიმნაზია. რუსი ბავშვები უნდა სწავლობდნენ იმ ქვეყნის ენაზე სადაც სცხოვრობენ“.

ამას ლაპარაკობს ალექსინსკი. რა გასაკვირია ბესარაბიელები აღშფოთებულიყვნენ.

გამყიდველო! პროვოკატორი!—მიაყვირეს მას, როდესაც მან უეცრად ხელი წამოავლო თავის პორტფელს და მიატოვა აუდიტორია (80 კაცისაგან შემდგარი) სანამ „მოხსენებას“ გაათავებდა.

პროვოკატორის ახალი კარიერა იწყება რუმინეთში.

და, რასაკვირველია, შურით უყურებენ ამ მოხერხებულ პროვოკატორს მილიუკოვის ძმაბიჭები!

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროფკავშირთა საკავშირო მე-7 ყრილობა

ამხ. ტომსკის მოხსენება

მოსკოვი, 8 დეკემბერი. 7 დეკემბრის პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ყრილობის დილის სხდომაზე ამხ. ტომსკიმ, რომელსაც მთელი ყრილობა მხურვალე ტაშით შეხვდა, გააკეთა მოხსენება საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს მუშაობის შესახებ პროფკავშირთა მეექვსე ყრილობიდან მეშვიდე ყრილობამდე. მოხსენება 4 საათს გაგრძელდა.

ჩვენი კულტურული ზრდა

„ვფიქრობ—დაიწყო ტომსკიმ თავისი მოხსენება—რომ ყრილობა საკავშირო ცენტრალური პროფსაბჭოს ანგარიშის განხილვის დროს პირველ ყოვლისა შეამოწმებს თუ რამდენად შეასრულა საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭომ მისთვის მიცემული სახელმძღვანელო დირექტივები და შემდეგ გამოცდილების საფუძველზე გააკეთებს სათანადო დასკვნებს.

თავის მუშაობაში ჩვენ უმთავრესად ვხელმძღვანელობდით იმ რეზოლიუციით, რომელიც მიიღო პროფკავშირთა მეექვსე სრულიად საკავშირო ყრილობამ საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს ანგარიშის გარშემო, და აგრეთვე მეთოთხმეტე პარტყრილობის და მეხუთმეტე პარტკონფერენციის გადაწყვეტილებებით. საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს ხაზის შეფასებას ყრილობა მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით ვერ მიუდგება. საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს მუშაობაში შეიძლება დაინახოთ ზოგიერთი ფორმალური გადახვევა. მიუხედავათ ამისა, პრეზიდიუმს არ გამოუტანია არც ერთი გადაწყვეტილება, რომელიც ეწინააღმდეგებოდეს პროფკავშირთა მეხუთე და მეექვსე ყრილობის დადგენილებათა მთავარ აზრს.

ჩვენი მუშაობა ინტენსიურ სამეურნეო განვითარების და ამ განვითარებით გამოწვეულ დაბრკოლებების პირობებში მიმდინარეობდა. ჩვენ უმთავრეს ყურადღებას ვაქცევდით პროფესიონალურ ორგანიზაციების დაბალ საფეხურს. ჩვენის აზრით, პროფკავშირთა ჯაჭვში ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი რგოლი, რომელზედაც ეყრდნობა პროფკავშირთა მუშაობა, არის პირველი საფეხურის პროფესიონალური უჯრედი—ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტი. ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტს ჩვენ ვსთვლიდით იმ ჯაჭვის მთავარ რგოლად, რომელიც აკავშირებს პროფკავშირთა უმაღლეს ორგანიზაციებს, საბჭოთა ხელისუფლებას და კომპარტიას უპარტიო მუშების ფართე მასებთან.

წარსულ ორი წლის განმავლობაში ჩვენ პროფკავშირთა რიგებში ენერგიულად ვატარებდით პროლეტარულ დემოკრატიას.

პროლეტარიატის კულტურული ზრდა—უდავო ფაქტია. ჩვენ აშკარად და ნათლად დავსვით საკითხი, რომელიც გამომდინარეობს ჩვენი მეურნეობის შეუჩერებელ ზრდისაგან და ეხება პროფკავშირებს. ჩვენ გვყავს ძველი ძირითადი პროლეტარული კადრები, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლაში თოფით ხელში, გაიარეს სამოქალაქო ომის გამოცდილება. მეორეს მხრივ წარმოებაში ჩაებმენ ახალგაზრდა მუშების ახალი ფენები, რომელთაც არ უნახავს ჩვენი რევოლიუციის გმირული პერიოდები. ამრიგად მოსალოდნელი იყო, რომ მთლიან მუშათა კლასის შიგნით შეიქმნებოდა ორი ფენა კულტურულად აღზრდილ, კლასობრივად და პოლიტიკურად შეგნებულ მუშების და ახალგაზრდების, რომელთაც არ იციოდენ რევოლიუციის ისტორია და არ ჰქონდათ წარმოდგენა ჩვენი სახელმწიფოს ხასიათის შესახებ. ჩვენი დამსახურება იმაშია, რომ ჩვენ საპროფკავშირო მუშაობას უფარდებდით ორივე ფენას: ვაკმაყოფილებდით რა პროლეტარიატის ძირითად კადრების მოთხოვნილებებს, ჩვენ ამასთანავე ერთად ვსწევდით სოფლებიდან გამოსულ ახალგაზრდა და გამოუცდელ მუშების კულტურულ დონეს.

ფინანსიური პოლიტიკა

პროფკავშირთა ფინანსების გაჯანსაღების გატარების დროს ჩვენ გვხვდებოდა საზიზღარი მოვლენა—გაფლანგვები. ეს იყო შავი ლაქა ჩვენს ჯანსაღ რევოლიუციონურ პროფმოძრაობაში. სასტიკი და დაუზოგავი ბრძოლის ხაზი გაფლანგვების წინააღმდეგ სავსებით სწორი იყო. ის უნდა განვაგრძოთ მომავალშიაც კიდევ უფრო ენერგიულად.

ამჟამად ჩვენ გადავდივართ უფრო აქტიურ საფინანსო პოლიტიკაზე: პროფკავშირის თვითეული წევრი არამარტო იხდის საწევრო გადასახადს, არამედ პროფკავშირისაგან უკან ღებულობს გადასახადის ნაწილს უმუშევრობის დროს დახმარების სახით და სხვ.

ზოგიერთი ამხანაგები აყენებენ საკითხს—არის თუ არა დრო, რომ შემცირებულ იქნეს საწევრო გადასახადი. საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს პრეზიდიუმი ფიქრობს, რომ ეს ჯერ ნაადრევია. უფრო სწორი იქნება, თუ ჩვენ საწევრო გადასახადის შემცირების მაგიერ უკეთ დავაყენებთ პროფკავშირთა კულტურულ მუშაობას, უკეთ დავაკმაყოფილებთ საწევრო მასის მოთხოვნილებებს. საქმე უნდა დავაყენოთ ისე, რომ თვითეულ მანეთიდან 50 კაპ. უკან უბრუნდებოდეს პროფკავშირის წევრებს. ეს იქნება ყველაზე სწორი საფინანსო პოლიტიკა.

საორგანიზაციო ამოცანები

სხვა საორგანიზაციო ამოცანების სფეროში მახლობელ პერიოდში ჩვენი მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ ისეთ ღონისძიებების შესწავლას და გატარებას, რომელნიც ხელს შეუწყობენ პროფკავშირთა ორგანოების უკეთ დაკავშირებას საწევრო მასასთან. ეხლა, როცა ჩვენს კავშირებში დარაზმულია მილიონიანი მასები, ჩვენ უნდა დავსვათ საკითხი პროფკავშირების შიგნით ცალკე საწარმოო სექციების შექმნის შესახებ. საორგანიზაციო ფორმების პროფკავშირთა წევრების ინტერესებთან შეფარდების მიზნით დასმულ უნდა იქნეს საკითხი ასეთი სექციების შექმნის შესახებ, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ზომა არ ნიშნავს ცეხური ფორმის შემოღებას, პირიქით, ის ხელს შეუწყობს მუშათა მასის უფრო ფართედ და ყოველმხრივ დაკმაყოფილებას.

სოციალისტური დაგროვება

სამუშაო ხელფასის პოლიტიკის სფეროში ჩვენი ხაზი ყველაზე უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბებულ იქნა მეხუთმეტე პარტკონფერენციაზე. პროლეტარიატის დიქტატურის დროს არავინ არ არის დაინტერესებული სოციალისტურ დაგროვებაში, გარდა მუშათა კლასისა და გლეხობის, რომელიც მას მიჰყვება. სოციალისტური დაგროვება საშუალებას აძლევს მუშათა კლასს გააფართოვოს და გაშალოს საწარმოო ძალები. პროლეტარულ დიქტატურის პირობებში დღევანდელი დღის ინტერესები უნდა დაუმორჩილოთ საერთო კლასობრივ ინტერესებს მომავალ პერიოდის განმავლობაში. გაზაფხულზე, როცა საქონლის ინდექსი იზრდებოდა, ხოლო საქონელი ძვირდებოდა, ზოგიერთების მიერ წამოყენებული რეალური ხელფასის შენარჩუნების ლოზუნგი ნიშნავდა ჩერვონეცის დაცემის ოფიციალურად აღიარებას და მტკიცე ვალიუტიდან მერყევი ვალიუტის სისტემაზე გადასვლას. სამუშაო ხელფასის ზრდის ტემპი მომავალში რამოდენიმედ შენელდება. ეს გვაიძულებს ჩვენ მახლობელ პერიოდში ყურადღება მივაქციოთ რეალურ ხელფასის უზრუნველყოფას სხვა გზებით. ჩვენი ყურადღება უნდა გავამახვილოთ კოოპერაციის მუშაობის მხარეთ.

სატარიფო პოლიტიკა

ჩვენი სატარიფო პოლიტიკა მუშათა ხელფასის აწევის მხრივ უნდა მიილიდეს ცალკე საწარმოო მუშების ჩამორჩენილი ჯგუფების სამუშაო ხელფასის გათანაბრების ხაზით, ერთის მხრივ, და კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ მუშათა სამუშაო ხელფასს შორის არაჩვეულებრივად გაზრდილი განსხვავების გათანაბრების ხაზით, მეორე მხრივ.

შემდეგ გადადის რა საკითხებზე კავშირების ეკონომიური მუშაობის შესახებ, ტომსკი აღნიშნავს, რომ მასების მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია ბრძოლა სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიზმთან. ამ მხრივ ერთ-ერთ ძლიერეს ბერკეტს წარმოადგენენ საწარმოო თათბირები. საწარმოო თათბირებმა გაიარეს შესუსტებისა და აღორძინების მომენტი, მაგრამ თვით ცხოვრებამ უკვე დაამტკიცა ამ ორგანიზაციების ტენდენცია გაფართოებისა, განვითარებისა და განმტკიცებისაკენ. თუ ჩვენ ერთი აზრის ვართ საკითხებში საწარმოო თათბირების როლის შესახებ, მაშინ ჩვენ არ გვექნება აზრთა სხვადასხვაობა აქედან გამომდინარე საორგანიზაციო ღონისძიებებშიც, რომლებიც საკონტროლო კომისიების შექმნას გულისხმობენ. საკონტროლო კომისიების დანიშნულებას არ წარმოადგენს სამეურნეო მუშაკის კონტროლი. საკონტროლო კომისიები — ეს არის მეთოდი, რომელიც უზრუნველჰყოფს მუშების ფართედ ჩაბმას აქტიურ სოციალისტურ მშენებლობაში მათი მონაწილეობის გზით ყოველდღიურ სამეურნეო მუშაობაში. მე კიდევ ის მინდა აღვნიშნო, რომ გარდა საწარმოო თათბირებისა, ჩვენი ეკონომიური მუშაობა სხვა დარგშიაც დაეცა. საჭიროა აღვწიოთ ეს მუშაობა. ეცემა, აგრეთვე, პროფკავშირების მუშაობა ეკონომიურ საკითხებში მათი გათვითცნობიერების მხრივ. ჩვენ უნდა მივაქციოთ ამას ყველა პროფორგანიზაციების ყურადღება.

მიღწევები კულტურულ დარგში

მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი მიღწევები კულტურულ დარგში, მაგრამ ამ მხრივ ბევრი უარყოფითი მხარეებიც გვაქვს. და სწორედ იმიტომ, რომ ეს ჯერ ახალი საქმეა, არსად, მთელ მსოფლიოში პროფკავშირებს არ უწარმოებიათ ასეთი კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა, როგორც ჩვენში, და სწორედ იმიტომ, რომ მიღწევებთან ერთად ბევრი ნაკლიც გვაქვს.

კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა ფართოვდება, ის უფრო მრავალმხრივი ხდება და მოითხოვს ცალკე სახის მუშაობის სპეციალიზაციას.

დასასრულ ტომსკი შეჩერდა საკავშირო პროფსაბჭოს საერთაშორისო მუშაობაზე. დაწვრილებით დაასურათა რა ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტის შექმნის ისტორია, ტომსკი ამბობს:—პლატფორმა, რომლის საფუძველზეც შექმნილ იქნა ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტი, 3 პუნქტისაგან შესდგება: 1) ბრძოლა ახალი ომის საშიშროების წინააღმდეგ, 2) ბრძოლა კაპიტალის ეკონომიური იერიშის წინააღმდეგ მუშათა კლასზე და 3) ბრძოლა საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობისათვის.

ინგლის-რუსეთის კომიტეტი

ინგლის-რუსეთის კომიტეტის კონფერენციამ, რომელიც ბერლინში გაიმართა, გამოიტანა წინადადება, რომ იმ შემთხვევაში, თუ ამსტერდამის ინტერნაციონალი უარს განაცხადებს საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად გამართულ კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობის საკითხის განსახილველად, ინგლისის ტრედიუნიონთა გენერალური საბჭო კისრულობს ასეთი კონფერენციის მოწვევას თავის თავმჯდომარეობით. ეს დამტკიცებულ იქნა სკარბოროს კონგრესით. მაგრამ, ინგლის-რუსეთის კომიტეტის ეს დადგენილება გენსაბჭომ არ დაამტკიცა.

ინგლისის და საბჭოთა მუშების ძმური კავშირი ჩვენ გვესმოდა, როგორც შეთანხმებული ბრძოლის კავშირი კაპიტალის იერიშების წინააღმდეგ არა მარტო რეზოლიუციებით, არამედ საქმითაც. რაწამსვე დაიწყო საყოველთაო გაფიცვა ინგლისში, ჩვენ შევთავაზეთ მათ ჩვენი დახმარება, რაზედაც უარი მივიღეთ. საყოველთაო გაფიცვა დასრულდა სამარცხვინოდ გენსაბჭოს აშკარა ღალატის წყალობით, რომელსაც ბრძოლის შეეშინდა.

ინგლის-რუსეთის კომიტეტის სხდომაზე ჩვენი წინადადება მემაღაროეთა სასარგებლოთ ერთი პროცენტის გადარიცხვის შესახებ უარყოფილ იქნა, როგორც „არაპრაქტიკული“ წინადადება. ნიშნავს ეს იმას, რომ ჩვენ უნდა გვეკისრა ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლის ინიციატივა? რასაკვირველია, არა. ინგლის-რუსეთის კომიტეტი როდია ბლოკი ბელადების, ის არის ბლოკი მუშათა მასების, რომელთაც სურთ მთლიანობა. საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს მუშაობამ უსათუოდ გააუარესა ჩვენი დამოკიდებულება გენერალურ საბჭოს ბელადებთან, მაგრამ მას არ შეუსუსტებია ჩვენი კავშირი მასებთან. პირიქით, ინგლისის პროლეტარების სიმპატიები საბჭოთა კავშირის პროლეტარების მიმართ იზრდება. თქვენ ხედავთ, რომ ინგლისელმა მემაღაროებმა, წინააღმდეგ გენერალურ საბჭოს სურვილისა, ჩვენს ყრილობაზე გამოგზავნეს საუკეთესო წარმომადგენელი კუკი. ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი ძმური კავშირი ინგლისელ მუშებთან ბევრჯერ უფრო განმტკიცდა.

ლენინური პოზიცია

თავისი მოხსენების დასასრულს ტომსკი ლაპარაკობს:—ჩვენ გვსიამოვნებს ყოველგვარი მითითება საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს პრაქტიკულ შეცდომებზე. პრაქტიკულ შეცდომებს უსათუოდ ადგილი ჰქონდა, მაგრამ ერთ რამეში თქვენ ვერ გვისაყვედურებთ: ჩვენმა პოლიტიკურმა ხაზმა ჩააბარა გამოცდა. ჩვენი საბჭო არ ასცდა ლენინურ პოზიციას, ის იდგა სწორ ლენინურ გზაზე, ის სავსებით და მთლიანად მხარს უჭერდა ლენინური პარტიის შტაბს, თავის ლენინურ ცეკას. ამაშია ჩვენი დამსახურება მუშაობის ყველა დარგში. ჩვენ მტკიცედ და გადაუხვევლად ვადექით იმ გზას, რომელიც პარტიის მეთერთმეტე ყრილობაზე დაგვისახა ლენინმა. ჩვენ თვითეულ ნაბიჯს ვუთანხმებდით ლენინიზმის ძირითად დებულებებს, ჩვენ ვმუშაობდით რევოლიუციის ჰეგემონთან, მუშათა კლასის ავანგარდ ლენინურ ცეკასთან ხელიხელ ჩაკიდებით. (მქუხარე ტაში).

ამხ. დოგადოვის მოხსენება

პროფკავშირთა ყრილობის 7 დეკემბრის საღამოს სხდომაზე საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ამხ. დოგადოვი.

„პროფკავშირთა მეექვსე ყრილობიდან განვლილ პერიოდში,—სთქვა დოგადოვმა,—მრეწველობაში ჩაბმულ მუშების რიცხვის დიდ ზრდასთან ერთად, გაიზარდა პროფკავშირების წევრთა რიცხვიც. 1926 წლის 1-ლ ივლისისათვის პროფკავშირების თავის რიგებში ითვლიდენ 9.278.000 წევრს. პროფკავშირის წევრთა ამ საერთო რიცხვიდან 1926 წ. 1-ლ აპრილისათვის მუშაობდა 84 პროც., უმუშევარნი—13 ნახევ. პროც., მოსწავლენი 2 ნახევ. პროც. პროფკავშირის ახალ წევრთა უდიდესი მასა მოდის მშენებელ მუშათა სამრეწველო ჯგუფებსა და სასოფლო-სამეურნეო მუშებზე. პროფკავშირები არ აწარმოებენ თავის წევრთა აღრიცხვას სოციალური შემადგენლობისდამიხედვით, მაგრამ დღევანდელ ყრილობისათვის ჩვენ ვსცადეთ გამოგვერკვია ჩვენი პროფმოძრაობის სოციალური შემადგენლობა. პროფკავშირის წევრთა საერთო რიცხვიდან 33,4 პროც. მოსამსახურეებზე მოდის, დანარჩენი—მუშების შემადგენლობაზე. ჩვენი კავშირების წევრთა რიცხვის ზრდა მიდიოდა, უმთავრესად, ინდუსტრიალური კავშირების ხარჯზე. პროფკავშირთა მე-6 ყრილობისათვის იყო 671.000 პროფკავშირის წევრი უმუშევარი. ამჟამად უმუშევარია 1.182.000 კაცი.

მიუხედავათ უმუშევრობის ზრდისა, მისი ხასიათი და უმუშევართა პროცენტი მოდის, უმთავრესად, კავშირის იმ წევრებზე, რომელთა მუშაობაც სეზონურ ხასიათს ატარებს, და რომლებიც, უმთავრესად, სოფლიდან გამოსულები არიან. ძალიან უმნიშვნელოდ გაიზარდა უმუშევრობა ამ პერიოდში ინდუსტრიალურ მუშებს შორის. შეეხო რა საკავშირო პროფსაბჭოს მოღვაწეობას საანგარიშო პერიოდში, დოგადოვი აღნიშნავს, რომ მთელ მის მუშაობას საფუძვლად ორი მომენტი ედო: პროფკავშირთა მუშაობის ღირსებისა და მათი ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

კუკი ყრილობაზე

მოსკოვი, 8 დეკემბერი. კუკი პროფკავშირთა ყრილობაზე მონაწილეობას იღებს თარჯიმანის დახმარებით და თვალყურს ადევნებს ყრილობის მუშაობის მსვლელობას. ყრილობის დამთავრების შემდეგ, კუკი გაეცნობა მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნებს, კლუბებსა და პროფორგანიზაციებს. (აღს).

უცხოეთის პრესა კუკის სიტყვის გამო

ლონდონი, 8 დეკემბერი. გაზეთების უმრავლესობა აქვეყნებს კუკის სიტყვებს, რომელიც მან წარმოსთქვა, მოსკოვის დიდ თეატრში საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა ყრილობაზე. მხოლოდ „მანჩესტერ გარდიენს“ და „დეილი ექსპრესს“ მოჰყავს სიტყვა დამახინჯებულად და შემოკლებულად.

ყველაზე უფრო ამახინჯებს კუკის სიტყვას რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი.

„დეილი ტელეგრაფი“ მოწინავეში აცხადებს: „კუკის ვიზიტი მოსკოვში ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ მისი მიზანია არა სამართლიანი მოგვარება კონფლიქტისა მემაღაროებსა და მაღაროს მეპატრონეთა შორის, არამედ წაქეზება რევოლიუციისათვის“. (აღს).

სხვადასხვა

სურათების გადაცემა მანძილზე

პარიჟი, 7 დეკემბერი. ინჟინერმა ტაკილმა პარიზის სამეცნიერო აკადემიას წარუდგინა მის მიერ გაკეთებული დეტექტორი, რომლის გამოგონება, საერთო აზრით, შექმნის ახალ ეპოქას სურათების მანძილზე გადაცემის საქმეში. (აღს).

სხვისი ქონების განაწილება

ანგორა, 7 დეკემბერი. წითელ ზღვაში ფარსანის კუნძულზე არსებული ნავთის რაიონები, რომელიც ინგლისელებმა ძლიერ იაფად შეიძინეს ემირ ასირია იდრისისაგან, განაწილებული იქნება ინგლისის და ამერიკის ნავთის მრეწველებს შორის. (აღს).

600.000 მანეთი

ელსადგურის მოსაწყობად ლენინაკანში

მოსკოვი, 8 დეკემბერი. საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა ელექტრო ბანკის კრედიტიდან ლენინაკანის ელექტრო სადგურის აშენებისათვის გადასდოს—600.000 მანეთი, ვინაიდან მიწისძვრით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას უნდა მოხმარდეს ყველა ადგილობრივი თავისუფალი თანხები და ამ თანხის გადადება ადგილობრივ ბიუჯეტიდან არ მოხერხდება, როგორც ეს წინეთ იყო განზრახული. (აღს).

კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმი

8 დეკემბრის დილის სხდომა

მოსკოვი, 8 დეკემბერი. კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმის 8 დეკემბრის დილის სხდომაზე დაიწყო კამათი ამხ. სტალინის მოხსენების გარშემო. კამათში გამოვიდენ **სემარი** (საფრანგეთი), **კონდრაჩეკი** (ჩეხო-სლოვაკია), **ბელი** (ინგლისი), **დენგელი** (გერმანია).

შემდეგ თავმჯდომარე **რემელე** კითხულობს კომინტერნში მყოფი საკავშირო კომპარტიის (ბ) დელეგაციის ბიუროს შემდეგ განცხადებას:

„პასუხად ზინოვიევის წინადადებისა, რომელიც მან გააკეთა დელეგაციის ბიუროს სხდომაზე 22 ნოემბერს და რომელშიაც იგი მოითხოვდა კომინტერნის აღმასკომის გაფართოებულ პლენუმზე გამოსვლას საკავშირო კომპარტიის (ბ) ოპოზიციის შეხედულებათა განმარტებისათვის, დელეგაციის ბიურომ დაადგინა: „საკავშირო კომპარტიის (ბ) დელეგაციის ბიურო სცნობს, რომ ზინოვიევის გამოსვლა კომინტერნის აღმასკომის გაფართოებულ პლენუმზე არსებითად საკავშირო კომპარტიის (ბ) დადგენილების აპელიაცია იქნებოდა კომინტერნის აღმასკომის წინაშე და იმპულსს მისცემდა შემდგომ ფრაქციულ ბრძოლას. ამის გამო დელეგაციის ბიურო ასეთ გამოსვლას მიზან-შეუწონლად სთვლის. მაგრამ მიუხედავად ამისა, ბიურო შესაძლებლად არ სცნობს, რომ ზინოვიევს აუკრძალოს ასეთი გამოსვლა, ვინაიდან კომპარტიის ყოველ წევრს აქვს უფლება თავის პარტიის გადაწყვეტილებათა აპელიაცია მოახდინოს კომინტერნის აღმასკომის წინაშე“.

ეს დადგენილება დაადასტურა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკამ.

როცა დელეგაციის ბიურო იღებდა ასეთ დადგენილებას, რომ პარტიის ყოველ წევრს უფლება აქვთ აპელიაციით მიმართოს უმაღლეს (საერთაშორისო) ინსტანციას, იგი ამასთანავე გამოდიოდა იმ უდავო დებულებიდან, რომ ზინოვიევის გამოსვლა არ შეიძლება არ ნიშნავდეს საკავშირო კომპარტიის (ბ) დადგენილების აპელიაციას. სწორედ ასე უყურებდა საკითხს ტროცკი მე-5 კონგრესზე, სადაც განსახილველად იყო დასმული „რუსეთის საკითხი“ და სადაც ტროცკიმ კონგრესის პრეზიდიუმის შეკითხვაზე: სცნობს თუ არა იგი საჭიროდ კონგრესზე გამოსვლას, კონგრესს გაუგზავნა საპასუხო წერილი, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამი იყო: „რაც შეეხება თქვენ მიერ პრეზიდიუმის სახელით დასმულ კითხვას: მსურს თუ არა გამოვიდე კამათში რუსეთის საკითხის შესახებ, გთხოვთ პრეზიდიუმს გადასცეთ შემდეგი: „ჩვენს პარტიაში მომხდარ დისკუსიის საკითხების შესახებ მე-13 ყრილობამ უკვე გამოიტანა განსაზღვრული დადგენილებანი. სწორედ ამით დამთავრდა დისკუსია. რამდენადაც მე მახსოვს, არავის რუს. კომპარტიის წევრთაგანს არ მოუხდენია მე-13 ყრილობის გადაწყვეტილებათა აპელიაცია მე-5 კონგრესის წინაშე. მაშასადამე არავინ არ სთვლი და სადავოდ ამ გადაწყვეტილებათა ძალას, რომელიც ერთგვარად სავალდებულოა პარტიის ყველა წევრთათვის. ამ პირობებში განახლება დისკუსიისა საერთაშორისო კონგრესზე იმ საკითხების ირგვლივ, რომელნიც უკვე გადაწყვეტილია პარტიის მე-13 ყრილობის მიერ, ნიშნავს იმას, რომ ზედმეტი დაბრკოლებანი შევქმნათ ჩვენი პარტიის ერთსულოვან მუშაობაში“.

ამგვარად, ოპოზიციონურ ამხანაგების გამოსვლის საკითხი შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს მხოლოდ მათ მიერ“. (აღს).

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ცენტრალურ - სამრეწველო რაიონის ელექტროფიკაცია

მოსკოვი, 8 დეკემბერი. 7 დეკემბერს რ. ს. ფ. ს. რ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში ირჩეოდა რ. ს. ფ. ს. რ. ცენტრალურ სამრეწველო რაიონებისათვის ელექტრო-ენერგიის მიწოდების საკითხი. რ. ს. ფ. ს. რ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭომ შეიმუშავა ცენტრალურ-სამრეწველო რაიონში ორი მძლავრი ელსადგურის აგების სამწლიური გეგმა. ელექტროსადგურის ერთი სისტემა მიაწვდის ენერგიას უზარმაზარ ტერიტორიას, რომელიც მოქცეულია ტულა-ვლადიმირ-ტვერის სამკუთხედში, მეორე სისტემა კი ნიჟეგოროდისა და ივანოვო-ვოზნესენსკის გუბერნიებს. ელექტროსადგურების ამ ორი სისტემის სიმძლავრე 1931 წელში 700.000 კილოუატს მიაღწევს. მათი აგება დაჯდება 390 მილ. მანეთი. ეკონომიურმა საბჭომ საჭიროდ სცნო პირველ რიგში მძლავრი ელექტრო-სადგურის აგება ცენტრალურ-სამრეწველო ოლქში — ერთი ივანოვო-ვოზნესენსკსა და მეორე ტორფისა და ქვანახშირის რაიონებში. (აღს).

მუშებმა მოიგეს გაფიცვა

ლუგანსკი, 8 დეკემბერი. მილების საქვეთებელ ქარხნის მოიჯარადრე პოპოვმა საგაფიცვო კომიტეტს აცნობა, რომ ის თანახმა არის მთლიანად დააკმაყოფილოს მუშების ყველა მოთხოვნილებანი. ქარხანაში მუშაობა განახლდა. გაფიცვა გაგრძელდა 6 დღეს. (აღს).

ვეშაპთა ჭერის კონცესია

ხაბაროვსკი, 8 დეკემბერი. ვეშაპთა ჭერის სარეწავეზე კამჩატკის ნაპირებთან აღმოსავლეთ ციმბირში საბჭოთა მთავრობამ გადასცა კონცესიად 15 წლის ვადით ნორვეგიელ მრეწველს ხრისტანსენს.

მიმდინარე წელს დაჭერილია 284 ვეშაპი. თვითეული ვეშაპის წონა უდრის 2-3 ათას ფუთს. თვითეული ვეშაპი იძლევა 3.000 მან. მოგებას.

კუკი მიემგზავრება დონის ოლქში

ხარკოვი, 8 დეკემბერი. სამთა-მადნო მუშათა სრულიად უკრაინის გამგეობამ მიიღო კუკისაგან დეპეშა, რომ მას განზრახვა აქვს დაათვალიეროს ხარკოვი და დონის ოლქი. კუკს განზრახული აქვს გაეცნოს სამთა-მადნო მუშათა შრომის პირობებს დონის ოლქში და ინგლისის სამთა-მადნო მუშათა სახელით პირადათ გადაუხადოს მადლობა დონის ოლქის სამთამადნო მუშებს მათ მიერ გაწეულ დახმარებისათვის გაფიცვის დროს. (აღს).

რაიონებში. (აღს).

საკავშირო ცაკის სესიისათვის

მოსკოვი, 8 დეკემბერი. საკავშირო ცაკის მესამე სესია მოწვეულია მოსკოვში 1927 წლის 31 იანვრისათვის.

დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: სოც. საბჭ. რესპუბლიკების კავშირის 1926—27 წლის მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი; სოც. საბჭ. რესპუბლიკების კავშირის და საკავშირო რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა კანონის პროექტი; საბჭოთა კავშირის და საკავშირო რესპუბლიკების სისხლის კანონმდებლობის ძირითადი საფუძვლების ზოგიერთ მუხლების შეცვლა; ბელორუსიის მთავრობის მოხსენება, გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატის მოხსენება; მოხსენება საკავშირო ცაკის მიერ მიღებული დადგენილებათა დამტკიცების შესახებ. (აღს).

უმაღლეს სასწავლ. მიღების ახალი წესი

მოსკოვი, 8 დეკემბ. განათლების სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა ახალი წესები უმაღლეს სასწავლებლებში მიღების შესახებ. ამ წესების თანახმად უმაღლეს სასწავლებლებში ადგილების განსაზღვრული ადგილები დაკავებული იქნება მხოლოდ იმ პირთათვის, რომლებმაც დაასრულეს მუშფაკები და აგრეთვე აღმოსავლეთისა და კულტურულად ჩამორჩენილ ეროვნებებისათვის. გაუქმებულია განსაზღვრული ადგილების დათმობა მშრომელი ინტელიგენციისა და სამხედრო მოსამსახურეთა შვილებისათვის. გაუქმებულია, აგრეთვე, კანდიდატთა ინსტიტუტი, სამეცნიერო მუშაკთა შვილები, რომლებმაც დაიჭირეს გამოცდა. მიღებული იქნებიან უმაღლეს სასწავლებლებში ისე, როგორც სპეციალისტების შვილები. (აღს).

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

ა.-კ. ცაკის სესიის წინ

აზ. ცაკის მისალმება ა.-კ. ცაკის მესამე სესიისადმი

ბაქო, 8 დეკემბერი. აზერბეიჯანის ცაკმა ა.-კ. ცაკის მესამე სესიას განჯაში შემდეგი დეპეშა გაუგზავნა:

„ცაკი საბჭოთა აზერბეიჯანის მუშათა და გლეხთა სახელით უგზავნის ა.-კ. ცაკის მესამე სესიას მხურვალე სალამს და გულწრფელად უსურვებს მას ნაყოფიერ მუშაობას ყველა მშრომელთა საკეთილდღეოდ. ა.-კ. ცაკის სესიის განჯაში გახსნა წარმოადგენს საბჭოთა სისტემის უპირატესობას და სიდიადეს კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით, რადგან იგი გამოხატავს ხალხთა ძმურს და მშვიდობიან თანამშრომლობას.

აზ. ცაკი დარწმუნებულია, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაციის საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანო თავის საქმიანი მუშაობით გააგრძელებს დაწყებულ სოციალისტურ მშენებლობას, კიდევ უფრო განამტკიცებს მუშათა და გლეხთა კავშირს და შექმნის ახალს შემაერთებელს რგოლს საბჭოთა კავშირის და აღმოსავლეთის ხალხებს შორის.

ამხ. ვიზიროვის განცხადება

განჯა, 8 დეკემბერი. ამიერ - კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში ამიერ - კავკასიის ცაკის მორიგი სესიისათვის მოსამზადებელ მუშაობის შესახებ განჯაში, განჯის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. **ვიზიროვმა** განაცხადა შემდეგი:

„დასრულდა სესიისათვის მოსამზადებელი მუშაობა. სესიის წევრებსა და სტუმრებისათვის უკვე მომზადებულია სათანადო ბინები. გლეხობის სურვილის თანახმად, რომელიც მოუთმენლად მოელის ამიერ - კავკასიის ფედერაციის უმაღლეს ორგანოს ჩამოსვლას, ჩვენ გადავწყვიტეთ სესიის წევრებს შევხვდეთ ალისტაფაში, ტაუზში და განჯის სადგურში. ამ პუნქტებში სესიის წევრებს მიესალმებიან გუთნის გლეხები, რკინისგზელები და ქარხნის მუშები.

სტუმრების სახით განჯაში ჩამოსვლას აპირობს განჯის მაზრის 100 მეტი მუშა და გლეხი. იმდენად დიდია გლეხობის ინტერესი, რომ მისი წარმომადგენლები უკვე მოდიან ქალაქში. სამწუხაროდ, ბინის ნაკლებობა შესაძლებლობას იძლევა მიეცეს გლეხებს მხოლოდ და მხოლოდ 60 ადგილი, თუმცა მოთხოვნილება გაცილებით სჭარბობს ამ რიცხვს. საკითხი სესიაზე გლეხების დასწრების შესახებ აღძრული იყო ამას წინედ ჩატარებულ აღმასკომების პლენუმებზე.

სესიის დღეებში განჯასა, თბილისსა და ბაქოს შორის ყოველ დღე იფრენს 2 ჰაეროპლანი. ხვალისათვის დასრულდება აეროდრომის მოწყობა.

სესიის გახსნა მოხდება მუშათა კლუბში 10 დეკემბრის საღამოს.

სესიის სხდომასა და სხდომას შორის მოხდება ზეთის სახდელ ქარხნის და ორჯონიკიძის სახელობის სელექციური სადგურის გახსნა და, აგრეთვე ა.-კ. ცაკის სახელობის საავადმყოფოსათვის და მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის ზოოტექნიკური სადგურისათვის საძირკველის ჩაყრა.

ალისტაფაში შესახვედრად მიემგზავრებიან აზერბეიჯანის მთავრობისა და განჯის აღმასკომის წარმომადგენლები“. (აღს).

მზადება სესიისათვის

განჯა, 8 დეკემბერი. საზეიმო შეხვედრას განჯის ორგანიზაციების წარმომადგენლები სესიის გაუმართავენ სად. ალისტაფაში. საზეიმო მიღების მოსამზადებლად მუშაობს სპეციალური კომისია. (აღს).

თავმოყრა განჯაში

განჯა, 8 დეკემბერი. განჯაში ჩამოვიდენ ამიერ - კავკასიის ცაკის თავმჯდომარე **ალამალი - ოღლი**, აზერბეიჯანის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. **ალი მამედოვი**, ამიერ - კავკასიის ცაკის მდივანი ამხ. **შავერდოვი** ტექნიკურ აპარატსა და სესიის ზოგიერთ წევრებთან ერთად. (აღს).

განჯაში

განჯა, 8 დეკემბერი. ქალაქში არაჩვეულებრივი გამოცოცხლებაა. სასწრაფოდ სრულდება ორი თაღის აშენება სტუმრების შესახვედრად.

მუშათა კლუბის ფოიე, სადაც იწარმოებს სესიის სხდომები, მორთულია მრავალი ლოზუნგებით ოთხ ენაზე. კლუბის მცირე დარბაზში მოწყობილია საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიური და კულტურული მიღწევები აზერბეიჯანში. გამოფენაზე განსაკუთრებით გამორჩეულია აზერბეიჯანის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს კუთხე, სადაც წარმოდგენილია აზერბეიჯანის მრეწველობის უამრავი ექსპონატები, კერძოდ განჯის მაზრის მრეწველობის ექსპონატები. მოწყობილია ქალაქისა და სოფლის კედლის გაზეთების გამოფენა.

განზრახულია მოეწყოს სესიის წევრების მიერ განჯიდან 50 ვერსით მდებარე შაზის ქარხნისა და ჩიხვიძორის მაღაროების დათვალიერება. (აღს).

პარტიული ცხოვრება

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის პლენუმის მისალმება ამხ. ს. ორჯონიკიძისადმი

ს. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის დეკემბრის პლენუმი, რომელიც პირველად შეიკრიბა უშენოდ, გიგზავნის მხურვალე ამხანაგურ სალამს. პარტიამ გაგიწვია შენ უფრო საპასუხისმგებლო თანამდებობაზე სამუშაოდ. ამიერ-კავკასიის პარტიულ ორგანიზაციას შენი სახით შორდება გამოცდილი ხელმძღვანელი, რომელიც მტკიცეთ და მოხერხებით მართავდა 6 წლის განმავლობაში პარტიისა და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა ხელისუფლების საჭეს.

შენგან დაწყებულ მუშაობას ამიერ-კავკასიის ხალხების გასაერთიანებლად და მათ შორის ინტერნაციონალური კავშირის, ძმობის და პროლეტარული სოლიდარობის განსამტკიცებლად გავაგრძელებთ ისეთივე სიმტკიცით და ენერგიით. შენმა მუშაობამ აქ დასტოვა ისეთი კვალი, რომ პარტორგანიზაციები ყველგან ჩამოყალიბებულია და აქვთ ლენინური სახე. ეს გარემოება აადვილებს ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების ხელმძღვანელობის უძნელესს ამოცანას.

ჩვენ აღსავსე ვართ რწმენით, რომ კოლექტიური ხელმძღვანელობით წავიყვანთ ორგანიზაციებს ნაცადი ლენინური გზით.

გაუმარჯოს ლენინიზმს, გაუმარჯოს გამოცდილ ლენინელებს“.

ს. კ. პ. (ბ) ა. კ. საოლქო კომიტეტის პლენუმი.

ს.კ. კომპ. ა/კ. საოლქო კომიტეტის პლენუმი

პლენუმის დილის სხდომა გაიხსნა კამათით ამხ. **ლუკაშინის** მოხსენების გარშემო ამიერ-კავკასიის 1926—27 წლის სამრეწველო მშენებლობის გეგმის შესახებ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. **ამბარცუმიანმა, კარაევმა, ხანოიანმა** და სხვებმა.

ამხ. ლუკაშინის საბოლოო სიტყვის მოსმენის შემდეგ პლენუმმა დაადგინა დაარსოს კომისია, რომელიც მოსმენილ მოხსენების შესახებ შეიმუშავებს რეზოლიუციას.

შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. **ორახელაშვილის** მოხსენება ფასების დაკლების შესახებ ამიერ-კავკასიაში.

ამხ. ორახელაშვილის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. **ბაგიროვმა, ბეკზადიანმა**, და სხ.

დღის წესრიგის ყველა საკითხების ამოწურვის შემდეგ განცხადებით კომინტერნის აღმასკომის პლენუმის მუშაობის შესახებ გამოდის პლენუმიდან დაბრუნებული ამხ. **მიხა ცხაკაია**, რომელსაც პლენუმი ხანგრძლივი ტაშით ხვდება.

შემდეგ პლენუმმა დაადგინა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნოს ამხ. **ორჯონიკიძეს**.

პლენუმმა დაადგინა:

1) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივნად არჩეულ იქნეს ამხ. **ორახელაშვილი** და შეყვანილ იქნეს ის სამდივნოში.

2) გამოსულ წევრების მაგიერ პრეზიდიუმის შემადგენლობაში შეყვანილ იქნენ ამხ. **ქართველიშვილი** და **მირზოიანი**.

3) პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატთა შემადგენლობა შევსებულ იქნეს ამხ. **კარაევით** და

4) ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტში კოოპტაციის წესით შეყვანილ იქნეს ამხ. **ბეკზადიანი**.

ლენინური კომპარტია კვლავ მთლიანი და ურყევია

30 ნოემბერს შესდგა სიღნაღის პარტორგანიზაციის აქტივისა და კომკავშირის აქტივის გაერთიანებული კრება, რომელზედაც ვრცელი მოხსენება საკავშირო კომპარტიის მეხუთმეტე კონფერენციის შედეგებზე გააკეთა ამხ. **ჟუჟიკაშვილმა**. მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„საქართველოს კომპარტიის სიღნაღის ორგანიზაციის პარტაქტივის კრება კომკავშირის აქტივთან ერთად, მოისმინა რა მან ამხ. ჟუჟიკაშვილის მოხსენება საკავშირო კომპარტიის მეხუთმეტე კონფერენციის შედეგებზე, ერთსულოვნად უერთდება კონფერენციის ყველა გადაწყვეტილებებს და თავის ყოველდღიურ მუშაობაში მიზნად ისახავს კონფერენციის დირექტივების გადაუხრელად და მტკიცედ გატარებას.

საკავშირო კომპარტიის მეხუთმეტე კონფერენციამ ღრმა ანალიზი გაუკეთა საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო მდგომარეობას. კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში, როდესაც საბჭოთა კავშირს გარს არტყია ფინანსიურ-ეკონომიური ბლოკადა ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებისა, როდესაც ჩვენ მოკლებული ვართ საგარეო სესხს და საკუთარ საშუალებებზე გვიხდება დაყრდნობა, ცხადია, იბადებიან მრავალი სიძნელეები და დაბრკოლებანი, მაგრამ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი გლეხობასთან მჭიდრო კავშირით და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შესძლებს ამ სიძნელეთა გადალახვას და სოციალისტური აღმშენებლობის წარმატებით წარმოებას.

კრება მწუხარებით აღნიშნავს, რომ ასეთ რთულ მომენტში პარტიის შიგნით გაჩნდა ახალი ოპოზიცია, რომელსაც მეთაურობდენ ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი და სხვები და რომლის საქმიანობა ნებით თუ უნებლიეთ მიმართული იყო პარტიის ბოლშევიკურ მთლიანობის შერყევისაკენ. კრება დიდის კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ლენინური ცეკა მტკიცედ დადგა ლენინიზმის სადარაჯოზე და დაიცვა პარტია იმ რევიზიონისტული იერიშისაგან, რომელითაც თავს დაესხა მას ახალი ოპოზიცია ტროცკის მეთაურობით. პარტიამ მოიგერია ოპოზიციის იერიშები. პარტიამ იდეოლოგიურადაც უნდა გაანადგუროს ახალი ოპოზიცია.

კრება სთვლის, რომ პარტიის გეზი მრეწველობის და მეურნეობის განვითარების დარგში, რომელიც გამომდინარეობს პარტიის წინა კონფერენციის და ყრილობის გადაწყვეტილებათაგან სავსებით სწორია და მიზანშეწონილი. საკუთარი საშუალებათა მაქსიმალურად გამოყენება ინდუსტრიალიზაციის განვითარებისათვის, იაფი და კარგი საქონლის დამზადება, მუშათა ხელფასის გაუმჯობესება, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია — აი ის მთავარი ამოცანები სამეურნეო დარგში, რომელიც დაისახა პარტიამ. კომპარტიის სიღნაღის ორგანიზაცია, რომელიც თავის არსებობის განმავლობაში არასოდეს გაჰყოლია მავნე გადახრებს, შესძლებს თავის მუშაობაში მტკიცედ გაატაროს პარტიის დირექტივები ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ გარდაქმნის საქმეში.

ლენინური კომპარტია კვლავ მთლიანია და ურყევი, პარტიის მეხუთმეტე კონფერენციამ საბოლოოდ განამტკიცა შინაგანი სიმტკიცე და ერთსულოვნება, რომლის დარღვევას სცდილობდა ახალი ოპოზიცია.

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის სახელოვან ხელმძღვანელს — საკავშირო კომპარტიას და მის ლენინურ ცეკას!

მესამე რაიონის პარტკონფერენციისათვის

(ორგანიზაციის ზრდა და მოწესრიგება)

რაიკომის საორგანიზაციო განყოფილებამ საანგარიშო პერიოდში საკმაო ყურადღება მიაქცია ორგანიზაციის ზრდას და მოწესრიგებას. თუ ორგანიზაციის შემადგენლობას შევადარებთ გასულ საანგარიშო წლისას, ჩვენ შევამჩნევთ ერთგვარ ზრდას. 1925 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის ორგანიზაციის შემადგენლობაში ჩვენ გვყავდა 1018 კაცი (სოფლის ჩათვლით), ხოლო 1926 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის ჩვენ მარტო ქალაქში გვყავს უკვე 1095 კაცი. მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ: 1) რომ შარშანდელ ციფრებში შესულია სასოფლო ორგანიზაციების რიცხვი; 2) წევრთა მოძრაობას ორგანიზაციაში (მოვიდა 270 კაცი, გავიდა 378 კაცი), ორგანიზაციის ზრდა მე-3 რაიონის პირობებში უნდა ჩაითვალოს ნორმალურად (სოფლის ჩათვლით 1926 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის ირიცხება 1179 კაცი), ხოლო 1925 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის იყო 1018 კაცი.

ორგანიზაციის ნორმალურ ზრდას გვიჩვენებენ შემდეგი ციფრები:

ქალაქის ორგანიზაციაში მიღებულთა შემადგენლობა 1926 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის.

მუშა — 149, გლეხი — 3, მოსამსახურე—19, დანარჩენი — 10, ქართველი — 50, სომეხი—85, თათარი — 16, რუსი — 21, სხვა ეროვნ—9.

საერთოდ ორგანიზაციის ზრდა სწარმოებდა მუშების ხარჯზე — მიღებულთა საერთო რაოდენობიდან მუშები შეადგენენ 82,8 პროც., გადაყვანილია წევრად 97,7 პროც., რაც ერთგვარ მიღწევად ჩაითვლება. პარტიის კანდიდატებად მიღებულთა საერთო რაოდენობიდან (181 კაცი), 92 კაცს კომკავშირელები შეადგენენ. ამგვარად, სრულდებოდა რა პარტიის დირექტივა, ორგანიზაციის ზრდა 50 პროც-ით მიდიოდა კომკავშირის წევრ — მუშა-ახალგაზრდობის ხარჯზე, რითაც წყდებოდა პარტაქტივის საკითხი, და უპარტიო მუშათა აქტივის ხარჯზე, რომლებსაც გავლილი აქვთ პროფკავშირების და სხვა ორგანიზაციების სკოლა.

ჩვენი ორგანიზაციის ერთ - ერთ არანორმალურ მოვლენას (ისევე, როგორც თბილისის ორგანიზაციაში) წარმოადგენდა კანდიდატთა დიდი პროცენტი. 1925 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის კანდიდატთა პროცენტი შეადგენდა 34,2-ს, ამჟამად კი, როგორც ცხრილი გვიჩვენებს, კანდიდატთა პროცენტი ქალაქად 28-დე დავიდა; კანდიდატთა პროცენტის შემცირებაში დიდი როლი ითამაშა პარტიის წევრთა და კანდიდატთა უფლებების განსაზღვრამ; საანგარიშო წლის დასაწყისში ორგანიზაციაში ისეთი მდგომარეობა იყო, რომ არ არსებობდა განსხვავება ნამდვილ წევრსა და კანდიდატს შორის, რაც იწვევდა კანდიდატთა პარტიის წევრად გადაყვანის მნიშვნელობის შესუსტებას.

რაც შეეხება სოციალურ მდგომარეობას, მართალია გვაქვს მუშათა პროცენტის უმნიშვნელო შემცირება (78,3 პროც., იყო 80 პროც.) და მოსამსახურეთა პროცენტის გადიდება (17,6 პროც., იყო 14,8 პროც.).

როგორც ცხრილიდან სჩანს, ეს მოვლენა არა ერთარ შემთხვევაში არ შეიძლება აიხსნას პარტიაში მიღების შედეგებით (მუშების 82,8 პროც., მოსამსახურეთა 10,5 პროც.). მუშების პროცენტის შემცირება გამოიწვია ორგანიზაციის სოციალური მდგომარეობის გადათვალიერებამ და ორგანიზაციის მოძრაობამ (ორგანიზაციიდან 100 კაცით მეტი გავიდა, მათგან უმთავრესად მუშები, მუშფაკელები, რომლებიც, თანახმად თბილისის კომიტეტის დადგენილებისა, მე-4 რაიონზე არიან მიმაგრებული).

ამავე მიზეზით აიხსნება მოსამსახურეთა პროცენტის ზრდა. ორგანიზაციის ნაციონალური შემადგენლობა შეეფარდება მუშა - მოსამსახურეთა ნაციონალურ შემადგენლობას ჩვენს რაიონში. შემჩნეულია ქართველების ზრდა 2 პროც-ით და სომხებისა და რუსების პროცენტის უმნიშვნელო შემცირება. სხვა პარტიიდან გამოსული რაიონში არის 68 კაცი — ორგანიზაციის საერთო რიცხვის 5,8 პროც.; მათგან მენშევიკური პარტიიდან გამოსულია 45, დაშნაკურიდან — 8, ჰნჩაკისტებიდან — 9, სოციალისტ - რევოლიუციონერებიდან — 6.

უჯრედების მოძრაობა

საანგარიშო პერიოდისათვის რაიონში ითვლება 33 უჯრედი, შარშან გვყავდა 27 უჯრედი. ამგვარად უჯრედთა რიცხვი გაიზარდა 6-ით. ახლად შედგენილია შემდეგი უჯრედები: უჯრედი ჯავრის სახელოსნოსთან, სტრიკოტაჟის ფაბრიკასთან, მეზღვეთა უჯრედი, სოფელ ალთალლის და რადიოს უჯრედი. ორ უჯრედათ არიან დაყოფილი: ტყავტრესტის უჯრედი, საპნის და ზეთის სახდელი ქარხნის უჯრედი და სად. ნავთლუღის უჯრედი.

საანგარიშო პერიოდში დაიშალა მოლოკანთა კოოპერატივის უჯრედი, მოლოკანთა კოოპერატივის ლიკვიდაციის გამო, ნაკრები უჯრედი № 6, ამიერ - კავკასიის საგანგებო კომისიის მცველ - მხლებელთა რაზმის უჯრედი, რომელიც თანახმად საერთო დებულებისა გადაეცა პოლიტგანყოფილებას.

უჯრედები ტიპების და მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებიან:

საფაბრიკო - საქარხნო — 12 უჯრედი, სატრანსპორტო — 3 უჯრედი, საგზაო ტრანსპორტის უჯრედი — 1, დანარჩენი — 10, დაწესებულების — 5 და სასოფლო უჯრედი — 3.

ერწოს თემპარტკონფერენცია

22 ნოემბერს შესდგა ერწოს თემის პარტიული კონფერენცია. კონფერენციის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. ერწოს თემკომის ანგარიში, ა. ლ. კომკავშირისა, უჯრედის და აღმასკომის კონფერენციის თანამოხსენებით, 2. თემკომის გადარჩევა და მიმდინარე საკითხები.

თემკომის მუშაობის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. **ვ. ლეჟავამ**. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო მთელმა რიგმა ამხანაგებმა. ორატორები განსაკუთრებით აღნიშნავდენ იმ მიღწევებს, რომლებიც თემკომს აქვს. უნდა ითქვას, რომ ერწოს თემი ამ ორიოდე წლის წინ ძლიერ ჩამორჩენილი იყო. აქ თითქმის არავითარი მუშაობა არ სწარმოებდა. ამიტომ იყო, რომ ეს რაიონი ბანდიტიზმის ბუდეს წარმოადგენდა და მშვიდობიანი მოქალაქისათვის გავლაც კი საშიში იყო.

დღეს სურათი სავსებით შეიცვალა. თემკომის და თემის პარტორგანიზაციის გეგმაშეწონილი მუშაობით ბანდიტიზმი აღმოფხვრილია; გლეხობაში სწარმოებს პოლიტიკური და კულტურული მუშაობა, გაიღვიძა მასის აქტივობამ და სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალთა შორის მუშაობის გაცხოველება, რასაც შედეგად მოჰყვა ქალთა საერთო გამოფხიზლება და საზოგადოებრივი პოლიტიკურ მუშაობაში ჩაბმა.

მიუხედავათ ამ მიღწევებისა კამათში გამოსული ამხანაგები ნაკლსაც აღნიშნავდენ და მიუთითებდენ მის გამოსწორების საჭიროებაზე. [illegible] რომ ორგანიზაციაში ურევია თითო ოროლა არა სასურველი ელემენტები, რომელთაგან ის უნდა გაიწმინდოს, უნდა ჩაბმულ იქნეს მუშაობაში ერწოს თემის მშრომელი ინტელიგენცია, ა. ლ. კავშირის უჯრედების მუშაობა უნდა გამოსწორდეს და სხვა. კამათში აღნიშნული ყველა ნაკლი შეტანილ იქნა იმ დადგენილებაში, რომლითაც მომავალმა თემკომმა უნდა იხელმძღვანელოს.

კამათის შემდეგ თემკომის მუშაობა კონფერენციამ დამაკმაყოფილებლად სცნო და განსაკუთრებით აღნიშნა თემკომის მდივნის ენერგიული მუშაობა.

დასასრულ მოხდა ახალ თემკომების არჩევნები. კონფერენცია დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით.

დამსწრე.

როგორ ვმუშაობთ და ვსწავლობთ

(თბილისის მეორე საფეხურის საბჭოთა პარტიული სკოლა)

ამხ. ს. ორჯონიკიძის საბჭოთა პარტიული სკოლა მესამე წელიწადია რაც არსებობს. ორი წლის განმავლობაში ის ითვლებოდა 1-ლ საფეხურის სკოლად; მიმდინარე 1926—27 სასწ. წლის დასაწყისიდან ის გადაკეთებულია მე-2-ე საფეხურის სკოლათ ორი წლის კურსით. სკოლის კურსანტთა რაოდენობა განისაზღვრება 76 ამხანაგით. ამათგან 68 მამაკაცია და 8 დედაკაცი. შედგენილობის მხრივ სკოლა შემდეგ სურათს იძლევა: სოციალურ მდგომარეობის მიხედვით სკოლაში ირიცხება 40 მუშა, 29 გლეხი და 7 მოსამსახურე; პარტიულობის მიხედვით 40 კ. პ. წევრია, 16 კ. პ. კანდიდატი და 20 კომკავშირის წევრი; ეროვნებათა მიხედვით—38 ქართველია, 15 სომეხი, 14 რუსი და 9 სხვადასხვა ეროვნების. წელს მეცადინეობა დაიწყო 11 ოქტომბრიდან. მეცადინეობა ამჟამად სწარმოებს დალტონის გეგმის მიხედვით, რასაც წინ უსწრებდა შესაფერი მოსამზადებელი განმარტებითი კამპანია დალტონის გეგმაზე გადასასვლელათ. მოწყობილია 4 ძირითადი კაბინეტი: ისტორიული, ეკონომიური, ბუნების მეტყველების, ენების და 4 ქვე-კაბინეტი: მათემატიკის, პროფმოძრაობის, ეკონომგეოგრაფიის და სამხედრო. კაბინეტები მომარაგებულია ყოველივე საჭირო სახელმძღვანელოებით და სასწავლო ნივთებით. სკოლის ფარგლებში ჩამოყალიბებულია მთელი რიგი, როგორც სკოლის ისე კურსანტთა ორგანიზაციების, როგორიცაა—საგნობრივი კომისიები, სასწავლო კოლეგია, კლუბის საბჭო, კურსკომი და სხვა.

მეცადინეობის დაწყებისთანავე მოეწყო კომპარტიის და ა. ლ. კ. კ. უჯრედები. შექმნილია პარტწრეები, რომლის მუშაობა კურსანტებში იწვევს დიდ ინტერესს. ჩატარებულია მთელი რიგი კამპანიები, როგორც სადღესასწაულო ხასიათის, ისე სასკოლო-საორგანიზაციო ხასიათის. ჩატარდა ოქტომბრის დღესასწაული. სადღესასწაულო კამპანია გაგრძელდა 3 დღეს. თვითეულ დღეს დასმული იყო სხვადასხვა შინაარსის მოხსენება ქართულ-რუსულ ენებზე. 7 ნოემბერს სადღესასწაულო საღამოს მთელი სკოლის კოლლექტივის გადაწყვეტილებით სკოლას ეწოდა ამხ. **სერგო ორჯონიკიძის** სახელი.

აღსანიშნავია საერთოდ კურსანტთა მასის ინტერესი სწავლისადმი; მუშაობა ყველგან გაცხოველებულია; არც ერთი დარგი არ არის სკოლაში, სადაც მუშაობა არ ღვიოდეს. ყველაფერი ეს იძლევა საბუთს სრული იმედი ვიქონიოთ, რომ სკოლა მოგვცემს საბჭოთა ხელისუფლებისათვის ღირსეულ მუშაკებს.

№ 4921.

კომკავშირის უჯრედთა ბიუროების გადარჩევის შედეგები

(ლენინის რაიონში)

კომკავშირის უჯრედთა ბიუროების გადარჩევის წინ კომკავშირის ლენინის რაიკომმა ჩაატარა სათანადო მოსამზადებელი მუშაობა.

რაიკომის გაფართოებულმა პლენუმმა საუჯრედო ბიუროების წევრებთან და საუჯრედო კომისიებთან ერთად განიხილა გადარჩევის გატარების მეთოდები და წესები, რის შემდეგ რაიკომი შეუდგა თვით გადარჩევას.

საუჯრედო ბიუროების გადარჩევა ჩატარდა რაიკომის ბიუროს მიმაგრებულ წევრის მონაწილეობით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ გადარჩევას წარსულთან შედარებით ახასიათებდა უფრო დიდი აქტივობა, საქმიანი კრიტიკა, უჯრედთა მუშაობის თვითშემოწმება და დაბოლოს შინა-კავშირული დემოკრატიის სწორი გატარება.

კამათში საანგარიშო მოხსენებების გარშემო მონაწილეობას ღებულობდა საშუალოდ 12 კომკავშირელი თვითეულ უჯრედიდან. კომკავშირის რაიკომის დირექტივა ბიუროს გადარჩევის შესახებ 90 პროცენტით იქნა გატარებული, რის შედეგათ ჩვენ მივიღეთ ორგანიზაციის მუშაობის მიღწევების და ნაკლულოვანებათა ნამდვილი სურათი.

საუჯრედო კომისიების მუშაობა არ არის სავსებით მოწესრიგებული; ზოგიერთ უჯრედებში უკანასკნელთ ორიც კი ჰქონიათ სხდომები. ეს, ეჭვს გარეშეა, აიხსნება საუჯრედო ბიუროების სუსტი ხელმძღვანელობით საუჯრედო კომისიების მიმართ. უმეტეს შემთხვევებში მთლიან საკავშირო დღის წამოყენებული საკითხები არ მუშავდებოდა სავსებით, რის გამო კომკავშირელთა აქტივობაც სუსტია. ზოგიერთ უჯრედებში, როგორც კამათში მონაწილეთა პროცენტი, ისე კრების დამსწრეთა პროცენტი არ არის საკმარისი. ეკონომიური ხასიათის საკითხები, რომლებითაც დაინტერესებულია ახალგაზრდობა, იშვიათად ისმება. უჯრედების მონაწილეობა საზოგადოებრივ-ნებაყოფლობით ორგანიზაციებში—პასიურია, რის მიზეზათ უნდა ჩაითვალოს ნებაყოფლობითის საზოგადოების წევრთა ზედმეტი დატვირთვა. (ერთი და იგივე 3—4 საზოგადოებაში მუშაობს).

უნდა ითქვას, რომ პროფორგანიზაციებში მომუშავე ახალგაზრდობის პროცენტი გაიზარდა, მაგრამ ამასთანავე ერთად ჩვენ გვაქვს მთელი რიგი ნაკლულოვანებათა.

1) კომკავშირელები რეგულიარულად და წესიერად არ ესწრებიან ადგილკომების და სხვა კომისიების კრებებს და

2) კომკავშირელები არ აყენებენ ისეთ საკითხებს, რომლებიც ეხება ახალგაზრდობას.

საუჯრედო ბიუროების გადარჩევამ დაგვანახვა, რომ პარტიიდან კომკავშირის უჯრედებზე მიმაგრებულთა ინსტიტუტი არ არის სავსებით ჯანსაღი. მიმაგრებული ამხანაგები ან არ არიან მომზადებულნი, ან არ არიან გაცნობილი კომკავშირის მუშაობასთან, რის გამო პარტიის ხელმძღვანელობაც სუსტია.

მიღწევების სფეროში ჩვენ გვაქვს:

1) ჩვენი უჯრედების ნორმალური ზრდა.

2) ჩვენი კომკავშირის უჯრედების აქტივობის საკმაო ზრდა.

3) კომკავშირის მთელი ორგანიზაციის სიმტკიცის გამორკვევა შინაპარტიულ ბრძოლის დროს, მთელი ორგანიზაცია მხარს უჭერს კომკავშირის და პარტიის ცეკას.

4) გეგმიანობის განმტკიცება უჯრედის მუშაობაში.

5) უჯრედის მიერ წამოყენებულმა თვითშემოწმების კომისიებმა გაამართლეს თავისი დანიშნულება და მომავალში ასეთი კომისიების არსებობა აუცილებელი გახდა.

ბიუროები გადარჩეულ იქნა 43 უჯრედში. ახლად არჩეულ ბიუროების თვისებრივი შემადგენლობა ძველთან შედარებით გაცილებით გაუმჯობესდა. შემადგენლობა განახლებულია 49 პროცენტით. პარტიულ კადრის პროცენტი ახალ შემადგენლობაში 9,6 პროცენტით გაიზარდა. (იყო 30,0 პროც., არის 39,6 პროც.) რაც ითქმის ქალიშვილების მიმართაც. პროცენტი გაიზარდა 9,0%-ით. ეროვნულ და სოციალურ შემადგენლობის მხრივ საუჯრედო ბიუროები ძველებურია.

მ. პოპოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ნაყოფიერება მატულობს

ქუთაისი, 8 დეკემბერი. ქუთაისის „26 კომუნარის" სახელობის თამბაქოს ფაბრიკამ ნოემბრის თვეში გამოიმუშავა 5.539.000 ცალი პაპიროსი; პროგრამის მიხედვით უნდა დაემზადებინა 5 მილიონი ც. პაპიროსი. იმავე თვეში გაიყიდა 8. 861.000 ც. პაპიროსი და 1.125 გირვ. თამბაქო.

ნაწარმოებზე დიდი მოთხოვნილების გამო, შეუდგნენ ფაბრიკის გაფართოებას. მიღებულია ვლხისა და სატენი მანქანები. გარდა ამისა გზაშია კიდევ სხვა მანქანები. ფაბრიკის შენობა მნიშვნელოვნად არის გაფართოებული. (ადს).

ელექტროსადგურის გაფართოება

ქუთაისი, 8 დეკემბერი. ქუთაისის ელსადგურისათვის ზამესიდან მიღებულია 150 ცხ. ძალ. ძრავი. უახლოეს დღეებში შეუდგებიან ძრავის დადგმას. (ადს).

ტყის ხანძარი

ქუთაისი, 8 დეკემბერი. ბაღდადის სატყეოში დაიწყო ძლიერი ხანძარი. იწვის ტყის დიდი მოდანი. ცეცხლი მოიდო, უმთავრესად, ფოთოლოვან რაიონებს. ხანძარს აქრობს ადგილობრივი მოსახლეობა.

პარტაქტივის კურსები

ქუთაისი. 8 დეკემბერი. ქუთაისში გაიხსნა სოფლის უჯრედთა მდივნების გადასამზადებელი კურსები. კურსებზე იმეცადინებს 38 კაცი. კურსი გაგრძელდება თვის ბოლომდე. (ადს).

სესხი უღარიბეს გლეხობას

გორი, 8 დეკემბერი. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გორის მაზრის უღარიბეს გლეხობას გრძელვადიან სესხად მისცა—21.000 მანეთი. (ადს)

ხანძარი ბანკში

გორი, 8 დეკემ. კომუნალური ბანკის თბილისის განყოფილებაში გაჩნდა ცეცხლი რომელიც ადგილობრივმა მეხანძრეთა რაზმმა ჩქარა ჩააქრო. ზარალი უმნიშვნელოა. (ადს).

თელავის კოოპერატივის მუშაობა

თელავი, 8 დეკემბერი. 6 დეკემბერს თელავში გაიმართა თელავის ერთიანი მომხმარებელი საზოგადოების რწმუნებულთა კრება. კრებას 100 დელეგატი დაესწრო. თელავის ერთიანი მომხმარებელი საზოგადოება აერთიანებს 2.073 წევრს. საქონლის ბრუნვამ საანგარიშო წელში შეადგინა 550.000 მანეთი. წმინდა მოგება უდრის 15.150 მან. და განაწილებულია შემდეგნაირად: ძირითადი კაპიტალი 60 პროც., კულტურული მიზნებისათვის—8 პროც., პრემია წევრებისათვის—7 პროც. და უღარიბესთა ფონდში 5 პროც. კონფერენციამ მოიწონა ძველი გამგეობის მუშაობა. მოხდა კოოპერატივის გამგეობის გადარჩევა. (ადს).

ახალი საექიმო პუნქტი

ახალქალაქი, 8 დეკემბერი. სოფელ გორელოში, რომელიც მსხვილფეხა საქონლის რაიონის ცენტრს წარმოადგენს, იხსნება ახალი საექიმო პუნქტი. (ადს).

ვაშლის გატანა

ახალციხე, 8 დეკემბერი. ახალციხის სამაზრო აღმასკომმა თავის საბჭოთა მამულიდან მოსკოვში სარეალიზაციოდ გაგზავნა საზღვარგარეთული ჯიშის 10.000 ფუთი ვაშლი. (ადს).

აღმშენებლობა

ახალციხე, 6 დეკემბერი. სამაზრო აღმასკომმა შეიმუშავა ადგილობრივ მნიშვნელობის მძიმე წარმოებათა მოწყობის გეგმა. განზრახულია აგება: ყველის, საპნის, ლუდის და აგურკრამიტის ქარხნების. ამას გარდა განზრახულია ჯიშიან ღორების გაშენება და სამკურნალო მშუთხე-მარილის წყაროს ექსპლოატაცია. (ადს).

წერილები

მოგვიცით შესაფერისი მუშაკები

(ს. დილიკაური, შორაპ. მ.)

ამ სამი წლის წინად საბჭოს შუამდგომლობით დილიკაურში დაარსდა საექიმო პუნქტი შემდეგი შემადგენლობით: პუნქტის გამგე ექიმი, ფერშალი და ბებია ქალი. საექიმო პუნქტმა დიდი სარგებლობა მოუტანა გლეხობას. ისინი აღარ უცვარდებოდენ ექიმბაშებს ხელში და თავის დროზე დახმარებას ღებულობდენ საექიმო პუნქტზე. მაგრამ სამწუხაროდ შტატის შემოკლებით დათხოვნილ იქნა ბებია ქალი და ფერშალი.

ბებია ქალის დათხოვნით ექიმბაშებმა და სოფლის ბებია ქალებმა კვლავ დაიწყეს ფართოდ გლეხობის ყვლეფა. მათი წყალობით კვლავ მოიწამლა მშობიარე ქალი და ერთი თვის განმავლობაში „7" ახალგაზრდა ქალი მიწას მიაბარეს.

ასეთ სამწუხარო მაგალითებს ბევრს ექნება კიდევ ადგილი, თუ შესაფერი ზომები არ იქნა მიღებული.

ამის წინად ბოსლევის საბჭოს კრებაზე გამოირკვა, რომ დილიკაურიდან საექიმო პუნქტის გამგეც გადაყავდათ და მის ნაცვლად ფერშალი დაინიშნება. აღსანიშნავია, რომ ბოსლევის ექიმმა არ იცის ქართული. როგორ უნდა გააგებინოს ექიმს გლეხმა თავისი ტკივილები და როგორ შეეძლება მას მიიღოს რჩევა-განმარტება ექიმისაგან.

გარდა ამისა ბოსლევის ექიმის მთავარი უარყოფითი მხარე იმაში გამოიხატება, რომ ის ვიზიტის დროს იღებს ზედმეტ ხელფასს.

საბჭოს კრებაზე ექიმს ბრალდებათ წაუყენეს, რომ მან ვერსი-ნახევარ მანძილზე 25 მან. აიღო გლეხისაგან. ექიმმა ასე იმართლა თავი, „ოქტომბრის რევოლუციის დღე იყო, თავისუფალი ვიყავი და მეტიც შემეძლო ამეღოო". ექიმი ჩვენს თემში საჭიროა და მასთან ბებია ქალიც. მაგრამ ამ თანამდებობაზე უნდა გამოიგზავნოს შესაფერისი მუშაკები.

ამბროსი სალამე.

საკრედიტო ამხანაგობები იზრდება

(ზუგდიდი)

სას.სამ. საკ. ამხანაგობების მუშაობა ზუგდიდის მაზრაში იზრდება როგორც თვისებრივათ, ისე რიცხვობრივად. ამის დამამტკიცებელია შემდეგი: მიმდინარე წლის პირველს აპრილს მთელს მაზრის ყველა ამხანაგობებში ირიცხებოდა—2.624 წევრი, 1-ლ ოქტომბრისათვის კი— 4.685 წევრი. საპაიო გადასახადი ამავე ხნის განმავლობაში 14.599 მან. გაიზარდა 27.677 მანეთამდე.

თუ წინად გლეხობა სას.-სამ. საკ. ამხანაგობებს საეჭვო თვალით უყურებდა, დღეს მას ღარიბი და საშუალო გლეხობა დიდი ნდობით ეპყრობა.

პირველი აპრილისათვის მაზრის სას.სამ. საკ. ამხანაგობებს არც ერთი კაპეიკი არ ჰქონდა ანაბარი გლეხობიდან, დღეს კი ჩვენ ვხედავთ სულ სხვა სურათს. 5.164 მანეთი 92 კაპეიკი ირიცხება დღეს ანაბარი გლეხობიდან. მაგრამ მდიდარი გლეხები მაინც უხურხულებენ ღარიბებს და საშუალო გლეხებს, რათა გული აუცრუონ მათ საკრედიტო ამხანაგობებზე. მაგრამ ამათი მშრომელი გლეხობა მჭიდროთ დაუახლოვდა საკრედიტო ამხანაგობებს და კულაკების ანკესზე არ წამოეგება.

ე. ციმინტია.

საქმეები იგვიანებს

(ხორშის თემი, სენაკის მაზრა)

ჩვენი თემის გლეხობას ბევრი სადაო საკითხები შეაქვს გასარჩევად სენაკის უბნის სახალხო სასამართლოში. წინედ კი საქმეები იქვე სასამართლოს კამერაში ირჩეოდა, რაც საზარალო იყო. როგორც მომჩივნების, ისე მოპასუხეებისათვის, ვინაიდან ქალაქში წასვლა - წამოსვლაში და მოწმეების წაყვანაში ზედმეტი ხარჯები მიდიოდა.

ახლო ხნებში სასამართლოს მუშაობაში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის თანახმად თემში ინიშნებოდა სესიები და იქვე ადგილობრივად ირჩეოდა საკითხები. ასეთი ცვლილება მეტად მიზანშეწონილიც არის ღარიბ გლეხობისათვის, მაგრამ ჯერ-ჯერობით აცილებული არ არის ერთი ნაკლი. ხსენებული ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლო მეტის-მეტად აგვიანებს საქმის გარჩევას.

ხშირია ისეთი შემთხვევები, რომ გლეხი 1—2 წელიწადს ვერ ღებულობს მის მიერ შეტანილ საჩივარზე სასამართლოს განაჩენს. საქმის ასეთი გაჭიანურება უხერხულ მდგომარეობაში აგდებს მოქალაქეებს. საჭიროა, ეს ნაკლი მომავალში მაინც გამოსწორდეს.

გ. ქ.

წინასწარ სამზადისის შედეგი

(გორის მ.)

მთელ მაზრაზე გაწერილი იყო ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი—154.585 მან. და 15 კაპ. რაოდენობით.

ნოემბრის 15 რიცხვამდე შემოსულია 50.807 მან., რაც ამტკიცებს იმას, რომ ჩვენი გლეხობა მომზადებულად შეხვდა წრევანდელ გადასახადს. თუმცა მრავალ გაუგებრობებს ჰქონდა ადგილი გაწერის დროს, მაგრამ მაზრაღმასკომის მიერ მიღებულ ენერგიულ ზომებისა, შესწორებულ იქნა მრავალი დეფექტები.

უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს გლეხები მეტად მომზადებულნი დახვდენ გადასახადს და შეგნებულად იხდიდენ თავიანთ წილილს. ეს გარემოება საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ გადასახადის კამპანია მიმდინარე წელს წარმატებით ჩაივლის.

ლიახველი.

როდემდე ველოდოთ მატყუარას?

(ცდო, დუშ. მ.)

ჩვენი სოფელი ყოველ მხრივ ჩამორჩენილია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი უდიდესი ნაკლი, რომელიც აუცილებელია ადამიანის ცხოვრებაში.

უწისქვილოდ ძალიან ვიტანჯებით. წისქვილები თუმცა გვაქვს, მაგრამ 4 დღეში ერთ ტომარა პურს ძლივს ფქვავს. ზამთრობით სრულიად გაუქმებულია, რის გამოც 5 ვერსის მანძილზე დაგვაქვს ყაზბეგში საფქვავი ფეხით.

ველარ შევსძლებთ ასეთ პირობებში ცხოვრება და მივმართეთ ზეინკალს სოლომონ ალიბეგაშვილს, რომ გაეკეთებინა ისეთი წისქვილი, რომელიც ზამთარ-ზაფხულ იმუშავებდა. ალიბეგაშვილმა მოგვცა პირობა, რომ ჩქარა გამართავს ასეთ წისქვილს. მოვრიგდით და წინდაწინ მივეცით 160 ცხვარი და დანარჩენი ცხვრები კი გაკეთების შემდეგ უნდა მივეცა.

2 წელიწადია ველოდებით წისქვილის აშენებას, მაგრამ კედლების მეტი არაფერია აშენებული.

როდემდე უნდა ველოდოთ მატყუარას?

შვილდისარი.

მუშათა ცხოვრება

ვინ უნდა მიიღოს ზომები

ვინც ხელს უშლის მუშათა და გლეხთა წარმოების წინსვლას და აღორძინებას, იგი უნდა იქნეს პასუხისგებაში მიცემული და ჩვენი დაწესებულებებიდან განდევნილი.

საქმე შემდეგშია: ჯერ ისევ 1924 წელს შეეტყო ტრანსპორტს ნორმალური მსვლელობა და რამდენი დრო გადიოდა, იმდენად მოძრაობა იზრდებოდა და ფართოვდებოდა. დღეს ამ მხრივ დიდი მიღწევები გვაქვს. თუ 1924 წ. ბაქო და ბათომისაკენ მიმოსვლაში იყო სახარგო და საგზაო მატარებელი დღეში მხოლოდ 3—4, დღეს კი უკვე დაირბის 9—10 მატარებელი, თუ ლენინაკანში და კახეთში მოძრაობდა მაშინ ორ დღეში ერთი, დღეს დადის 2—3 და ოთხიც, ასე რომ მიმოსვლა, გადაზიდვა მასალის და სურსათის გაიზარდა 150—200 პროცენტით, შედარებით 24 წელთან.

აგრეთვე გაიხსნა ყველა ის დახურული წვრილი სადგურები, რომელნიც გაუქმებული იყვნენ 1924 წელში. წარმოების წინსვლამ გამოიწვია ლიანდაგების გაფართოება სადგურებზე. ამის მიზეზი ის იყო, რომ თბილისის სადგური ვერ ასწრებდა შემადგენლობის დროზე შეყრას და გადაგზავნას ამა თუ იმ მხარეს.

ამას გარდა, სამმართველომ გააფართოვა სადგურ ნავთლუღის ლიანდაგები ისე, რომ თუ 25 წელს თბილისის სადგურს უხდებოდა მთელი 100 პროც. შემადგენლობის აღლუმის შესრულება, დღეს მთელი მოძრაობიდან ნავთლუღი აძლევს აღლუმს—70 პროც. აქ დაახლოებით არის საალლუმო 20—25 ლიანდაგი. აგრეთვე მუშაობს 4 ორთქლმავალი, ამდენივე შემადგენელი, გადამბმელი და მეისრეც.

დღე-ღამის განმავლობაში ყოველ 12 ს. შემდეგ, ორთქლმავალთა გუნდი იცვლება. შემადგენლობაში თითოეულს აქვს დაკავებული 4-5 ლიანდაგი რონოდების გასანაწილებლად. თითო ორთქლმავალმა დღე-ღამის განმავლობაში უკანასკნელი სამი შემადგენლობა უნდა შეადგინოს 60 რონოდიდან—20-25-მდე.

ამას გარდა, სადგ. ნავთლუღში დღე-ღამის განმავლობაში შემოდის ყველა მხრიდან 300—350 რონოდა, გარდა იმ საგზაო მატარებლებისა, რომელსაც პირდაპირ დანიშნულება აქვს. როგორც მაგ. ბაქო-ბათომი, ბათომი-ბაქო და ბაქო-ლენინაკანი და სხვა.

ერთი შეხედვით აქ თითქოს ყველაფერი ნორმალურად და წესიერად კეთდება, მაგრამ თუ ჩვენ ძალიან ახლოს მივუდგებით ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხს, ჩვენ აქ დავინახავთ, რომ აქ სადღაც დამარხულია „ძაღლის თავი", და ყველაფერი არ არის თავის რიგზე.

ვნახოთ რას გვეტყვის საბუთები: „დეცება"-ს (მოძრაობის და განმანაწილებელი განყოფილება) აგენტები და სადგურის კანტორის მოხელეები შეთანხმებით აწარმოებენ თავიანთ „საქმეებს", რომელიც დიდად ხელს უშლის მოძრაობას და წესიერ მიმოსვლას და ხელს უწყობს ზედმეტ ხარჯებს და სხვა.

ასეთი უთავბოლო მუშაობა იწვევს ორთქლმავლებისა არეულ-დარეულად გაგზავნა-გამოგზავნას, მატარებლების შეჩერებას 10—20 საათით. ამის შესახებ ბევრი დაიწერა და იწერება დღესაც ყველა გაზეთებში, მაგრამ დღემდე ამ საქმეს არა ეშველა რა. რამდენი დრო გადის, იმდენად ხელის შეშლა ფართოვდება და ზარალიც ძალზე იზრდება. უქმად მდგომი ბრიგადების, რონოდების და ორთქლმავლების დაგვიანებით გამო იხარჯება აუარებელი ფული და სათბობი მასალა.

მოვიყვანოთ რამოდენიმე მაგალითი ერთი მესადღისა: 23 ნოემბერს სადგ. ნავთლუღმა გამოიწვია მემუხრუჭეთა „ბრიგადა" შემადგენლობის მისაღებად. მიიღეს და იდგნენ 18—20 საათი. მოითხოვეს შეცვლა და კიდეც შესცვალეს. მატარებელი კი 24-ში მიიღო ახალმა ბრიგადამ და საგზაო № 331 გაემგზავრა ბაქოსაკენ, მაგრამ ალსტაფის მორიგემ იგი არ მიიღო უადგილობის გამო და შემადგენლობა დასტოვეს სადგ. შამქორში, ორთქლმავალი და ბრიგადა კი მარტოდმარტო წავიდა ალსტაფაში, როდესაც სამორიგეო ოთახში შევედით და ვნახეთ წიგნი, გამოირკვა, რომ ორთქლმავალი გუნდი უკვე დასვენებულია 8 საათზე მეტი და რაც სამუშაოდ გამოძახებაზე კი არავინ ფიქრობს. (კანონით 6 საათს ისვენებენ და თუ საჭიროა ერთი ანუ ორი საათით ადრეც გვიხმობენ). მათთვის დროზე რომ გამოეძახათ, ერთი ლიანდაგი მაინც იქნებოდა განთავისუფლებული, შემადგენლობას გაუშვებდა დროზე და მეორეს მიიღებდა.

20 ნოემბერს სადგ. ნავთლუღში იდგ ორთქლმავალი № 2179 მთელი ბრიგადით და მემუხრუჭე გამყოლები 10 საათი.

16 ნოემბერს საგზაო № 316 გააჩერეს სადგ. გარდაბანში და ველში 12 საათი 20 წ. სადგ. ნავთლუღი მას არ ღებულობდა.

25 ნოემბერს საგზაო № 324 ამავე სადგურებზე გააჩერეს 9 საათი 45 წ.

ამავე დღეს საგზაო № 196 ორთქლმავალი 1157-ით გააჩერეს 9 საათი 55 წუთი და სხვა ასეთ გაჩერებებით 10-12 საათის განმავლობაში მატარებლებს თამამად შეუძლიან ალსტაფაში ჩასვლა და დაბრუნება, ისინი კი სდგანან ერთ ადგილზე და ყველა მათზე მომუშავეთ ამ უსაქმობაში ეწერებათ სამუშაო საათები. რონოდები სურსათის გადასაზიდად არ არის, საყუდელში არაა ორთქლმავლები და თუ მოდის მაშინვე იგზავნება. გზაში კი იგი ფუჭდება და ხშირია ისეთი მოვლენაც, რომ თხოულობენ მარქაფს, შემდეგ შეკეთება ორკეცდება და აუარებელ ხარჯებს იწვევს ასეთი უთავბოლო „მუშაობა".

საჭიროა ამ ბოროტებას ბოლო მოეღოს.

მუშა შავსოფლელი.

სად. გორის ადგილკომის და მუშათა კლუბის მუშაობა

სადგ. გორის ადგილკომი აერთიანებს 300-მდე მუშა-მოსამსახურეს.

ადგილკომთან არსებობს შემდეგი კომისიები შემფასებელ-საკონფლიქტო, შრომის დაცვის, კულტკომისია, სატარიფო-ეკონომიური და სხვ. ადგილკომის დადგენილების თითქმის 80 პროც. ტარდება ცხოვრებაში. ადგილკომის დელეგატებად ითვლება—32 კაცი, რომელსაც ჰქონდა 3 სხდომა.

მუშებს გამოწერილი აქვთ სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები.

მოწყობილია სამკითხველო.

საერთოდ ჩვენი ადგილკომის მუშაობა დამაკმაყოფილებელია.

ამავე სადგურზე არსებობს მუშათა კლუბი, რომლის კულტურული მუშაობა შემდეგში მდგომარეობს: კლუბის ირგვლივ შემოკრებილია 210 მუშა-მოსამსახურე. არსებობს სხვადასხვა წრეები, როგორიც არის დრამატიული წრე, მომღერალთა გუნდი, პოლიტ-წრე, ფიზკულტურის წრე და სხვა. ქართული დრამწრის მუშაობაში ჩაბმულია 36 კაცი. წრის მიერ სისტემატიურად იმართება სალამო-წარმოდგენები.

ადგილობრივ გამოდის კედლის გაზეთი „წითელი ჩაქუჩი"-ს სახელწოდებით. მუშკორთა ორგანიზაციაში ჩაბმულია 13 მუშა-მოსამსახურე, მუშები აშუქებენ, როგორც ადგილობრივ საჭირბოროტო საკითხებს, ისე კლუბის ცხოვრების დადებითი და უარყოფითი მხარეებს. არსებობს თავისუფალი საზოგადოების უჯრედები: „ავიაქიმი", „წერაქვი" და „რეშედახი".

მოწყობილ იქნა 3 ექსკურსია თბილისში, ბაქოსა და ბათომში.

დაიდგა სულ 52 სალამო-წარმოდგენა, 4 ლიტერატურული გასამართლება, კითხვა-პასუხის სალამო და სხვა. კლუბის გამგეობის შემუშავებული აქვს მომავალი მუშაობის გეგმა, რისი ცხოვრებაში გატარებით გაცხოველდება კულტურული მუშაობა.

მუშკორი თბილისელი.

რა კეთდება რკინის გზის ადგილკომში

(სადგ. ნატანები)

სადგ. ნატანების რკინის გზის ადგილკომთან არსებობს ოთხი მუდმივი კომისია, როგორიც არის კულტკომისია, შრომის დაცვის, საწარმოო და სატექნიკაციო, როგორც ადგილკომს, ისე მათთან არსებულ კომისიებსაც აქვთ ორ-თვიური სამუშაო გეგმები და მუშაობა სწარმოებს გეგმისამებრ. კულტკომისიის ხელმძღვანელობით დაარსებულ იქნა ს-ქ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა და მცირე წიგნთსაცავი ნატანებში და წყალწმინდაზე. აღნიშნულ სკოლებს ჰყავს 28-მდე მსმენელი. ადგილკომი აწარმოებს დაჟინებით წესით მუშაობას სადგ. ნატანებში—საექიმო პუნქტის გახსნისათვის. ვითხოვთ წითელ სასადილოს რკინისგზელებისათვის.

ქარდმ.

წარმოდგენა მუშებისათვის

4 დეკემბერს სადგ. გურჯაანის მუშათა კლუბში გაიმართა სალამო-წარმოდგენა. დაიდგა 2 მოქმედებიანი კომედია „ჯერ დაიხოცენ, მერე იქორწინეს". აღსანიშნავია, რომ ასეთ მივარდნილ პროვინციის პატარა კუთხეშიც გვყავს სათანადოთ მომზადებული ძალები, რომლებმაც შესძლეს მშრომელთა დაკმაყოფილება სულიერი საზრდოს მიწოდების მხრით.

წარმოდგენა ჩატარდა ადგილობრივ ძალებით. „ოსიფის" როლს თამაშობდა შ. ჩალაური, რომლის მოხდენილმა თამაშმა აღტაცებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება. კარგი იყო აგრეთვე „ელისაბედის" როლში ნ. ხაეიცკაია. არა უშავდა რამ. გაჩეჩილაძეს-ს. პიესის მწყობრად ჩატარებას ხელს უწყობდენ დანარჩენებიც.

ბოლოს დაიდგა ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი „მათიკო". კარგი იყო ესეც.

დასასრულ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კლუბი არ იყო გამთბარი, რასაც კლუბის გამგეობამ უნდა მიაქციოს ყურადღება.

მსახიობი.

მოაგვარეთ ხელფასის გაცემის საკითხი

რკინის გზის მთავარ სახელოსნოს ადმინისტრაცია ბევრ ენერგიას ხარჯავდა, რომ წარმოება სწორი მუშაობით და შრომის რაციონალიზაციით აღდგენილიყო, 8 საათის სამუშაო დღე განმტკიცებულიყო, შრომის ნაყოფიერება გაზრდილიყო და სხვა. მაგრამ ხელფასის დროზე დარიგების საკითხის მოგვარებას არაფერი არ ეშველა.

უწინ ჯამაგირები რიგდებოდა განსაკუთრებულ დელეგატების და „პაკეტების" საშუალებით ყველა საამქროებში იმ დროს, როდესაც მუშები დაზგაზე მუშაობდენ, მაგრამ ადმინისტრაციამ შესცვალა ეს წესი და შემოიღო ჯამაგირების ჩვეულებრივად დარიგება. მძიმე შრომისგან დაღლილ დაქანცული მუშა 3 საათს უნდება ფულის აღებას, რაც მიზანშეუწონლად უნდა ჩაითვალოს.

საჭიროა დაუბრუნდეთ „ისევ ძველ წესს" და მუშებს ჯამაგირი დაურიგდეთ დელეგატების და პაკეტების საშუალებით. ამით მუშაც არ მოსცდება სამუშაოს და წარმოებაც არ იზარალებს.

მუშკორი ვ. ნ. ბ. ეი

მუშათა ქრონიკა

— **აღდგენა.** თბილისის საუბნო პროფკავშირმა დაავალა ხაზის ადგილკომებს ჩაატარონ კამპანიები ურთიერთ დამხმარე სალაროების აღდგენა-გაძლიერებლად.

— **მუშაობის გეგმა.** ამხ. ბ. ძნელაძის და ოქროევის სახ. კლუბის გამგეობამ დაავალა მეჭადრაკეთა წრეს, შეიმუშაოს მომავალი მუშაობის გეგმა.

[illegible] სალარომ შუამდგომლობა აღძრა ჯანმრთელობის სამმართველოს წინაშე, რომ ალსტაფაში გაიხსნას კბილის საექიმო კაბინეტი რკინისგზელთათვის.

— **წარმოება გაიზარდა.** უკანასკნელ თვეებში სად. თბილისში მოძრაობამ მოიმატა 17 პროცენტით.

— **შეშა.** ა.-კ. რკ. გზ. გამგეობამ ხელშეკრულება დასდო სატყეო განყოფილებასთან 7000 კუბ. საჟენი შეშის დამზადების შესახებ.

— **ექიმი ქირურგი.** ა.-კ. რკ. გზის დამზღვევ სალარომ შუამდგომლობა აღძრა ჯანმრთელობის სამმართველოს წინაშე, რომ განჯის საავადმყოფოში გაიგზავნოს ექიმი—ქირურგი.

— **კომისია.** ამხ. ბ. ძნელაძის და ოქროევის სახ. კლუბის გამგეობამ გამოყო კომისია 3 კაცისაგან, რომელიც შეიმუშავებს მომავალ სამუშაო გეგმას.

— **სადგ. თბილისის** მოძრაობის დარგის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ დაადგინა: ვინაიდან ზოგიერთი მემუხრუჭეები ინიშნებიან არა თანასწორ მატარებლებზე, რითაც აკლდებათ მათ ხელფასი, დაევალოს ადმინისტრაციას მოაგვაროს ეს საკითხი.

— **გრაფიკი.** თბილისის საუბნის ადგილკომმა დაავალა გრაფიკის გამწესრიგებელს, რათა თავის დროზე შეადგინოს იგი.

— **წიგნები.** ამხ. ბ. ძნელაძის და ოქროევის სახ. კლუბის გამგეობამ დაავალა სამკითხველოს გამგეს, რათა შეიძინოს პოლიტიკური შინაარსის წიგნები.

მუშათა განათლების ამოცანები

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სხვათა შორის დაჟინებით მოითხოვს მრეწველობისათვის კვალიფიციურ მუშების საკმაოდ მომზადებას. დღეს კი ამ მხრივ ყველაფერი თავის რიგზე არ არის.

მუშათა ახალგაზრდობის შრომის სოციალისტურ ორგანიზაციის ძირითად ტიპად ითვლება საქარხნო - საფაბრიკო შეგირდთა სკოლა. ის აძლევს არა ვიწრო კვალიფიციურ მუშებს, არამედ აძლევს შეგირდებს ზოგად და პოლიტიკურ განათლებას. ამ სკოლაში ერთმანეთთან შეფარდებულია თეორია და პრაქტიკა, ცოდნა და შრომა. ეს სკოლა წარმოადგენს მარქსის და ლენინის შეხედულების გამართლებას—მუშათა განათლების საკითხებზე.

ჩვენში არსებობს მხოლოდ ექვსი საქარხნო-საფაბრიკო შეგირდთა სკოლა, რომელთა მდგომარეობა უნუგეშოა მატერიალურ უსახსრობის გამო. ამ სკოლებს სამეურნეო ორგანოები ვერ ითვისებენ იმისათვის, რომ მათ მეტი თანხები სჭირდება, ვიდრე მუშათა განათლების სხვა ფორმას, რომელთაც ამ სკოლის მაგიერობის გაწევა არასოდეს არ შეუძლიათ.

ეს მდგომარეობა უსათუოდ უნდა გამოსწორდეს, და ყველამ უნდა შეიგნოს, რომ ამ სკოლას აქვს არა მარტო სამეურნეო, არამედ უდიდესი პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობა. გარდა ამისა, ამ სკოლებს ესაჭიროება თვისობრივი გაუმჯობესება. ეს უნდა წარიმართოს შემდეგი მიმართულებით: სკოლის პროგრამის თეორიტიულ ნაწილის საწარმოო აღზრდასთან მეტი დაკავშირება და ამ უკანასკნელის გაძლიერება, სკოლების უზრუნველყოფა ლაბორატორიებით, კაბინეტებით და სასწავლო სახელოსნოებით, გამოცდილ და კომპლექტური მასწავლებელთა კადრის შექმნა, სახელმძღვანელოების გამოცემა. საწარმოო სწავლების რაციონალიზაციისათვის აუცილებელია შრომის ცენტრალურ ინსტიტუტის მეთოდების გამოყენება. სამწუხაროდ ჩვენში ჯერაც არ არსებობს ამ ინსტიტუტის განყოფილება.

ეხლა ამ სკოლაში ღებულობენ მოზრდილებს, ოთხწლედის ცოდნის მქონეთ; მომავალში უნდა შევსძლოთ შვიდწლედის ცოდნის მქონეთა მიღება, რაც შეამცირებს სკოლის სასწავლო დროს და ხარჯებს.

ახალი სკოლების გახსნა საჭიროა თბილისის რკინისგზის მთავარ სახელოსნოებთან, ჭიათურაში და ტყიბულში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ სკოლებში მუშების მომზადება მთლიანად უნდა შეეფარდოს მრეწველობის საჭიროებას და სკოლის კურსდამთავრებულნი უზრუნველყოფილი უნდა იყვენ, რომ ისინი უშუალოდ წარმოებაში ჩაებმებიან.

მრავალ წვრილ წარმოებათა არსებობა და მატერიალურ საშუალებათა სიმცირის გამო შეუძლებელია ჯავშანში მყოფ ყველა შეგირდთა ამ სკოლაში მოთავსება, ამიტომ გამოყენებულია განათლების სხვა ფორმები.

სახელდობრ — ინდივიდუალური და ბრიგადული შეგირდობა. ამ საქმის თავის სიმაღლეზე დასაყენებლად საჭიროა, რომ შეგირდები კვალიფიციურ მუშების უბრალო დამატებას არ წარმოადგენდენ, არამედ მათგან ცოდნის და გამოცდილების იძენდენ. უნდა გაძლიერდეს კონტროლი და ხელმძღვანელობა. ადგილკომების მიერ, სისტემატიურად უნდა ხდებოდეს შეგირდთა ცოდნის შემოწმება და მათი ხარისხის ამაღლება და მოზრდილ მუშებისათვის უნდა გაიხსნას პროფტექნიკური კურსები. ეს საჭიროა პირველთა მოსამზადებლად, ხოლო მოზრდილთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

ზოგჯერ შეიძლება პროფტექნიკური კურსები — მუშათა საღამოს სკოლებით შევცვალოთ. ამ მიზნით უნდა გამოვიყენოთ მოსკოვის და სხვა სამრეწველო ქალაქების გამოცდილება.

გარდა ამისა, როგორც ამდენხანს, ისე მომავალში მუშები ფართოთ უნდა ჩაებათ მუშფაკებში, მაღალ ტიპის საღამოს სკოლებში; უნდა დავამუშაოთ საკითხი თბილისში მუშათა ფაკულტეტის დაარსების შესახებ. ძლიერ მწვავედ სდგას საკითხი ახალ წარმოებათათვის (ქაღალდის, ცემენტის, სოფიპროს და სხ.) მუშების მომზადების შესახებ. ჩვენში ახლა ამ მუშების მომზადება შეუძლებელია, ამიტომ უმჯობესია ისინი უნდა გავგზავნოთ რუსეთის სათანადო ქარხნებში, სადაც მიიღებენ შესაფერის კვალიფიკაციას და შეეძლებათ აქ მუშაობა. ამ საქმის ეხლავე სჭირდება მოგვარება.

დასასრულ უნდა შევეხოთ იმ გარემოებას, რომ არ არსებობს სწორი სტატისტიკური ცნობები, თუ მრეწველობის რომელ დარგში რამდენი დაბალი. საშუალო და მაღალი კვალიფიკაციის მომუშავეა საჭირო. ეს ანორმალობა ძირიანად უნდა აღმოიფხვრას.

ყოველივე ზემოხსენებული ზომები უდიდეს რეალურ დახმარებას გაუწევს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას.

შ. უ—ლი.

ზაჰესი

თბილისში ამჟამად არსებული ელექტრო-სადგურები ზაჰესის ამუშავების შემდეგ გადაეცემა მაზრებს შეღავათიან პირობებში. ქალაქში დატოვებული იქნება მარტო ერთი მძლავრი ელექტრო-სადგური ყოველ შემთხვევისათვის. პირველ წლის განმავლობაში იმუშავებს აგრეთვე ტრამვაის ელექტრო-სადგური.

თითქმის ყოველ მაზრიდან მოდის შუამდგომლობანი მათზე ელექტრო-სადგურების გადაცემის შესახებ. განზრახულია დაარსდეს სპეციალური კომისია, იმის გამოსარკვევად თუ რომელ მაზრას უფრო ესაჭიროება ელექტრო-ენერგია და აქვს უნარი შეინახოს სადგური და ამავე დროს გამოიყენოს ის, როგორც განათებისათვის, ისე ადგილობრივ მრეწველობათა საჭიროებისათვის.

უპირველესობა მინიჭებულ მაზრებისათვის გადაცემულ ელ.-სადგ. აღებული ფულით, გაფართოებული იქნება ზაჰესის ქვე-სადგურების რიცხვი ქალაქისა და მისი მაზრების სრული ელექტროფიკაციისათვის.

ტრამვაის მეურნეობის გამოკვლევა

ა. კ. ელექტროფიკაციის შესწავლისა და გამოკვლევის საკითხთან დაკავშირებით მუშათა და გლეხთა ინსპექცია იწყებს ტრამვაის მეურნეობის გამოკვლევას თბილისსა და ბაქოში.

გამოსაკვლევი მუშაობის პროცესში შესწავლილ იქნება ტრამვაის ტარიფიკაციის პრინციპები და საკითხი ტრამვაის ტარიფის შემცირების შესაძლებლობის შესახებ; გამოკვლეულ იქნება აგრეთვე ტრამვაის ტექნიკური განყოფილება, ტრამვაის მოძრაობა, მოძრავი შემადგენლობა, გამოკვლეულ იქნება, რამდენად სწორია ტრამვაის ხაზების მიმართულება, როგორია რემონტის ტექნიკური და ორგანიზაციული პირობები, როგორ არის მოწესრიგებული ტრამვაის წესიერი მოძრაობის მეთვალყურეობა, როგორია კონტროლის პრინციპები და მეთოდები; როგორ ხდება ტრამვაის სამუშაო დროის გამოანგარიშება, როგორია ტრამვაის სადგომი პარკების მდგომარეობა და სხვა. ამასთან ერთად მოხდება საჭირო და საკაბელო ქსელის, ელდენის მიწოდების, სამმართველოს აპარატის, სამეურნეო მატერიალურ განყოფილების, ბუხჰალტერიის, შრომის ნაყოფიერებისა და ხელფასის, საწარმოო თათბირების მუშაობის გამოკვლევა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა უბედურ შემთხვევებთან ბრძოლის საკითხს. დასასრულ გამოკვლეული იქნება ტრამვაის მოძრაობის და ტრამვაისათვის ელექტრო - ენერგიის მიწოდების პერსპექტივები.

კერძოდ მოხდება ტრამვაის ქსელის გაფართოების გეგმის ანალიზი. როგორც გამოირკვევა, თუ რამდენად ეთანხმება ტრამვაის ქსელის გაფართოების გეგმა ქალაქის გაფართოების გეგმას.

სას. სამ. განათლება

ყველა ტიპის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმები და სასოფლო-სამეურნეო სპეციალური სკოლები მიზნათ ისახავენ გლეხურ მოზარდ თაობის აგრონომიულ დარგში მომზადების გარდა, მეურნე გლეხობაში სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელებასაც.

ამიტომ განათლების სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა ამ სკოლების ადგილებზე სწავლა-მუშაობის გეგმა, რომლის თანახმად სკოლების და ტექნიკუმების გამგეებმა სკოლის პრაქტიკულ მუშაობის ხასიათის გამოსარკვევისა და საცდელ-სანიმუშო მუშაობის ფორმების და წესების შემუშავების დროს უნდა მოიწვიონ ადგილობრივი აგრონომიულ დარგის მუშაკები და მათთან ერთად შეიმუშაონ სკოლის განზრახვა ადგილობრივ გავრცელებულ სასოფლო-მეურნეობის ამა თუ იმ დარგთან დაკავშირებით. ეს გარემოება ერთის მხრივ გაანაყოფიერებს სკოლის მუშაობას, და ამავე დროს ხელს შეუწყობს აგრონომიულ ცოდნის გავრცელებას ხალხში. ამასთან ერთად აღნიშნულ სასწავლებლების გამგეებს ევალებათ თვითონ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ რაიონულ და სამაზრო აგროპერსონალის ყოველგვარ თათბირებში.

ლიცენზიების მიღება

ს. მ. უ. ს. სატექნიკო ქიმიურ-სამრეწველო ლაბორატორიის საჭიროებისათვის მიღებულია ლიცენზიები საზღვარგარეთიდან შესაფერი აპარატების გამოსაწერათ.

სულ გამოწერილი იქნება 8.000 მანეთის აპარატები და მოწყობილობანი, რომელსაც მიიღებენ ამ ორ თვეში. აპარატების მიღებისა და დადგმის შემდეგ ლაბორატორია შეუდგება შესაფერ ნაწარმოებების დამზადებას, როგორც სხვა ლაბორატორიებისათვის, ისე ჩვენი ქიმიური მრეწველობისათვის.

ანალიზების მოსახდენად ს.მ.უ.ს. ლაბორატორიას უკვე აქვს მოწყობილი შესაფერი აპარატურა. ახალ ლაბორატორიაში მუშაობა დაიწყება დეკემბრის ბოლო რიცხვებიდან.

კრემატორიუმი

თბილისის ცენტრში მდებარე სასაფლაოებზე უკვე აღარ არის ადგილი მიცვალებულთა დასაკრძალავათ. უკვე წელიწადია, რაც ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე და დიდუბეში შეწყვეტილია მიცვალებულთა დაკრძალვა. ამჟამად მიცვალებულთა დამარხვა სწარმოებს ვერის ახალ და კუკიის სასაფლაოზე. 1 წლის შემდეგ მოსალოდნელია, რომ ამ სასაფლაოებზედაც აღარ იქნება ადგილი მიცვალებულთა დასამარხავად, ხოლო ქალაქის მახლობლად სხვაგანაც არ მოიპოვება შესაფერი ადგილი სასაფლაოს მოსაწყობათ. ასეთ პირობებში აუცილებელი ხდება კრემატორიუმის მოწყობა თბილისში.

როგორც ამის წინად ჩვენს გაზეთში იყო ცნობა, თბილისის აღმასკომის კომუნალურმა განყოფილებამ უკვე გადასდგა პრაქტიკული ნაბიჯები ამ განზრახვის განსახორციელებლად. აღმასკომს მოლაპარაკება ჰქონდა გერმანიის ერთ-ერთ ფირმასთან, რომელიც თანახმაა იკისროს თბილისში კრემატორიუმის დადგმა. მუშაობა კრემატორიუმის ასაგებად დაიწყება 1927 წლის დამდეგს. კრემატორიუმის აგება და მოწყობა ჯდება 120 მანეთი. საბჭოთა კავშირში თბილისის კრემატორიუმი იქნება მეორე, პირველი კრემატორიუმი მოეწყო ლენინგრადში.

საბინაო მშენებლობა

საბინაო მშენებლობის გაძლიერების გამო უკანასკნელ ხანებში თბილისის აღმასკომში შედის მრავალი განცხადებები სახლების ასაშენებლად მიწის ნაკვეთის გადაცემის შესახებ. უკანასკნელ დრომდე სახლების აგება ქალაქის ამა თუ იმ უბანში უსისტემოდ სწარმოებდა. ამიტომ შეინიშნებოდა ისეთი შენობები, რომელიც არ შეეფერებოდნენ ქალაქის ამა თუ იმ რაიონის მდებარეობას და სანიტარულ პირობებს. აღმასკომის ტექნიკურმა საბჭომ გამოიმუშავა ლონისძიებები, რომელნიც აწესრიგებენ საბინაო მშენებლობის საკითხებს ამ თვალსაზრისით.

ტექნიკურ საბჭოს მიერ ქალაქი დაყოფილია ცენტრით, ქალაქის განაპირა უბნებად, და ქალაქს ახლო მდებარე რაიონებად, რომელთა მდებარეობასა და პირობებთან შეფარდებით სავალდებულოა სახლების აგება. დამუშავებული გეგმის მიხედვით ქალაქის ცენტრალურ ადგილებში ითვლება მთელი ქალაქი რკინისგზის ლიანდაგამდე. დიდუბის ეკლესიამდე, სოლოლაკის მაღლობ ადგილებამდე. აბანოებამდე და მტკვრის დაბლა ხიდამდე. ქალაქის განაპირა უბნებად ითვლება: ვაკე, დიდუბე,—ქალაქის ზევით, გერმანელთა ახალშენი, ავლაბარი, ნავთლუღი რკინისგზის ლიანდაგამდე, სოლოლაკის მაღლობ ადგილი და სხვა.

გლეხკომები

ბორჩალოს მაზრაში

ამჟამად ბორჩალოს მაზრაში არსებობს 100 გლეხკომი, რომელიც აერთიანებს 12 ათას წევრს. გლეხკომები ნივთიერ დახმარებას აძლევენ სკოლებს, საავადმყოფოებს, ბიბლიოთეკა - სამკითხველოებს და სხვა კულტურულ დაწესებულებებს. მთელი რიგი სკოლების შენახვის ხარჯს კისრულობენ გლეხკომები. ზოგიერთ სკოლებში გლეხკომები ჯამაგირს აძლევენ სკოლების ტექნიკურ პერსონალს, აწვდიან სკოლებს და საავადმყოფოებს სათბობ, გასათბობელ მასალას და სხვას.

საწევრო გადასახადი გლეხკომებს დაწესებული აქვთ ერთი მანეთიდან 20 მანეთამდე შეძლების მიხედვით.

ომისა და შრომის ინვალიდებს, ქვრივებს, ობლებს და სხვა შეუძლებელ ელემენტებს გლეხკომები აძლევენ რეგულიარულ ნივთიერ დახმარებას. არის მთელი რიგი გლეხკომებისა, რომელთაც სამეურნეო რაიონებისათვის შეძენილი აქვთ ტრაქტორები, მოწყობილი აქვთ სამანქანო ამხანაგობანი და სხვა. სამაზრო გლეხკომთან მოწყობილია იურიდიული ბიურო, რომელიც უფასო რჩევა - დარიგებას აძლევს გლეხებს. მიმდინარე წელს გლეხკომებს გადაწყვეტილი აქვთ ააგონ ლიუქსენბურგში გლეხთა სახლი. ამ მიზნისათვის ყველა სასოფლო და სათემო გლეხკომებს გადადებული აქვთ 2.500 მანეთი.

ფასების დაკლება

ა.-კ. შინა-ვაჭრობის კომისარიატის საქართველოს რწმუნებულის სამმართველოსთან შემდგარ თათბირმა საცალო ფასების დაკლების შესახებ განიხილა საკითხი საცალო ფასების დამკლებ საუწყებათაშორისო კომისიის დაარსების შესახებ.

სახკომსაბჭოს დირექტივების თანახმად, უნდა მოეწყოს ასეთი კომისია რესპუბლიკანურ მასშტაბში.

კომისიაში უნდა შევიდნენ: ა.-კ. შინა-ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს, ს. მ. უ. საბჭოს 3 წარმომადგენელი, ცეკავშირიდან 3 წარმომადგენელი და ფინსახკომიდან და მუშ. და გლეხთა ინსპექციიდან თითო წარმომადგენელი.

თათბირმა კომისიის დაარსების აზრი მოიწონა და დაადგინა ეთხოვოს ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს, რაც შეიძლება საჩქაროდ მოახდინოს აღნიშნულ საუწყებათაშორისო კომისიის შედგენა.

სოციალური დაზღვევა

დავალიანებათა წინააღმდეგ

საქართველოს სოც. დაზღვევის სამმართველომ მიმართა ყველა სამაზრო სალაროებს შემოიღონ იძულებითი წესები ზოგიერთ დაწესებულებების დავალიანებათა აღმოსაფხვრელად. სოცდაზღვევის სამმართველოს ცნობით, დავალიანებას ადგილი აქვს განსაკუთრებით სენაკის, ზუგდიდის და დუშეთის მაზრებში.

შავი-ზღვის რკინის გზის მუშათა დაზღვევა

საქართველოს სოც. დაზღვევის სამმართველომ მიმართა ზუგდიდის დამზღვევ სალაროს მოახდინოს შავი ზღვის რკინის გზის მუშების დაზღვევა. ამ მიზნით სამმართველოს დადგენილებით ხოპი-ხეთის რაიონში დაინიშნა დროებით რწმუნებული.

სამკურნალო დახმარება

ბორჯომის მუშა-მოსამსახურეთა სამკურნალო დახმარების საქმე ამ უკანასკნელ ხანებში სუსტად არის დაყენებული. ამის გამო საქართველოს სოცდაზღვევის სამმართველომ მიმართა შუამდგომლობით ჯანსახკომთან არსებულ რესპუბლიკის სამკურნალო კ.-განყოფილებას საჩქაროდ მოაგვაროს ეს საქმე საკურორტო სამმართველოსა და გორის სამაზრო ჯანმრთელობის განყოფილებასთან ერთად; ამ საკითხის გარშემო ახლო ხანში მოწვეულია თათბირი.

კულტურული მუშაობა

აფხაზეთის სვანურ სოფლებში

გასულ წელს აფხაზეთის სვანურ სოფლებში პირველად გახსნილ იქნა სამი პირველ დაწყებითი სკოლა. მიმდინარე წელს კიდევ მიემატა ერთი სკოლა სოფელ ტოსში, სადაც სკოლისთვის აგებულ იქნა ახალი შენობა. წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტების და—მცირე ცოდნის სკოლათა რიცხვი აფხაზეთის სვანურ სოფლებში წელს აყვანილია 152-მდე.

მიმდინარე სამეურნეო წლის დამდეგს ამ რაიონში პირველად გაიხსნა საფერშლო პუნქტი, რომელიც ახლო მდებარე სოფლებს აწვდის უფასოდ, ან შეღავათიან ფასებში მედიკამენტებს. ბრძოლას მალარიის წინააღმდეგ აფხაზეთის სვანურ სოფლებში აწარმოებს საქართველოს „წითელი ჯვარი", რომელსაც ამ რაიონში აქვს თავისი პუნქტი (სოფელ ჩხალტში).

მიმდინარე წელს სოფელ აჟარში გაიხსნა პირველი საკრედიტო ამხანაგობა სვანურ სოფლების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

აღწერის წინ

ხელმძღვანელების წასვლა

სტატ. სამმართველოს მიერ ადგილებზე დაგზავნილი აღწერის ხელმძღვანელები უკვე გაემგზავრენ დანიშნულებისამებრ.

სახელმძღვანელოები

აღწერის განყოფილებამ მიიღო საკავშირო სტატ. სამმართველოდან სახელმძღვანელო—„რისთვის და რატომ ტარდება საყოველთაო აღწერა", სახელმძღვანელო დაურიგდებათ სტატ. ბიუროებს და აღწერის ხელმძღვანელებს.

ეროვნებათა კლასიფიკაცია

ცენტ. სტატ. სამმართველო შეუდგა საქართველოში მოსახლე ეროვნებათა კლასიფიკაციის დამუშავებას.

მოწმობები აღმწერელთათვის

დაიბეჭდა და ამ დღეებში ადგილებს დაეგზავნებათ აღწერის ჩამტარებელთათვის დასარიგებლათ შესაფერი პირადი მოწმობები.

მინერალური წყლების ქარხნები

ბორჯომის მინერალური წყლების დამზადებას საექსპორტოდ ძალიან აბრკოლებს საცობის ნაკლებობა. მართალია, მინერალური წყლების ქარხნებს ბორჯომში ჰქვს მანქანები საცობის დასამზადებლად. მაგრამ არ მოიპოვება საკმაო ნედლი მასალა საცობის დასამუშავებლად. ამიტომ მანქანები ამჟამად უქმად აწყვია ქარხნის საწყობებში და ჯერ კიდევ გამოურკვეველი არ არის თუ როდის ამუშავდება.

ნოემბრის შუა რიცხვებში ქარხანას სრულიად შემოელია საცობის დასამზადებელი მარაგი და ადმინისტრაცია იძულებული ხდებოდა დროგამოშვებით ორი სამი დღით შეეწყვიტა მუშაობა. უკვე თვეზე მეტია, რაც საცობის დასამზადებელი ნედლი მასალა მინერალური წყლების ქარხნების ადმინისტრაციას გამოწერილი აქვს ლენინგრადიდან, მაგრამ მის გამოგზავნას ადმინისტრაციისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, აგვიანდება. საცობის უქონლობა მეტად აბრკოლებს დამზადებას, რაც თავის მხრით ემუქრება საექსპორტო გეგმის წესიერ შესრულებას.

ხელფასის შესწავლა

ა.-კ. პროფკავშირთა საბჭომ დაამუშავა შრომის ხელფასის გასტუმრების ფორმების შესწავლის პროგრამა. პირველ ყოვლისა შრომის ხელფასის გასტუმრების ფორმები შესწავლილი იქნება ა.-კ. რკინისგზებზე. სამისო მუშაობა დაიწყება ამ მოკლე ხანში და გავრცელდება ბათომის, განჯის, ბაქოს და ლენინაკანის რკინისგზის უბნებში. გამოკვლევის ჩატარება დაკისრებული აქვს ა.-კ. პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენელს და იმ რესპუბლიკის პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენელს, რომლის ტერიტორიაზედაც მდებარეობს გამოსაკვლევი უბანი. ყოველ ცალკე შემთხვევაში გამოსაკვლევ მუშაობაში მოწვეულ იქნებიან სათანადო უბნების საგზაო კომიტეტების წარმომადგენლები. რკინისგზის მუშათა ხელფასის გასტუმრების ფორმების გამოკვლევის შემდეგ დაიწყება სხვა დარგის მუშათა ხელფასის გამოკვლევაც ამ თვალსაზრისით.

გლეხთა სახლები

უკანასკნელ დრომდე აჭარისტანში არსებობდა მხოლოდ ერთი გლეხთა სახლი ქალაქ ბათომში. აჭარისტანის სოციალურუზრუნველყოფის კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს ავტონომიურ ოლქის ყველა სამაზრო ქალაქში გახსნას თითო გლეხთა სახლი. უკვე გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები გლეხთა სახლების მოსაწყობად ხულოში, ქედში და ჩაქვში. პირველ რიგში სახლები მოეწყობა ზემოთმოხსენებულ პუნქტებში, შემდეგ ქობულეთისა და აჭარის წყალში. სოფლებიდან ჩამოსულ გლეხებს სახლებში ბინა მიეცემათ უფასოდ, ან ძალიან შეღავათიან ფასებში. სახლებთან მოეწყობა აბანო, აგრონომიული დახმარების და იურიდიული რჩევის ბიურო, სამკითხველო და სხვა კულტურული ორგანიზაციები, რომელიც დახმარებას გაუწევენ გლეხებს.

ბრძოლა ხანძართან

ცეცხლისმქრობელთა რაზმის მიერ შეკრებილი ცნობებით, სახლებში ხანძრის გაჩენის მთავარ მიზეზად უმრავლეს შემთხვევაში არის სახლის ღუმელების მილების გაუწმენდლობა. ზოგიერთ ადგილას ღუმელებს ახურებენ მაზუთით, ან ისეთ საწვავი მასალით, რაც ძალიან ამჭვარტლიანებს ღუმელის კედლებს. ხშირად კიდევ სახლების სახურავებ ქვეშ აწყობენ სხვენებს და აწყობენ ადვილად ცეცხლმოსაკიდებელ ნივთებს.

ყველა ზემოთმოყვანილ მიზეზთა გამო, გადაწყვეტილია აიკრძალოს ღუმელებში მაზუთის ჩერებისაგან ცეცხლის დანთება, სხვენების მოწყობა და ღუმელების ხშირი არ გაუწმენდლობა.

ლითონი

მიმდინარე წელში ამიერ-კავკასიაში მოთხოვნილება ლითონზე და ლითონის ნაწარმოებებზე საგრძნობლად გაიზარდა. ტრანსპორტისა და მრეწველობის სხვა დარგების მოთხოვნილება ლითონზე საგრძნობლათ გაიზარდა. შემჩნეულია აგრეთვე მოსახლეობის დიდი მოთხოვნილებაც ამ პროდუქტზე. ამის წინაშე ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატში შესდგა თათბირი, რომელმაც განიხილა საკითხი ლითონის შემოზიდვის შესახებ.

თათბირის გამოკვლევით მიმდინარე წელში ამიერ-კავკასიის მოთხოვნილება ლითონსა და მის ნაწარმოებებზე გამოიხატება 54.186 ტონა ლითონში. აღნიშნულ ლითონის შემოზიდვა-მიწოდება იწარმოებს შემდეგნაირად: ფართო მოთხოვნილების ლითონის შემოზიდვა-მიწოდება იწარმოებს სახელმწიფო სავაჭრო სამმართველოსა და კოოპერაციების საშუალებით.

კომუნალურ მეურნეობისა და ქალაქის მშენებლობისათვის საჭირო ლითონების გაცემა იწარმოებს ზემოხსენებულ ორგანიზაციების საშუალებით.

ტრანსპორტისა და მრეწველობისათვის საჭირო ლითონის შემოზიდვა ამიერ-კავკასიაში იწარმოებს ხელშეკრულებათა დადების საშუალებით.

ზოოლოგიური ბაღი

მონადირეთა კავშირის ინიციატივით შარშან გადაწყვეტილი იყო შესდგომოდენ სამზადისს თბილისში ზოოლოგიური ბაღის მოწყობის. ამის გამო ქალაქის აღმასკომთან გამოყოფილი იყო განსაკუთრებული კომისია, რომელსაც უნდა მოეგვარებინა ბაღის გახსნის საკითხი პრაქტიკულად და საამისოთ მიღებული ზომები შეეთანხმებინა თბ. აღმასკომთან.

კომისიამ გადაწყვიტა ვერის პარკი გადაკეთებულიყო ზოოლოგიურ პარკათ და შესაფერი ხარჯთაღრიცხვა შეეტანათ თბილისის აღმასკომის მომავალი საანგარიშო წლის ბიუჯეტში.

მონადირეთა კავშირი კი თავის მხრივ შეუდგა ბაღისათვის გარეული ცხოველების დაგროვებას. უკვე მოიყვანეს მელიები, მგლები, შველები, ჯიხვები და სხ. მოუვლელობის გამო ზოგი გარეული ცხოველები დაიხოცნენ და ზოგიც გაიპარა. ერთი ჯიხვი (ხვადი) გადაეცა სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმის საცდელ მამულს ცხვრებში გასარევად და ჩვენებური ცხვრის ჯიშის განსაახლებლად. მეორე ჯიხვი შენახულია ქალ. ქუთაისში.

ამ რამოდენიმე დღის წინეთ მონადირეთა კავშირმა კვლავ დაადგინა მიიღოს ზომები ბაღის გახსნის დასაჩქარებლად და იშუამდგომლოს, რომ ბაღი გაიხსნას მომავალ ზაფხულისათვის. საკითხის მოგვარებისთანავე კავშირი დაავალებს ყველა თავის განყოფილებებს შეუდგენ გარეული ცხოველების და ნადირის ცოცხალ ეგზემპლარების დაგროვებას.

ამასთანავე შეუდგებიან ვერის პარკის სათანადოთ გადაკეთებას. ბაღში მოეწყობა სხვადასხვა კუთხეები სხვადასხვა ნადირების საცხოვრებელ პირობებთან შეფარდებით.

ყრილობები და კონფერენციები

კავშირების ც. გ. და ფაბქარხადგილკომების საქალაქო კონფერენცია

გუშინ, საღამოს 6 საათზე, საქართველოს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნა კავშირების ც. გ. და ფაბქარხადგილკომების საქალაქო კონფერენცია, რომლის დღის წესრიგში დასმული იყო ორი საკითხი: საკავშირო აღწერა და თბილისის მუშკოოპის მუშაობა.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსმა ამხ. რუხაძემ, რომელმაც აღნიშნა საკავშირო აღწერის მნიშვნელობა და ის, თუ როგორ იქნება ჩატარებული ტექნიკურად ეს აღწერა.

დასასრულ მან მოუწოდა კავშირების ც. გ. და ფაბქარხადგილკომებს, რათა მათ პროპაგანდა გასწიონ ადგილებზე მუშა - მოსამსახურეებში, რომ ამ უკანასკნელებმა მიიღონ ყველა ზომები 17 დეკემბრის აღწერაში გასატარებლად.

მუშკოოპის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ერისთავი, რომელმაც აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 1-ლ ოქტომბრამდე მუშკოოპი თბილისის გარდა ემსახურებოდა ახლო - მახლო რაიონებსაც, მაგრამ პირველი ოქტომბრიდან ამ რაიონებში დაარსებულ იქნა გლეხთა დამოუკიდებელი კოოპერატივები და მუშკოოპს სამოქმედო რაიონათ დარჩა მხოლოდ თბილისი. გასული საოპერაციო წლის განმავლობაში მუშკოოპის ფინანსიური მდგომარეობა საგრძნობლად განმტკიცდა. მუშკოოპის მთელი ბრუნვა ამ ხნის განმავლობაში უდრიდა 13.813.000 მანეთს.

მუშკოოპს ამჟამად აქვს 181 სავაჭრო პუნქტი. საქონლის ასორტიმენტში 55,4 პროც. უჭირავს კვების საგნებს, დანარჩენი 44,6 პროც. ფართო მოხმარების საგნებს, აქედან 22 პროც. ფართლეულობას, 6 პროც. ფეხსაცმლებს და სხვა.

სავაჭრო პუნქტებთან ერთად მუშკოოპს აქვს სამრეწველო წარმოებებიც. საბიუჯეტო წლის დასაწყისიდან ყველა ეს სამრეწველო წარმოებები გამოყოფილი იქნა და შეუერთდა სხვა კოოპერატიული ორგანიზაციების სამრეწველო წარმოებებს და, ამრიგად, დაარსებული იქნა ცალკე სამრეწველო კოოპერატიული ამხანაგობა.

მუშკოოპს ამჟამად თბილისის საერთო სავაჭრო ბრუნვაში უჭირავს 22 პროც., წინა წელში კი იყო 14 პროც. გასული საოპერაციო წლის განმავლობაში მუშკოოპის მოგება გამოიხატა 215.496 მანეთში.

პროლეტარულ სტუდენტთა მეოთხე კონფერენცია

უკანასკნელი სხდომა

8 დეკემბ.-ის სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა და დაამტკიცა კომისიის მიერ შემუშავებული რეზოლიუციები განათლების სახალხო კომისარიატის, პროფსაბჭოს და პროლეტარულ სტუდენტთა თბილისის ბიუროს მოხსენებების შესახებ, რის შემდეგაც დაიწყო ახალი ბიუროს წევრების და პროლეტარულ სტუდენტთა სრულიად საკავშირო კონფერენციაზე გასაგზავნ დელეგატების არჩევნები.

თბილისის ბიუროს ახალ შემადგენლობაში არჩეულ იქნენ: ამხ. მდივანი, ვაშაკიძე, გაბაიანი, დაშთიანი, დვალი, ხარაშიძე; სალუქვაძე; ბეჟუაშვილი; გეგენავა; ბუზაშვილი, პაპლაუსკა, ხვიჩია; ბეტოიანი; სალუქვაძე; ჭოლოშვილი, ხოფერია, მეფოდიევი; რუსიშვილი და მონავა.

კანდიდატებად: ამხ. ხუციშვილი, ჟაჟანია, გოგბაძე; ბეკ-ოსიპოვი და ხუნდაძე.

დელეგატებად პროლეტარულ სტუდენტთა სრულიად საკავშირო კონფერენციაზე არჩეულ იქნენ: მდივანი, გალუსტიანი და ბუზაშვილი.

თბილისის ბიუროს თავმჯდომარეთ კონფერენციამ ერთხმად აირჩია ამხ. ხერ. მდივანი.

არჩევნების შემდეგ კონფერენცია დაიხურა.

ავიაქიმის ყრილობა

მეორე სხდომა

ამხ. ლ. აბაშიძის მოხსენება

მეორე სხდომაზე ყრილობა ისმენს ამხ. ლ. აბაშიძის მოხსენებას ავიაქიმის მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ იმ 21 ორგანიზაციიდან, რომლებსაც აერთიანებს ავიაქიმი, მჭიდრო კავშირი არსებობს მხოლოდ 13-თან. ადგილებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა გამოიხატება ცირკულიარულ და სადირექტივო წერილების გაგზავნაში, რაც შეეხება ადგილებზე ინსტრუქტორების გაგზავნას, ამის საშუალებას არ იძლეოდა ფინანსიური ხელმოკლეობა. მიუხედავათ ამისა პრეზიდიუმმა შესძლო გაეგზავნა ინსტრუქტორები გორში და ამასთანავე სარევიზიო კომისიამ გამოიკვლია: ბათომის, სოხუმის და ფოთის ორგანიზაციები.

საანგარიშო პერიოდში საზ-ბის მიერ ჩატარებულ იქნა წევრთა გადარჩევა, საზღვარგარეთ გადაფრენებისათვის საშუალებათა შეგროვების და საჰაერო სკოლაში ახალგაზრდობის გაგზავნის კამპანია.

შემდეგ ორატორი აჭვევს ციფრულ ცნობებს. ირკვევა, რომ საზოგადოებაში გადარჩევის შემდეგ ირიცხება 31.793 წევრი და 516 უჯრედი. წევრების მთელი რიცხვის 27 პროც. შეადგენენ მუშები, 30-ს მოსამსახურეები, 4-ს გლეხები, 28-ს სამხედრო პირები და 11-ს მოწაფეები.

საზოგადოებას მოწყობილი აქვს 77 ავიაქიმის კუთხე, 17 სპორტიული უჯრედი და 2 კლუბი. ყველაზე უკეთესად საქმე დაყენებულია აფხაზეთში, ზუგდიდში, ფოთში და ქუთაისში.

საზოგადოების ფინანსიური მდგომარეობის შესახებ მომხსენებელი ამბობს, რომ საანგარიშო პერიოდში საზოგადოების შემოსავალი განისაზღვრებოდა 19.830 მან. 73 კაპ., ხოლო გასავალი 19.559 მან. 72 კაპ. საზღვარგარეთის გადაფრენებისათვის შეკრებილ იქნა სულ 3.439 მან. 69 კაპ.

კამათი

მომხსენებელს მიეცა დიდძალი შეკითხვები. შეკითხვების დროს ამხ. აბაშიძემ ყრილობას გააცნო საკავშირო ავია-ლატარიის მნიშვნელობა.

შეკითხვაზე მაზრებში აეროდრომების მოწყობის შესახებ მომხსენებელი უპასუხებს, რომ ასეთების მოწყობა საზოგადოების უახლოეს ამოცანას შეადგენს მომავალ წელში და იგი განხორციელებული იქნება.

კომუნალური ბანკის აქციონერთა კრება

5 დეკემბერს შესდგა თბილისის კომუნალური ბანკის აქციონერთა საერთო კრება, რომელმაც მოისმინა ბანკის გამგეობის მოხსენება გასული საოპერაციო წლის მოღვაწეობის შესახებ.

მოხსენებიდან ირკვევა, რომ ბანკის მიერ გასულ წელში სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციებისათვის გაწეული დახმარება გამოიხატება შემდეგ ციფრებში:

მიმდინარე წლის პირველი ოქტომბრისათვის თბილისის კომუნალური ბანკის ვალი ჰქონდათ: სახელმწიფო დაწესებულებებს—2.162.000 მანეთი, კოოპერაციას—910.000 მანეთი, კომუნალურ, სამეურნეო და საბინაო აღმშენებლობას—4.985.000 მანეთი, კერძო პირებს—433.000 მანეთი და საკრედიტო დაწესებულებებს—156.000 მანეთი; სულ—8.696.000 მანეთი.

წინა წელთან შედარებით 1925-26 წლის განმავლობაში ბანკმა საგრძნობლად გააძლიერა დახმარება გაეწია კომუნალური მეურნეობისა და საბინაო-საამშენებლო საქმისათვის. ეს ბუნებრივია, რადგან გამგეობა სერიოზულ ყურადღებას აქცევს კომუნალური მეურნეობის გაუმჯობესებას და საბინაო სივრცის გადიდებას და შენარჩუნებას.

შემდეგ ბანკმა გაძლიერა დახმარება ადგილობრივ სახელმწიფო ვაჭრობას და მრეწველობას. გამგეობამ გასულ საოპერაციო წელში შექმნისათვის დახმარება გაუწია თბილისის საბჭოს რამდენიმე ქარხნის აღდგენაში. რაც შეეხება კოოპერაციის დავალიანების შემცირებას, ეს აიხსნება არა კრედიტების შემცირებით, არამედ კოოპერაციის გადაჯგუფებით სათანადო ბანკებში. კომუნალურ ბანკს ჩამოშორდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, რომელიც სარგებლობდა 500.000 მანეთის კრედიტით.

ბანკის ბრუნვა 1925-26 წლის განმავლობაში უდრიდა 610.537.000 მანეთს. ბანკის ძირითადი კაპიტალი 1925 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის უდრიდა 1.637.000 მანეთს; წლის განმავლობაში გასაღებული იქნა 563,000 მანეთის აქციები; ამრიგად ბანკის ძირითადი კაპიტალი 1926 წლის 1-ლ ოქტომბერს გამოიხატა 2.000.000 მანეთში.

აქციონერთა საერთო კრებამ ბანკის მოღვაწეობა სავსებით დამაკმაყოფილებლად სცნო, გამგეობის მოქმედების საერთო ხაზი კი— სწორად, მიზანშეწონილად და პოლიტიკურ და ეკონომიურ გზთან შეფარდებულად.

დასასრულ, კრებამ დაამტკიცა ბანკის წმინდა მოგების—388.556 მანეთის შემდეგი განაწილება.

25% წმინდა მოგებისა, ე. ი. 97.139 მანეთი ჩარიცხული იქნა სათადარიგო თანხაში, 10 პროც., ე. ი. 38.555 მანეთი მუშა-მოსამსახურეთა ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებლად; დივიდენდი—200.000 მანეთი; საგადასახადო დებულების თანახმად 38.855 მანეთი; დანარჩენი 13.706 მანეთი გადადებული იქნა საბჭოს განკარგულებაში.

მშრომელები ეხმარებიან მიწისძვრისაგან დაზარალებულთ

სომხეთის წითელ ჯვრისაგან

საქ. წითელმა ჯვარმა სომხეთიდან მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„სომხეთის წითელი ჯვრის მთავარი სამმართველო დიდი მადლობის და სიხარულის გრძნობით აღნიშნავს საქართველოს წითელი ჯვრის სწრაფ და ფართო დახმარებას ლენინაკანის კატასტროფის პირველსავე დღეებში.

თქვენი რაზმის თავგანწირულმა მუშაობამ ცხადყო სომხეთის მშრომელთა ფართო მასების წინაშე საბჭოთა წითელი ჯვრის ორგანიზაციების უდიდესი მნიშვნელობა და მტკიცე, გულწრფელი და ცხოველმყოფელი კავშირი ჩვენი საბჭოთა ქვეყნების მშრომელ მასებს შორის".

3.244 მანეთი მიწისძვრისაგან დაზარალებულთ

7 ნოემბერს, ოქტომბრის რევოლუციის ცხრა წლის თავზე, კინო „მინიონ"-ის, „პალას"-ის, „ამპოლო"-ს, „სოლეი"-ს და „პროგრესი"-ს მუშა-მოსამსახურეებმა [illegible] მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

ამ დღის მათი ორმაგი ხელფასი და კინოების საერთო შემოსავალი 3.244 მანეთის რაოდენობით გადაირიცხა მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე ფონდში.

ვიწვევთ დასახმარებლად

შემაქვს სამი მანეთი ნინა შონიას გამოწვევით; თავის მხრივ ვიწვევ 1. ვოგია რაზმაძეს, 2. ნუნუ ელიაძეს, 3. მარგალიტა კორტიაძეს და 4. სოფიკო ჯანტურიას.

ლეილა მარშანია.

ოთარიკო ბარამიძის გამოწვევით, შემოგვაქვს ლენინაკანის დაზარალებულ ბავშვების სასარგებლოთ სამი (3) მანეთი და ვიწვევთ პაჭია მგობრიშვილს, ტუჟუ და კიშა დოლიძეს, იურკა ნიკოლაიშვილს და ლადუშა თიკანაძეს (ოზურგეთი).

ცაცუნია და ლეილა ღლონტები.

ამხ. რედაქტორო, გიგზავნით ქობულეთის სანატორიუმში მყოფ ავადმყოფთა შორის შეგროვილ ფულს, (45 მ. 50 კ.) ორმოცდა ხუთ მანეთს და 50 კაპ. და გთხოვთ ეს წვლილი გაგზავნოთ ლენინაკანში სტიქიით დაზარალებულთა სასარგებლოთ; ჩვენის მხრით ვიწვევთ „აბასთუმნის" და „ულრიფშის" სანატორიუმებში მყოფ ავადმყოფებს.

ამხანაგების დავალებით: ვანო ნიკოლაიშვილი, სატია გორდაძისა და ათანასე ფრანგიშვილი.

ამხ. ვ. მახვილაძის გამოწვევით შემომაქვს ორი მანეთი ლენინაკანის მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს; არტო რეინველის, მიშა ბერძენიშვილს, სანდრო საყვარელიძეს, ფედია პიმინოვს, გოგა არჯევანიძეს, ვანო ძერწველს, ვალოდია შიხმანს, ალექსი ფარაოშვილს, ბეჟან ერქომაიშვილს, შაქრო ბიძინაშვილს, კოლა მალხანს, ივან ასლიკოვს, მინა აბაიშვილს.

რკინის გზებზე

ბაკურიანის ხაზზე

ბაკურიანის ხაზზე, ბორჯომ-წაღვერის შუა კლდიდან გამოწყვეტილი დიდი ქვა საშიშროებას უქადდა მატარებლის მოძრაობას.

სალიანდაგო დარგის განკარგულებით, მოხდა გამოწყულ ქვის აფეთქება. აფეთქების შემდეგ ქვა ჩამოვარდა ლიანდაგზე და დაიკავა ხაზი. მატარებლის პირდაპირი მიმოსვლა ხაზის გაწმენდამდე შეწყდა და მოეწყო მგზავრების გადასხდომა-გადმოსხდომა.

ხაზი გაიწმინდა და პირდაპირი მოძრაობა აღდგენილ იქნა გუშინ.

რონოდების ჩავარდნა

სადგ. დალამეტლში, გუშინ, ნაშუადღევის 3 საათზე და 40 წ. საზარგო მატ. № 289 შესვლის დროს, ისრებზე ერთ-ერთი რონოდის მოვარდა სამუხრუჭე კალაპოტი და გაიჭედა ისარში.

ამ შემთხვევის გამო, ლიანდაგიდან გადავარდა 4 რონოდა; ბაქოს ხაზზე მოძრაობა შეწყდა.

5 საათზე, განჯიდან შემთხვევის ადგილზე გაიგზავნა დამხმარე მატარებელი ჩავარდნილ რონოდების ამოსაღებათ.

კაზანცევის მატარებელი

გუშინ, ბაქოდან გამოვიდა თბილისისაკენ კაზანცევის საცდელი მატარებელი.

გზების დატვირთვა

უკანასკნელ კატასტროფების გამო ა.-კ. რკინის გზები ძლიერ დატვირთვას განიცდის. დატვირთვა გამოწვეულია ზოგიერთ პუნქტებში დიდძალი ბარგების თავმოყრით.

ამის გამო კლიენტების დაკვეთები რონოდებზე ძლიერ ძნელად კმაყოფილდება. ეს დაკვეთები ამჟამად გეგმას აღემატება 800 რონოდით, რისი დაკმაყოფილება გზას არ შეუძლია. დაკვეთები სრულდება მხოლოდ გეგმის ფარგლებში და იგი არ აღემატება დღე-ღამის განმავლობაში 630 რონოდას.

ეხლა, გზების განტვირთვის მიზნით, ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოს გათვალისწინებული აქვს გამოიყენოს ახლო გადმოტვირთული რონოდები, რომლებიც წინედ ცარიელი ბრუნდებოდნენ უკან.

განსაკუთრებით მწვავეა მდგომარეობა სურსათის ულეტებზე.

ასეთი მდგომარეობა ეხება უმეტესად მშრალ საქონლის დატვირთვას. რაც შეეხება ნავთის პროდუქტების ზიდვას, იგი ნორმალურად მიმდინარეობს და დღე-ღამეში აღწევს 320 ცისტერნას.

მარგანეცის მატარებლის ჩავარდნა

8 დეკემბერს ფოთში მარგანეცით დატვირთულ 60 რონოდის ჩიხლიანი ნავმისადგომთან მიყვანის დროს, ისარზე ლიანდაგს ასცდა მთელი მატარებელი. მუშაობა შესწყდა.

შეუდგნენ მატარებლის ამოღებას. ორთქლმავალი უკვე ამოიღეს.

საყინულეების აღმშენებლობა

გზათა-მიმოსვლის კომისარიატმა საყინულეების სამმართველოსთან ერთად შეიმუშავა რკინის გზებზე საყინულეების აღმშენებლობის 5-წლიანი გეგმა.

გეგმით გათვალისწინებულია მთელ საბჭოთა კავშირის რკინის გზების ტერიტორიაზე—53 საყინულის და 3.350 ახალი იზოთერმიული რონოდის აშენება.

საყინულეების აშენების საერთო ღირებულება გამოანგარიშებულია—58 მილიონ მანეთის რაოდენობით, აქედან—16 მილიონი მანეთი საჭიროა საყინულეების და 46 მილიონი იზოთერმიულ რონოდების ასაშენებლად.

ამ თანხიდან—1926-27 წლისათვის გადადებული იქნება 14 მილიონი მანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკა

თბილისის საბჭოს ხელახალი არჩევნებისათვის

თბილისის ალმასკომის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე, თბილისის მომავალ საბჭოს ხელახალი არჩევნების ჩასატარებლად აირჩია საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით: **სუხიშვილი** (თავმჯდომარე), **ივანოვ კავკასიელი, მეხსე; ვართაპეტოვი; ტერ-ვართანოვი, ხვანიძე; დარახველიძე; ფანცხავა; ტატაევი, სალუქვაძე; კიდაიში; ბარბაქაძე; ვართანოვი** და 2 უპარტიო გლეხი.

კომისია ამ დღეებში შეუდგება წინასწარ მუშაობას საბჭოს მომავალი არჩევნებისათვის.

გულენკოს შპალები

კომისიამ, რომელიც ამჟამად მუშაობს პროფ. გულენკოს შპალების საკითხზე, გზათა-მიმოსვლის კომისარიატს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიდაც ივი სთხოვს კომისარიატს, საზღვარგარეთიდან თბილისში გამოიწვიოს პროფ. გულენკო.

კომისიის აზრით გულენკოს გამოწვევა აუცილებელია, შპალების ვულკანიზაციის შესასწავლად.

ლაბორატორიული ცდები შპალების სავულკანიზაციოდ, ჯერ კიდევ გორის ქარხნის გახსნამდე იყო წარმოებული მოსკოვში, მაგრამ ივი საკმარისი არ აღმოჩნდა, ეხლა ამ ცდების ჩატარება განზრახულია ჩვენში.

თბილისის ალმასკომში

◆ მანგლისის ალმასკომს ფერმა „სვეტოჩი“-ს საჭიროებისათვის სესხად მიეცა 2.000 მან.

◆ **ახალი განყოფილება.** ალმასკომთან დაარსდა ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება, რომლის გამგეთ დაინიშნა ამხ. ნიკო კიკნაძე.

◆ სოფ. პიდორეთის უმიწაწყლო გლეხების უკეთეს ადგილებზე გადასახლება დაიწყება გაზაფხულზე. ამ მიზნით ალმასკომმა გადასდო შესაფერი თანხა.

◆ **დაზღვევა.** მაზრაში მომუშავე თანამშრომელთა სახელმწიფო დასაზღვევათ გადაიდო 2996 მან.

განათლების კომისარიატში

◆ პროფტეხნიკური კურსები დაემქვემდებარა განათლების კომისარიატს.

◆ **ინტერნატი.** პროფტეხნიკურ კურსებთან მოეწყობა მოწაფეთა მუდმივი საცხოვრებელი.

◆ **სახელმძღვანელოები.** პროფტეხნიკური ცოდნის გასავრცელებლათ განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა გამოსცეს სპეციალური სახელმძღვანელოები.

სამეურნეო დაწესებულებაში

◆ **ხალიჩები.** სახ. ვაჭრობის სამმართველომ დაამზადა დიდ-ძალი ხალიჩები საზღვარგარეთ გასატანათ.

◆ **იტალიაში** წელს სახ. ვაჭრობის სამმართველო დამატებით გაიტანს 3110 კილო აბრეშუმის პარკს.

◆ **ვაშლი.** სახ. ვაჭრობის სამმართველო გორში შეუდგა ვაშლის დამზადებას.

◆ ა.-კ. წითელარმიასთან არსებული სამხედრო სამრეწველო კომიტეტი უქმდება.

◆ სატყეო ტრესტმა გადასწყვიტა საშენი სატყეო მასალები შემოიტანოს სხვა რესპუბლიკებიდანაც.

◆ ფინსახკომის დადგენილებით, ბეწვეულზე და ჯაგარზე შემოღებულია სავეტერინარო ზედამხედველობის ვადასახადი.

◆ **ტკეჩი.** სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ დაამზადა 23 ათასი კილოგრამი მუხის ტკეჩი საზღვარგარეთ გასატანათ.

სხვა და სხვა

◆ ბორჯომის ხატკეჩ ქარხანა ამუშავდება საქართველოს გასაბჭოების 6 წლის თავზე.

◆ **სატრაქტორო ფონდი.** ა.-კ. საგეგმო კომისია იმ[illegible]ევებს სატრაქტორო ფონდის დაარსების გე[illegible]ს.

◆ ცენტრალურ არქივთან ეწყობა საზოგადო სამუშაო 3 თვით.

კრებები და მოხსენებები

◆ **დისერტაციის დაცვა.** კვირას, 12 დეკემბერს, დღის 12 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის აუდიტორიაში (ვაკე) დანიშნულია ქირ. კლინიკის უფროსი ასისტენტის ექ. კ. ერისთავის საჯარო დისერტაციის დაცვა ქირურგიის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლათ. დისერტაცია იქნება შემდეგ თემაზე: „სწრაფი სიკვდილის მექანიზმი ცხიმოვანი ემბოლიის დროს“.

◆ **ქართველ ექიმთა საზოგადოებაში.** დღეს 9 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში შესდგება საზოგადოების მორიგი კრება. მოისმენენ შემდეგ საკითხებს: ექ. გ. რატიშვილის მოხსენებას და 2) სამკურნალო საზოგადოებების შეერთების შესახებ.

◆ განათლების მუშაკთა სახლში დღეს, საღამოს 8 საათზე ამხ. ქავთარაძე წაიკითხავს მოხსენებას რუსულ ენაზე ქ. თბილისში ცენტრალურ ბიოლოგიურ სადგურის მოწყობის პროექტის შესახებ.

◆ **ავიაქიმის ყრილობა.** 17 დეკემბერს თბილისში გაიხსნება ა.-კავკასიის ავიაქიმის ორგანიზაციების ყრილობა.

შემთხვევები

ლითონის ტრესტის მაღაზიის გაქურდვა

7 დეკემბერს, ღამით პლეხანოვის გამზირზე № 23 ვიტრინის გამოტეხის საშუალებით გაქურდეს ლითონის ტრესტის მაღაზია. როცა ბოროტმოქმედნი მეორეთ მოვიდენ საქონლის წასაღებათ, ისინი შეამჩნია მოდარაჯე მილიციელმა და დააპატიმრა ერთი მათგანი — სერგო მოსარაშვილი, მეორემ მოასწრო მიმალვა. მოპარულ ნივთების ნაწილი აღმოჩენილია.

◆ **მორგებული გასაღების საშუალებით** საზოგადოების ქ. № 10 გაქურდეს ვურო სიგუას ბინა.

◆ **ბოქლომის გატეხვის საშუალებით** ამაღლების ქ. № 7 გაქურდეს პეტრე გროკანგელის ბინა. წაღებულია საოჯახო ნივთები.

◆ თბ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტიდან 7 დეკემბერს ღამით მოიპარეს სხვადასხვა ნივთები და წყალსადენის 15 მილი.

◆ ფანჯრიდან შეხვლით 7 დეკემბერს ღამით გაქურდეს კირკის ქ. № 14 მარიამ სუხიშვილის ბინა.

◆ ამავე დღეს პეტროვის ქ. № 35 ნიკოლოზ ჩახუტაშვილის ბინა გაქურდეს. წაიღეს 180 მ. ნივთები.

◆ ამავე დღეს იზმაილოვის ქ. №7 გაქურდეს ვასილ შიოევის ბინა.

სასამართლო

ტრაღედია ქეიფობის შემდეგ

(ნ. სიხარულიძის საქმე)

მესამე დღე

გუშინ, ნაშუადღევის 1-ნახევ. საათზე გაიხსნა სასამართლოს მორიგი სხდომა.

გუშინდელ სხდომაზე დაკითხულ იქნენ ის მოწმეები, რომლებიც უშუალო მონაწილეობას ღებულობდენ ქეიფობაში.

მოწმე თამარა ც-ძე და „მურკა“ ამჟამად გამასწორებელ სახლში არიან მოთავსებული სისხლის სამართლის დანაშაულობის ჩადენისათვის.

გუშინ ზემოთ ჩამოთვლილი მოწმეები მოყვანილ იქნენ სასამართლოში.

მოწმე **თამარა ც-ძეს** ჩვენების მიცემის დროს ხულიგური მღელვარება ეტყობა.

— მე, — ამბობს მოწმე, წინეთ არ ვიცნობდი არც ბრალდებულ სიხარულიძეს და არც მის მეგობრებს. მომხდარი უბედურების დღეს სასადილო „ნადკუროი“-ში საქეიფოდ მიგვიწვია ვიღაც ვასიკომ, რომლის გვარი არ ვიცი.

მოწმე აღნიშნავს, რომ გარდაცვალებული პ-იას ქალი ქეიფობაში მონაწილეობას არ ღებულობდა. სუფრის წევრებს შორის კარგი განწყობილება არსებობდა და არავითარ უსიამოვნებას არ ჰქონია ადგილი.

ღამის 10—11 საათზე, ის ოთახი № 9-დან ვეიდა საერთო ოთახში რაღაც საქმისათვის. ნახევარი საათის შემდეგ კაბინეტში ბრუნდებოდა. ამ დროს მას მოესმა რევოლვერის გავარდნის ხმა და წააწყდა საშინელ სურათს: კატუშა პ-ს ქალი მძიმედ დაჭრილი გამოდიოდა კაბინეტიდან საერთო ოთახში და ყვიროდა „ვაი მე დედავ მიშველეთ“.

მოწმე გადაჭრით აღიარებს, რომ მკვლელობის ფაქტის მოწამე არ ყოფილა.

მოწმე ლაპარაკობს, რომ მკვლელობის დროს კაბინეტში იმყოფებოდნენ: „მურკა“, პ-იას ქალი, შ. დევდარიანი და სიხარულიძე.

პროკურორის შეკითხვაზე მოწმე უპასუხებს, რომ მართალია წინასწარი გამოძიების დროს უჩვენა, რომ პ-ს ქალი ძათთან ერთად ქეიფობდა, მაგრამ მისი პირვანდელი ჩვენება სინამდვილეს არ შეესაბამება.

მოწმის ჩვენებით დასტურდება ბრალდებულ სიხარულიძის მტკიცება, რომ ქალები საქეიფოდ მას არ მოუწვევია.

მოწმე მ. ჯ.-ის (მეტ სახელად „მურკა“-ს) დაკითხვა დიდ ინტერესს იწვევს, რადგან ის პროცესის „ცენტრალური ფიგურაა“. თავის ვრცელ ჩვენებაში „მურკა“ გადაჭრით აღიარებს, რომ ის მკვლელობის ფაქტის მოწამე არ ყოფილა და დასძენს, რომ მკვლელობის უშუალო მოწამე იყო მოქ. შ. დევდარიანი.

იმ დროს, როცა „მხიარული კამპანია“ ლხინს ასრულებდა კაბინეტის კარი შემოაღო პ-ს ქალმა და იკითხა თამარა ც-ძე. სიხარულიძემ პ-ს ქალი თითის ნიშნებით სუფრაზე მიიწვია და ემუდარებოდა დაელია ღვინო. ქალი უარზე იყო. მათი ლაპარაკი ორ წუთს გაგრძელდა.

მოწმე აღნიშნავს, რომ რევოლვერის გავარდნა მისთვის სრულიად მოულოდნელი იყო.

აღსანიშნავია მოწმე **ნადირაძის** დაბნეული ჩვენება.

პირველად მოწმე ადასტურებს, რომ პ-ს ქალი მათთან ერთად ქეიფობდა კაბინეტში, ჩვენების მეორე ნაწილში კი ამ გარემოებას უარყოფს. საერთოდ მოწმის ჩვენება მიმართულია ბრალდებულის სასარგებლოდ და საწინააღმდეგოთაც.

მოწმეების დაკითხვის შემდეგ მოსმენილ იქნა ექსპერტების დასკვნა.

ექსპერტების დასკვნის მოსმენის შემდეგ გაიმართა მხარეების კამათი. დღეს გამოტანილი იქნება განაჩენი.

მეისრე კიკნაძის საქმე

გუშინდელ სხდომაზე დასრულდა მოწმეების დაკითხვა. დაკითხვიდან ი[illegible] კვევა, რომ ისარი იყო ინგლისური სისტემის და მასზე მუშაობა ბრალდებულმა არ იცოდა.

დღეს გაიმართება მხარეების კამათი და გამოტანილი იქნება განაჩენი.

50.138 მანეთის ზარალი

დღეს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გაირჩევა **დავით კოსტენკოს** და **გრიგოლ საყვარელიძის** საქმე.

საყვარელიძეს და კოსტენკოს ბრალდებათ ს. მ. უ. საბჭოს თამბაქოს ტრესტისათვის 50.183 მანეთის ზარალის მიყენება.

ყაჩაღების გასამართლება

ამა წლის 24 აგვისტოს, ჩრდილოეთ-კავკასიის სისხლის სამართლის მილიციაში შეტანილ ქნა განცხადება იმის შესახებ, რომ ჩრდილოეთ-კავკასიის ალმასკომის წევრი **ნიკოლოზ ტოტიევი** აგვისტოს შუა რიცხვებში გაემგზავრა სოფ. კობში სამსახურის საქმეების გამო და არ დაბრუნებულა.

მიღებული ზომებით გამოირკვა შემდეგი: ამა წლის 17 აგვისტოს, ამხ. ტოტიევი კავკავიდან გამგზავრებულა სოფ. კობის მიმართულებით. გზაში სოფ. ბალთის იქით მას დაუკარგავს პორტფელი, რომელშიაც ჰქონდა 5.000 მანეთი. პორტფელი უპოვნია მოქ. კუბატიევს და ჩაუბარებია ტოტიევისათვის.

გამოირკვა, რომ ტოტიევი კავკავში გამგზავრებულა კავკავში მცხოვრებ ივანე წიკლაურის ეტლით.

გავიდა ხანი. ტოტიევი არსად სჩანდა.

ეჭვით დააპატიმრეს ივანე წიკლაური.

დაკითხვისას წიკლაურმა განაცხადა: ტოტიევი ეტლით წაიყვანა სოფ. კობის მიმართულებით და სოფ. სიონის იქით ღამის 10 საათზე, მას დაეწიენ სოფ. არშაში მცხოვრები ილია ბაზალი და სოფ. ყაზბეგში მცხოვრები ლევან ჩოფიკაშვილი და ტოტიევი გაძარცვეს. შემდეგ რა უყვეს ტოტიევს მან არ იცის.

წინასწარი გამოძიებიდან გამოირკვა შემდეგი: ამა წლის 17 აგვისტოს, **ივანე წიკლაური, ლევან ჩოფიკაშვილი** და **ილია ბაზალი** ურთიერთი შეთანხმებით, შეიარაღებულნი, სამხედრო გზაზე სოფ. სიონიდან 3 ვერსის დაშორებით თავს დაესხნენ **ნიკოლოზ ტოტიევს**—ხანჯლით მოკლეს ის; წაართვეს 5.000 მანეთი. ტოტიევის გვამი გადააგდეს ხევში და მიიმალნენ. არ გასულა დიდი ხანი, რომ ყველა ბოროტმოქმედი დააპატიმრეს.

დაპატიმრების დროს წიკლაურს აღმოაჩნდა 1023 მანეთი, ჩოფიკაშვილს—870 მანეთი, ხოლო ბაზალს კი 837 მანეთი.

ზემოთჩამოთვლილ ყაჩაღების საქმე, 17 დეკემბერს, გაირჩევა ყაზბეგში აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს მიერ—ამხ. შ. ოდილავაძის თავმჯდომარეობით.

გასამართლება საზოგადო-საჩვენებელი ხასიათისაა.

ხელოვნება

კომპოზიტორ არაყიშვილის ვოკალურ ნაწარმოებთა საღამო

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა არაყიშვილის რომანსების საღამო ცნობილ საკონცერტო მომღერალ ქალის დანიელიანის შესრულებით. რომანსების მუსიკალური ლიტერატურა ვოკალურ ლიტერატურის სრულიად განსაკუთრებულ დარგს წარმოადგენს. ახალი ფორმაციის რომანსი, რომელიც შეთანხმებულია ხელოვნების ამ დარგის ევროპიულ და რუსულ ნიმუშებთან, მოითხოვს მუსიკალურ შინაარსს და მკაფიო სახეს და აგრეთვე ლიტერატურულ შინაარსს. ამ მხრივ არაყიშველს უჭირავს ერთი-ერთი უპირველესი ადგილი, ევროპიული მასშტაბით, რომანსების ავტორებს შორის. ყველა მისი რომანსები გარდა მომაჯადოვებელი მელოდიურობისა აგრეთვე შინაარსიანი არიან. არაყიშვილის რომანსების დიდი უმრავლესობა ქართულ პოეზიიდან არის აღებული (ი. ჭავჭავაძე, გ. ქუჩიშვილი, იაშვილი, ი. გრიშაშვილი, ს. აბაშელი), ზოგიერთები რუსულ პოეზიიდან (პუშკინი, ფეტი და სხვ.). განსაკუთრებით დიდ შთაბეჭდილებას სტოვებენ რომანსები „ურმული“ (რომელიც ძლიერ ახლოა ნამდვილ ხალხურ მელოდიასთან) „გაზაფხული“, „ჩემი ფიქრები“, „შუა ღამე“, „საწყლის საფლავი“, „დარდი“, „საქართველოს მთებზე“. რომანსების შემსრულებელი დანიელიანის ქალი სავსებით დამთავრებული საკონცერტო მომღერალია. მსახიობი კარგად იცნობს არაყიშვილის შემოქმედების მუსიკალურ შინაარსს. შესრულება მხატვრულია, კოლორიტის დამთავრებულობით ავსებს რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობის პიანისტი ქალის გრიქუროვას მშვენიერი აკომპანიმენტი.

მუსიკოსი.

დამსახურებულ მსახიობის ევგენი ვრონსკის კონცერტი

ჯერ კიდევ დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ვოკალური ფაკულტეტის პროფესორი ევგენი ვრონსკი იყო ოპერის მსახიობი. ეხლა ვრონსკიმ დასტოვა ოპერის სცენა, რაც სამწუხაროთ მიგვაჩნია, ვინაიდან მომღერალის ხმა წინანდებურათ მშვენიერათ ისმის, ხოლო ტეხნიკურ და მუსიკალურ დამთავრებულობის მხრივ ვრონსკი მეტად შორს წავიდა. აირჩია რა პედაგოგიური მოღვაწეობა, ვრონსკიმ შექმნა საკუთარი სკოლა და მისი კლასი ერთ-ერთი სერიოზულთაგანია კონსერვატორიაში. მომღერლები ანდღულაძე და ბადრიძე მისი მოწაფეებია.

კონცერტის მთელი პროგრამა, რომელშიაც წარმოდგენილი იყო უმთავრესად რუს კომპოზიტორების შემოქმედება, შესრულდა თვით ვრონსკიმ. კულტურულ და მუსიკალურ შესრულების მხრივ მომღერალმა ყველაზე კარგათ შეასრულა მუსორგსკის, ცეზარ კიუის და რახმანინოვის რომანსები და სიმღერები.

მსახიობმა ხალხით მრავალრიცხოვან აუდიტორიაზე საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა.

მუსიკოსი.

მუშათა კლუბების რეპერტუარი

საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილების სამხატვრო კომისიამ დაამტკიცა მუშათა კლუბებში დასადგმელ პიესების რეპერტუარი.

სახატვრო კომისიის მიერ ნებადართულია დასადგმელად შემდეგი ქართული პიესები:

„სამი სიცოცხლე“, „ბეგეპკორი“, „ნომერი 21 ჯვრით“, „ვინ არის დამნაშავე“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ცოდვა“, „მალაროს უფროსი მუშა“, „რევოლიუციის რიჟრაჟზე“, „მსხვერპლი“, „სიმონა“, „ჯალათი მამა“, „როს ნადიმობდენ“, „მეზობლები“, „გზა ჯვარედინზე“, „ნილაბ ქვეშ“, „სტუმარ მასპინძლობა“, „სოფლის გმირები“, „სურამის ციხე“, „სოფლის ფერშალი“, „დამნაშავეა“?, „დარისპანის გასაჭირი“, „გლეხთა განთავისუფლების პირველი დღეები“, „საღამოს ერთი ცხვირიც ხეირია“, „დედის ერთა“, „უმუშევარნი“, „უბედურება“, „ბატონი და ყმა“, „არსენ ჯორჯიაშვილი“, „სიმართლე“, „გამცემი“, „დედინაცვალი“, „სადარაჯოზე“, „სიკვდილით დასჯა“ და „თეთრი ღენერალი“.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

◆ **„თამარ ცბიერი“.** 10 დეკემბერს, ოპერის თეატრში პირველად ამ სეზონში წარმოდგენილი იქნება ბალანჩივაძის ოპერა „თამარ ცბიერი“.

◆ **„ცოდვა“.** დღეს, მუშათა თეატრში რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება „ცოდვა“.

◆ **„ფაუსტი“.** დღეს, ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ფაუსტი“.

◆ **წითელარმიელთა და ფლოტის** საზამთრო კლუბის გახსნა მოხდება 11 დეკემბერს ყოფ. მცირე წითელ თეატრში.

◆ **ხელოვანთა სასახლეში ორშაბათს** გაიმართება მორიგი საღამო.

◆ **ოპერა მუშებისათვის.** ახლო ხანში ოპერის დასის მიერ მუშათა თეატრებში დაიწყება საოპერო წარმოდგენების მართვა.

◆ **პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია** სცემს პროლეტარულ მწერლების ანტოლოგიას.

◆ **ახალი წიგნი.** იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა პროლეტარულ პოეტის პეტრე სამსონიძის ლექსების წიგნი.

◆ **„2 იანვარი“.** თეატრის დღესასწაულის დღეს 2 იანვარს გამოვა სპეციალური ჟურნალი: „2 იანვარი“.

◆ **ხელოვანთა სასახლეში,** კვირას სალ. 6 საათზე, პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წევრთა შორის ამხ. **ვ. ლუარსამიძე** გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „სტაბილიზაციური განწყობილებანი პროლეტარულ ლიტერატურაში“.

— **სურათები.** რედაქციამ მიიღო წიგნის მაღაზია „განათლების“ გამოცემა შოთა რუსთაველისა და „მსახიობთა ჯგუფი“-ს სურათი.

— **„ოხუნჯობა“.** გამოვიდა და იყიდება სერგია ერისთავის „ოხუნჯობა“.

განათლების ფრონტზე

სახალხო განათლება შორაპნის მაზ-ში

მიმდინარე სასწავლო წლისათვის შორაპნის მაზრაში მუშაობს სამი ცხრაწლედი სხვადასხვა განხრებით, 27 შვიდწლედი და 116 ოთხწლედი, ოთხწლედებიდან ერთი არის სომხური და ერთიც ბერძნული. წელს გახსნილია აგრეთვე გლეხური ახალგაზრდობის სკოლა სოფელ კიცხში. გარდა ამისა დაბა საჩხერეში მოწყობილია ერთი სასოფლო-სამეურნეო სკოლა, ხოლო სოფელ ძირულაში კერამიკული სკოლა, ერთი რკინის გზის სკოლა და ერთიც ტეხნიკუმი. მთელს მაზრაში მუშაობს 37 კლუბი და სამკითხველო წერა-კითხვის უცოდინარობის ხალიკვიდაციო პუნქტებით.

ექსპორტი

ვაჭრობა უცხოეთთან

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სამმართველოში შესდგა თათბირი, რომელზედაც გამომუშავებული და დამტკიცებული იქნა ამიერ-კავკასიიდან საზღვარ-გარეთ საქონლის გატანის გეგმა იანვარსა, თებერვალსა და მარტში. გეგმის მიხედვით, მიმდინარე წლის მეორე მეოთხედში ამიერ-კავკასიიდან საზღვარ-გარეთ გატანილი იქნება 4435 ათასი ტონა საქონელი: მათ შორის სახ. ვაჭრობის სამმართველო გაიტანს 3,716,700 ტონა საქონელს, დანარჩენს კი სხვადასხვა ეკონომიური ორგანიზაციები.

გატანილი საქონელი

ა.-კ. სახ. ვაჭრობის სამმართველოს ცნობით, ნოემბრის მეორე ნახევარში ა.-კავკასიიდან დასავლეთ ევროპაში გატანილი იქნა 142,831 ტონა საქონელი 6.129.000 მან. ღირებული. აქედან გატანილია: ნავთის პროდუქტები — 127.618 ტონა, 5.198.000 მანეთის, სას.-სამ. ნაწარმოები —668.000 მანეთის, შავიქვა — 263 ათასი მანეთის.

გლეხური ახალგაზრდობის სკოლები

ნოემბრის შუა რიცხვებიდან ქუთაისის მაზრაში გლეხების მოთხოვნილების თანახმად მოეწყო კიდევ ოთხი ახალი გლეხური ახალგაზრდობის სკოლა, რომელიც ახალგაზრდებს, საერთო განათლებასთან ერთად,—აძლევს პრაქტიკულ და თეორიულ სამეურნეო ცოდნას. სკოლების ხელმძღვანელებად მოწვეულნი არიან გამოცდილი აგრონომები და უმაღლესი აგრონომიული განათლებით აღჭურვილი მასწავლებლები. გლეხური ახალგაზრდობის სკოლები გახსნილია შემდეგ რაიონებში სოფელ **ტყაჩირში** (ქუთაისის რაიონი), სოფელ **ორპირში** (ხრესილის რაიონი) სოფელ **ხვირში** (სვირის რაიონი) და სოფელ **ცხუკურში** (ხონის რაიონი).

ნოემბრის შუა რიცხვებში გაიხსნა აგრეთვე პირველ დაწყებითი შრომის სკოლა—ოთხწლედი სოფელ ფერსათში (ბაღდადის რაიონში). ხოლო სოფელ გელათში მოწაფეთა ნაკლებობის გამო პირველდაწყებითი სკოლა დაიხურა. ქუთაისის სიახლოეს გამო—(10 წუთის სავალია მატარებლით) მშობლები არჩევენ ბავშვების ქუთაისის ოთხწლედებში გაგზავნას.

შავი ზღვის რკინისგზა

1926—27 წლისათვის შავი ზღვის რკინის გზის საამშენებლო სამმართველოს დამუშავებული აქვს რკინის გზის გასაყვანად შესასრულებელ სამუშაოების სამი ვარიანტი.

პირველი ვარიანტის მიხედვით საამშენებლო მუშაობათა შესასრულებელი ხარჯთ-აღრიცხვა უდრის ორ მილიონ მანეთს. დამუშავებული ვარიანტები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სამუშაოების სიდიდით, რომელიც უმთავრესად შეეხება ხიდების აგებას.

მესამე ვარიანტის მიხედვით სამმართველოს გათვალისწინებული აქვს რუხისწყალის ხიდის აგების დამთავრება, და კოდორის ხიდის ასაგებ მუშაობის დაწყება.

ზამთრის განმავლობაში მუშაობა რკინისგზის სა[illegible]რეთ უ[illegible]ხში გაგრძელდება. ამჟამად რკინის [illegible]ის გაყვანა დამთავრებულია ზუგდიდიდან [illegible] კილომეტრის მანძილზე.

ტყის დაწვა

ამ ორი დღის წინეთ ცეცხლი გაუჩნდა სალორიის ტყეს ქუთაისიდან 6 ვერსის დაშორებით.

ცეცხლი გაჩნდა ექვს სხვადასხვა ადგილას და ჩქარა მოედვა ტყის დიდ სივრცეს.

ცეცხლის ადგილას დაუყოვნებლივ გამოცხადდენ ქუთაისის მოხალისე ცეცხლის მქრობელთა რაზმი და მესანგრეები. რამოდენიმე საათის შემდეგ ხანძარი ჩაქრობილი იქნა.

ზარალი საგრძნობია. გაზაფხულიდან შეუდგებიან დამწვარი სივრცის ახალი ტყით გაშენებას.

ფეხბურთი

სამი შეჯიბრი

კვირას, 12 დეკემბერს, ლენინის სახელობის სტადიონზე იწყება ქალაქის პირველობის გათამაშება პირველი კატეგორიის გუნდებს შორის.

ამ დღეს სტადიონზე გაიმართება სამი კალენდარული შეჯიბრი. პირველ შეჯიბრში ერთმანეთს შეხვდებიან „დურუჯი“ და „სინათლე“.

მეორე შეჯიბრი გაიმართება წითელ არმიის და ფლოტის სახლის გუნდსა („წ. ა. ფ. ს.“) და სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის გუნდს შორის.

მესამე და ყველაზე უფრო საინტერესო შეჯიბრი — „დინამო“-სა და „არსრაიონს“ შორის.

შეჯიბრები ჩატარებული იქნება ერთეულების სისტემით.

პირველი შეჯიბრი დაიწყება დილის 11 საათზე.

მეცნიერება და ტეხნიკა

არაჩვეულებრივი სიძლიერის ელექტრონული სხივები

დ-რმა კულიჯმა (ნიუ-იორკი) დაამზადა ახალი „კატოდური მილი“, რომლის საშუალებით მან მიიღო არაჩვეულებრივი სიძლიერის სხივები. კულიჯის მილი შეიცავს რამდენიმე მილიარდ ელექტრონს, რომლებიც მოძრაობენ 225 ათასი ვერსის სისწრაფით საათში. მილს ჰკვებავს 350 ათასი ვოლტის სიძლიერეს მქონე ელექტრო-დენი. მილს შეუძლია იმდენივე ენერგიის მოცემა, რამდენსაც იძლევა ერთი ტონა რადიუმი.

კულიჯის კატოდური მილის ზეგავლენით სხვადასხვა ნივთიერებანი განსაცვიფრებელ ცვლილებებს განიცდიან. ასე მაგალითად აცეტილენის გაზი მათი ზეგავლენით იქცევა მაგარ სხეულათ, რომელიც დღემდე ვერც დაშალეს და ვერც ის გამოარკვიეს, თუ რისგან შესდგება. ქვა-მარილის გამჭვირვალე კრისტალები შავდებიან. მილის სხივები საბოლოოთ კლავენ ბაქტერიებსა და მათ ჩანასახებს, ბაჭიას ამ სხივების ზეგავლენით $^{1}/_{10}$ წამის განმავლობაში სრულიად გასცვივდა ბალანი. ასძვრა ტყავი, მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ ტყავი ისევ გაუჩნდა და გაეზარდა არაჩვეულებრივათ გრძელი, თეთრი ბალანი.

ერთ-ბორბლიანი ველოსიპედი

ბერლინში უკანასკნელ ხანებში ხმარებაში შემოვიდა მრავალი, ძლიერ საინტერესო კონსტრუქციის ველოსიპედი. მათი დამახასიათებელი თავისებურობა იმაში მდგომარეობს, რომ მათ აქვთ, მხოლოდ ერთი ბორბალი.



ასეთი ველოსიპედების ნახვა წინედ შეიძლებოდა მხოლოდ ცირკებში და ჯდომა მათზე ძლიერ ძნელი იყო, მაგრამ თანამედროვე კონსტრუქცია, ნაწილების მოხერხებულათ განაწილებით, შესაძლებლად ხდის წონასწორობის ადვილად დაცვას მათზე ჯდომის დროს.

იურიდიული დახმარება

კანონიერია თუ არა ჩემი მოთხოვნა და ვის მივმართო ამის შესახებ

კითხვა

მე ვმსახურობ ტრამვაის მეურნეობაში 1925 წლის 20 ნოემბრიდან. მიღებული ვიყავი ეზოს მუშად მეოთხე თანრიგით დაკისრებული კი მქონდ და მეცხრილის მოვალეობა 1-ლ იანვრიდან 1926 წ.

1-ლ ოქტომბერს (1926 წელს) დანიშნული ვიყავი მეცხრილეთ მე-10 თანრიგით. 1-ლ ოქტომბერს ა. წ. ჩამოყენებული და გადაყვანილი ვიქენი კვლავ ეზოს მუშად. ოქტომბრის თვეში მივიღე ჯამაგირი მე-10 თან. მიხედვით, ნოემბრის თვის ჯამაგირი 1-ლ ნახევრისა, როგორც ჩამოყენებულმა 10-დან მე-4-დე გამისწორეს ანგარიში მე-10-თე თანრიგის მიხედვით.

დღიდან ჩემი სამსახურში დადგომისა 20 მაისს 1925 წ. არ მისარგებლია შვებულ. 15 ნოემბ. ვითხოვე შვებულება და მომეცა 20 მაისიდან 1925 წ. 31 დეკემბრამდე 1926 წ. სულ 19 ნახ. თვის—2 (ე. ი. 3 9დღის). შვებულების ანგარიში კი დირექცია მისწორებს საშუალო ხელფასის მოცემით ა. წ. სექტემბრის, აგვისტოს და ივლისის თვეების მიხედვით (ე. ი. მე-4-ე თანრიგით) მე კი ვთხოულობ ანგარიშის გასწორებას საშუალო ხელფასის მიღების ოქტომბრის, სექტემბრის და აგვისტოს თვეების მიხედვით და ისიც არა ნაკლებ ოქტომბერში ჩემ მიერ მიღებულ ხელფასისა მე-10-ე თანრიგით.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას კანონიერია თუ არა ჩემი მოთხოვნილება და თუ კანონიერია, ვის უნდა მივმართო, რომ დაკმაყოფილებული ვიქნე.

ტრამვაიელი მუშა ხუციევი.

პასუხი

თანახმად ამ. კავ. შრომის სახკომის 1924 წ. 14 ივლისის დადგენილება № 70-ისა და მისივე 1923 წ. 15 ოქტომბრის დადგენილებისა, თქვენი მოთხოვნა კანონიერია, ხოლო თუ ადმინისტრაცია თქვენ ამას არ გაძლევთ ნებაყოფლობით, მიმართეთ შრომის სასამართლოს.

დატვირთვის ჯილდოს შესახებ

კითხვა

მე ვმსახურობ ნადის თავად ქუთაისის რკინისგზის სადგურზე. ამა წლის პირველ აპრილამდე ვღებულობდი დატვირთვას 50 პროცენტის რაოდენობით. პირველ აპრილიდან კი გამინახევრეს და ამჟამად ვღებულობ მხოლოდ 25 პროც. სხვებს კი, ასეთ სადგურების ნადის თავები, მაგალითად სენაკის, სამტრედიის, ზესტაფონის, შორაპნის ღებულობენ 50 პროც. სადაც გაცილებით ნაკლები სამუშაოებია. როგორც გზის ოსტატები, ისე მათი სადგურში მყოფი ნადის თავები ღებულობენ 50 პროც. დატვირთვას. მე კი 25 პროც. მაქვს სამსახურის 45 წლის სტაჟი.

ამიტომ გთხოვთ ახსნა-განმარტებას, როგორ მოვიქცე და ვის მივმართო თხოვნით, რომ მომეცეს დატვირთვა 50 პროცენტის რაოდენობით.

ქუთაისის სადგურის ნადის თავი **სიმონ ლუტიძე.**

პასუხი

დატვირთვის დანიშვნა სავსებით დამოკიდებულია ადმინისტრაციის სურვილზე და შეხედულებაზე ამა თუ იმ მუშაკის შრომის პირობებთან და მუშაობის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით. კანონით დატვირთვის ჯილდო მიეცემათ მხოლოდ პასუხისმგებელ მუშაკებს, რომელთა სამუშაო საათების აღრიცხვა შეუძლებელი ხდება. დატვირთვის ჯილდო გამოიანგარიშება ძირითად ხელფასთან დაკავშირებით 10-დან—50 პროცენტამდე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბ-

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლ. სამ. კოდექსისათვის 205-^{1} მუხლის დამატებისა და იმავე კოდექსის 228^{1} მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-თ დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამ. კოდექსს დაემატოს 205-^{1} მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„მუხ. 205-^{1}. ჟენევის საერთაშორისო 1906 წლის კონვენციით დაწესებული საარმიო სასანიტარო სამსახურის ემბლემისა და განსხვავებული ნიშნის („წითელი ჯვარი“ და „წითელი ნახევარ - მთვარე“), აგრეთვე „წითელი ჯვარისა“ და „წითელი ნახევარ - მთვარის“ სახელწოდების გამოყენება სათანადო უფლების გარეშე, კომერციული მიზნისათვის საფაბრიკო და სავაჭრო ნიშნის სახით ან, საერთოდ, ამა თუ იმ პირადი სარგებლობის მისაღებად გამოიწვევს:

თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე ქონების ნაწილის კონფისკაციით ან ჯარიმას 1000 მანეთამდე“.

2. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლ. სამ. კოდ. 228-^{1} მუხლის რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად:

„მუხ. 228-^{1} „წითელი და შრომის დროშის“ ორდენისა, აგრეთვე „წითელი ჯვრისა“ და „წითელი ნახევარ - მთვარის“ ნიშნის ტარება ისეთი პირის მიერ რომელსაც ამის უფლება არა აქვს, გამოიწვევს.

ჯარიმას 100 მანეთამდე ორდენის კონფისკაციით და საზოგადოებრივ გაკიცხვას, რაც გამოქვეყნებულ უნდა იქნეს პრესაში მსჯავრდადებულის ხარჯით“.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—**ფ. მახარაძე.**

სრულიად საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე—**შ. ელიავა.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი—**ს. თოდრია.**

1926 წ. თბილისი—სასახლე.

ს. ს. ს. რესპუბლიკის სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს

1926 წ. 7 დეკემბერი.

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად—(ა. წ. 15 ოქტომბრიდან ბრძ. № 69 — § 1, 8, და 9) მოსახლეობის აღწერის შესახებ, — წინადადება მიეცეს საქ. ს. ს. რესპუბლიკის, აფხაზეთის ს. ს. რესპუბლიკის, აჭარისტანის ავტ. ს. ს. რესპუბლიკისა და სამხრეთ - ოსეთის ავტონომიურ ოლქის — სახელმწიფო სტატისტიკის ყველა ორგანოებს, რათა:

1. 1926 წლის 17 დეკემბერს საქ. საბჭ. სოც. რესპუბლიკის აფხაზეთის ს. ს. რესპუბლიკის, აჭარისტანის ავტ. ს. ს. რესპუბლიკის და სამხრეთ - ოსეთის ავტონომ. ოლქის ფარგლებში—დაწყებულ იქნეს მოსახლეობის აღწერა, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო ნაწილებისა—აღწერის წარმოების შესახებ ადგილებზე დაგზავნილ ინსტრუქციების თანხმად.

2. დაევალოს საქ. ს. ს. რესპუბლიკის, აფხაზეთის ს. ს. რესპუბლიკის, აჭარისტანის ავტ. რესპუბლიკისა და სამხრეთ - ოსეთის ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთ, რათა სწორი ცნობები მიაწოდონ რეგისტრატორებს (აღმწერლებს) აღწერის ყველა კითხვაზე.

ცნობის მიცემაზე უარისათვის დამნაშავე პასუხისგებაში იქნეს მიცემული, როგორც მთავრობის განკარგულების შეუსრულებლობისათვის (საქ. ცაკისა და სახ. კომ. საბჭოს დადგენილება ა. წ. 15 ნოემბ. § 10).

3. აღწერა დამთავრდეს ქალაქებში 7 დღის და სოფელ ადგილებს ორი კვირის განმავლობაში.

4. აღწერის გათავების შემდეგ ინსტრუქციის თანახმად მთელი მასალა, გადაეგზავნოს საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს.

საქ. სტატ. ცენტრ. სამ. მმართველი **ა. რუხაძე.**

მდივანი—**შიშინაძე.**

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ ვამოაცხადოთ შემდეგი: მე ვირიცხებოდი მენშევიკურ პარტიაში 1917 წლიდან. ამ პარტიის პირწავარდნილ კონტრ-რევოლიუციონერობაში დავრწმუნდი ჯერ კიდევ 1920 წელში და იმის შემდეგ ყოველივე კავშირი გავწყვიტე მასთან. დღემდე შემთხვევა არ მქონდა და ამის შესახებ გამეკეთებინა განცხადება. ვინაიდან ჩემი ყოფილი მენშევიკობა ზოგიერთებში შეიძლება კიდევ რაიმე იჭვებს იწვევდეს, მე იძულებული ვარ პრესის საშუალებით ერთხელ კიდევ განვაცხადო ის, რაც სიტყვიერათ მითქვამს ამხანაგებისათვის: მენშევიკურ პარტიის საბოლოოთ შევაქციე ზურგი ჯერ კიდევ ექვსი წლის წინათ. დღეს სავსებით ვდგევარ კომპარტიის რევოლიუციონურ დროშის ქვეშ და ფიცს ვდებ, რომ ჩემ ამხანაგებ მუშებთან ერთად ამ დროშის გზას არ გადაუხვევ.

რკ. გზ. მთავ. სახელ. მუშა **ნიკ. ბერიაშვილი.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კომ. პარ. (ბ) თბილისის კომიტეტის აღრიცხ.-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას იძლევა დღეს, 9 დეკემბერს, გამოცხადდენ თბ. კომ. აღრიც.-განმანაწ. განყოფილებაში ამხ. ჩარკვიანთან შემდეგი ამხანაგები:

1) ბუხშტაბა აბრამ ვოლფისძე, 2) მაჩიხინი ალექსანდრე მიხეილისძე, 3) ისკანდაროვი ქერიმ აბდულ-ოღლი და 4) ჩალაძე ალექსი.

— პარასკევს, 10 დეკემბერს, დილის 10 საათზე შესდგება **საქ. კომ. პარ. (ბ) თბილ. კომიტ. პრეზიდიუმის სხდომა.** სავალდებულოა თბილ. კომ. პრეზიდიუმის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება.

— **საქ. კომ. პარ. თბილისის ორგანიზაციის მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილება** იუწყება, რომ დღეს, 9 დეკემბერს, საღამოს 5½ საათზე მე-5 შრომის სკოლის შენობაში (ჟუკოვის, 5), გაიმართება იმ დელეგატ-ქალთა მეცადინეობა, რომლებიც ჩაწერილი არიან რუსულ და ქართულ კოოპერატიულ სექციებში.

სავალდებულოა ყველა აღნიშნულ დელეგატ-ქალთა დასწრება.

— **თბილისის ტრამვაის კომუჯრედთა** კოლექტივის ბიურო წინადადებას აძლევს ქვემოაღნიშნულ ამხანაგებს დღეს, დილის 9-3 საათამდე გამოცხადდენ ბიუროში (მუშტაიდის შესახ.) აღწერაში გასატარებლად:

1) მელნიკოვი თედორე, 2) ლისოვსკი, მ. 3) არუსტანოვი გრიგოლი, 4) იტრიევი ვასილი, 5) გოგუაძე კონსტანტინე, 6) გრიგოლია პლატონი, 7) გოგიშვილი კონსტანტინე, 8) გაერიში ევგენი, 9) ჯაფარიძე კონსტანტინე, 10) ზურნაჯიანცი, 11) იგნატიევი ტიმოფეი, 12) კირეულაშვილი ალექსანდრე, 13) ლოგინოვი ალექსი, 14) ლებედევი პეტრე, 15) მანგიაშვილი ზაქარია, 16) მარკინი ივანე, 17) ნუცუბიძე მიტროფანე, 18) ოგანესოვი გარეგინი, 19) სალუქვაძე კონსტანტინე, 20) თვალაძე ალექს., 21) ალადაძე ნინა, 22) ალადაძე კონსტანტინე, 23) ბელქანია ალექსანდრე; 24) ჯინორია, 25) ქუჩმაზაშვილი ტიტე.

— **სოფლისა და ქალაქის კავშირის თბილისის** საბჭოს სარევიზიო კომისიის სხდომა გაიმართება შაბათს, 11 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე თბ. კომ. მდივანის ამხ. ასრიბეკოვის კაბინეტში.

— ს. კ. პ. (ბ) ცეკას აგიტპროპში 11 დეკემბერს მოწვეულია **ანტირელიგიურ კომისიის სხდომა.** დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის: იმედაძე, ასრიბეგოვი, არუთინოვი, მხიტაროვი, შუშანია, ორაგველიძე, ნაჯაფოვი, ორდოჯი, ცქვიტაიძე და დიმოევი.

— **საქ. კომ. პარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისია** წინადადებას აძლევს ამხ. ნ. სოსელიას, რათა 9—10 დეკემბერს გამოცხადდეს საკონტროლო კომისიაში. (რუსთაველის პროსპექტ. 24, მესამე სართული ოთახი № 9).

— **ს. კ. პ. ცენტრალური საკონტროლო კომისია** წინადადებას აძლევს ამხ. აკოპიანცს (პარტბილეთი № 19025), რათა 9—10 დეკემბერს გამოცხადდეს საკონტროლო კომისიაში. (რუსთავ. 24, მესამე სართული, ოთახი № 9).

— **ს. კ. პ. ცენტრალური საკონტროლო კომისია** წინადადებას აძლევს ამხ. იაკინთე ჩიხლაძეს, რათა 9—10 დეკემბერს გამოცხადდეს საკონტროლო კომისიაში. (რუსთავ. 24, მესამე სართული, ოთახი № 9).

— **ს. კ. პ. ცენტრალური საკონტროლო კომისია** წინადადებას აძლევს ამხ. ვალიკო გვეშიძეს, რათა 9—10 დეკემბერს გამოცხადდეს საკონტროლო კომისიაში. (რუსთაველის 24, მესამე სართ. ოთახი № 9).

— **ს. კ. პ. ცენტრალური საკონტროლო კომისია** წინადადებას აძლევს ამხ. ვლადიმერ თოდრიას, რათა 8—9—10 დეკემბერს გამოცხადდეს საკონტროლო კომისიაში. (რუსთავ. 24, მესამე სართ. ოთახი № 9).

— **ლენრაიონის განათლების მუშაკთა № 24 კომუჯრედის ბიურო** იუწყება, რომ ხუთშაბათს, 9 დეკემბერს; საღამოს 6 საათზე მე-5 პარტსკოლის შენობაში (პლეხანოვის პრ., № 166), შესდგება **კომუჯრედის სხდომა.**

მალაქია და ზინა ცეცხლაძენი, მალხაზ და მარიამ კაკაბაძენი და პოლიკარპე კაკაბაძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს პირველნი ერთადერთ შვილის, მეორენი შვილიშვილის და მესამე საყვარელი დის წულის პატარა

ნათელას

გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება ქ. ბათომში დღეს ხუთშაბათს, 9 დეკემბერს ნაშუადღევის 4 საათზე. 871

ღრმად დამწუხრებულნი დედა ლისა, ძმები—პავლე, ვანო, შალვა და მათი ოჯახობა მარო და კეკელა კავჟარაძენი აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს

მიტროფანე ევსტათეს-ძე კავჟარაძის

გარდაცვალებას. დასაფლავების დღეთ არის დანიშნული 9 დეკემბერი, ხუთშაბათი, პანაშვიდი—დღეს, საღამოს ხუთ საათზე, გამოსვენება დღის სამ საათზე ვერის სასაფლაოზე. მისამართი—ამაღლების ქ. № 29 შვინდის პირველი ჩიხი № 7. 856 2—1

ღრმად დამწუხრებული ვასილ ექვთიმესძე სანაკოევი, ცოლით ბაბილინათი (ბაბუცა) და პატარა ნანათი აუწყებენ ყველა ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 7 დეკემბერს დილის 11 ს, 45 წ. ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და მუდამ წამს მოსაგონარი პირველის სიმამრი, მეორესი საყვარელი მამა, ხოლო მესამების ბაბუა

ბედევან ბართლომეის ძე ჭიჭინაძე

გამოსვენება მოხდება 9 დეკემბერს ნაშუადღევის 3 საათზე საკუთარ ბინიდან ელისაბედის ქუჩ. № 230. ქვ. 870

გაუბედურებულნი ტკბილი დედის დაკარგვით შვილები: მანია, ხადია, ანიჩკა, ნინა და მიშა; რძლები: მარო და ფატი; სიძეები: სერგო ქორქოლიანი, ვასო ნაცვლიშვილი და საშა ჩხეიძე და შვილიშვილი თინიკო გლოვობენ მოულოდნელად, ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 8 დეკემბერს დაკარგვას

ნინო კონსტანტინეს ასულის ქუთათელაძის

პანაშვიდი ყოველ დღე სალ. 6 საათზე, ქალ. მეორე საავადმყოფოში (ყოფ. ალექსანდრეს) კამოს ქ. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. დ.

სახელმწიფო დრამა

4—1 ნ. 325

დღეს, 9 დეკემბერს, გრ. რობაქიძის **ლამარა** პიესა 4 კამარად.
დადგმა კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელისა.

შაბათს, 11 დეკემბერს, ნ. შიუკაშვილის. **ამერიკელი ძია**
ორიგინალური კომედია 4 მოქ. და 3 ინტერმედიით.
ლაქიების ინტერმედია, ჩანგანი და კინტოების ინტერ.
დადგმა ალ. ახმეტელისა

კვირას, 12 დეკემბერს, უ. შექსპირის **ჰამლეტ**
ტრაღ. 5 მოქ. 11 სურათად; თარგ. ი. მაჩაბლის
ჰამლეტ—შ. ჩხეიძე
დადგმა: კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელისა

სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.

სახელმწიფო ოპერა

ნ. 324

დღეს, 9 დეკემბერს, აბონემენტს გარეშე **ფაუსტი**
სპრიშევსკაიას, ვოლჩანეცკაიას, კანცბურგის, ქარციველის და მესნიაევის მონაწილეობით

პარასკევს, 10 დეკემბერს, პრემიერა მ. ბალანჩივაძის ოპერა
თამარ ცბიერი ალ. წუწუნავას დადგმით.

აპოლო
არფასტოლ
სოლეი
დარბაზი
(ყოფ. გლობუსი)
0—8 ნ. 287

საუკეთესო სურათი
ნიბელუნგების მესამე და მეოთხე სერია ერთად.
უკანასკნელად თბილისში
ნამუსი რეჟ. ბეკ-ნაზაროვი
პროგრამის გარეშე მიწისძვრა სომხეთში
ანონსი: ამ დღეებში: „ნაჩქარევი ქორწინება“
საუკეთესო სურათი
„ქალი შავახანიდან“ პირველად თბილისში.
კვლავ ეკრანზე „მეჟრაბპომ-რუს“-ის საუკეთესო სურათი
პროცესი სამ მილიონზე ამ დღეებში: „მკვლელის დღე“
ყველა კინოებში უკრავს სიმებიანი ორკესტრი.

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის“-ს მთავარი კანტორა, რუსთველის პროსპექტი № 34

სია

გაზეთ „კომუნისტის“ იმ ხელის მომწერლებისა რომლებიც არ ღებულობენ გაზ. „კომუნისტს“. მისამართების შეცდომის გამო.

№	სახელი და გვარი	ქვითარის №	გაზ. „კომუნ“. რაოდენობა	ხელის მოწერლების მისამართები
1.	ბარძენი	177	1.	ხუცინოვის ქუჩა № 6.
2.	ჯაფარიძე	188	1.	ბელინის ქუჩა № 28.
3.	ქიქინაძე	211	1.	ლომისის ქუჩა № 15.
4.	ჭელიძე	170	1.	1-ლი ნაზარეთის ქუჩა № 14.
5.	შუბაშვილი პეტრე	202	1.	ბარხუდაროვის ქუჩა № 13.
6.	ბიტარაშვილი	126	1.	ანტონოვის ქუჩა № 10.
7.	ჭელიძე	657	1.	ავჭალის შეს. № 4.
8.	სამადლიშვილი	187	1.	საბურთალო, ანაგის ქუჩა № 12.
9.	კოკაშვილი	1802	1.	ბათუმის ქუჩა № 18.
10.	მაკალათია თებრონე	2308	1.	დავიდოვის ქუჩა № 5.
11.	გოზალაშვილი	99	1.	ბაიაზეთის ქუჩა № 6.
12.	ცინცაძე	442	1.	პუშკინის ქუჩა № 13.
13.	ბჟალია	187	1.	ანტონოვის ქუჩა № 10.
14.	ბაზერაშვილი	2262	1.	ზურაბიშვილის ქუჩა № 28.
15.	ქველბანი	2032	1.	ლენინის ქუჩა № 86.

სულ 15 კაცი.

ზემოთ ჩამოთვლილ პირებს წინადადება ეძლევათ 3 დღის განმავლობაში გამოცხადდენ ექსპედიციაში მისამართების შესასწორებლად, რომ გაზეთის გზავნა იქნას აღდგენილი.

ექსპედიციის მისამართი: კამოს ქუჩა № 68, ტელ. 5—48.

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 13 დეკემბერს 1926 წლ. დღის 2 საათ. სახლში № 36 სასამართლოს ქუჩ. საჯარო ვაჭრობით გაყიდის ყაზარა ენუქაშვილის მოძრავ ქონებას: ბუფეტის შკაფს, კედლის პალასს და სხვადასხვა საოჯახო ნივთებს, შეფასებულს 195 მან., ნიკოლოზ გვანცელაძეს ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქალ. თბილისის 1-ლი უბნის სახალხო სასამართლოსაგან 16 ივლის 1926 წლ. თარიღით № 2918 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა 869

ველებულოგ
ყოველგვარ საპარიკმახერო კრესლოების დაკვეთებს. აგრეთვე მსურველთ შეუძლიან შეიძინონ ასეთები ჩემთან. პლეხანოვის პრ. № 120. ცხვარიძეს ეზოში. 846 2—1

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—21

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—1

ექ. ი. დ. თოფურიძე
კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33 იღებს ავადმყოფებს კანის, ვენერიული და სიფილისი (აგრეთვე სასქესო ორგანოთა მწვავე და ქრონიკული დაავადებით).
დილის 8—9 საათ.—საღამოს 4—8 ს

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული სნეულებანი, ელექტრო - სხივებით მკურნალობის კაბინეტი, კვარცთერაპია, იონნო-თერაპია.
მიღება 6—7 საათ. სალ. ლენინის ქ. № 49. ტელეფ. № 4—82. 25—1
ქვ. 798

ექიმი **მ. ა. ლუკოვეცკი**
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—

ექიმი
მეზრაბიანცი
ფილტვების, ყელის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური მთის მზე. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და სალ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 852 25—1

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

სახელმწიფო უნივერსიტეტის
კბილის სნეულებათა
კლინიკაში
პლეხანოვის პროსპექტი № 1[illegible]6), საღამოობით 4—6 საათამდის ავადმყოფები მიიღებიან უფასოდ. 12—5

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული და სიფილისი დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6-დან 8-მდე პლეხანოვის № 7 (ვორონცოვის ყოფ. ძეგლთან) შესავალი სახლის კუთხიდან.

ექიმი **ჯალალოვი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 25—5

ექიმი **ა. ს. ფონ-ირტელი**
პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი“).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების მუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 25—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3. 5

ექიმი-ქალი
თოფურიძე-ფანიევა
იღებს ქალთა და საბებიო სნეულებით დაავადებულთ. საღამოს 5-დან 7 საათამდე.
მისამართი: ლადო დუმბაძის ქ. 10 (ყოფ. ველიამინოვის ქ. ერევნის მოედნის ახლოს) ტელ. 19—12. 25—

ექიმი
მ. ს. არჯევანიძე
გადავიდა
ლენინის ქუჩა № 3 (ყ. მელიქ აზარიანცისა) სამეანო და ქალთა სნეულებით. დღის 2—4 სათ. და საღამოს 6—7

ყველასათვის ხელმისაწვდომი
სამშობიარო თავშესაფარი
ს. ივ. არარატოვისა
რესის (ყოფილი დიდი ვანქის) ქ. № 6. სამშობიაროდ მიღება—25-დან 50 მანეთამდე. მშობიარობა და შემდეგ კვება 7 დღის განმავლობაში. ქალთა სნეულებებისათვის—2 მ. 50 კაპ.—4 მანეთამდე. 25—

ექიმი ა. დ. შაკპაზიანი
ქალთა, სამეანო და ქალთა საშარდო სნეულებათა ავადმყოფების მიღება ყოველდღიურათ საღამოს 5-დან 7 საათამდე; დუმბაძის ქ. 30 (ყოფილი ველიამინოვის ქ.) 25—1

ექიმი
ს. ი. ვოლოხი
განაახლა ავადმყოფების მიღება ქალთა სნეულებანი და საბებიო ავადმყოფობანი. საღამოს 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.
23—1 ყოფილი ბელგიის ქ. № 5

თანახმად საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტის 1921 წლის 28 აპრილის № 28 დეკრეტის 62 მუხლისა, შორაპნის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ სოფ. თეთრაწყაროში შორაპნის მაზრის მცხ. მოქ. იოანე ექვთიმეს-ძე შველიძემ შემოიტანა განცხადება მისი გვარის შველიძის „ლურსმანაშვილზედ“ შეცვლის შესახებ.

მმაჩის ბიუროს გამგე
გ. აბდუშელიშვილი.

სოფ. აგტაგლიიდან გავიდა ხიდირ ალისკანდარ ოღლი და დღემდის არ დაბრუნებულა. ვინც იცის მისი ბინადრობა ვთხოვთ გვაცნობონ სოფ. აგტაგლიაში ფარი მამად ალიგზის. 863

დავკარგე პარტიული მანდატი მოცემული ოზურგეთის მაზრის № 443 ისაკი მირიანისძე ურუშაძის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე მიხეილ იაშვილმა თამასუქი, ხელმოწერილი აფენის კოოპერატივის თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის მიერ, ჩ. გ. 861

დავკარგე უვადო პირადობის მოწმობა და დამზღვევი კასის წიგნაკი გიორგი სვიმონის-ძე ნაზუცრიშვილის სახელზე. ჩ. გ. 857

დავკარგე რკ. გზ. ს მმართველოს მიერ მოცემული პირადობის მოწმობა № 38773 ზახარია კიკნაძის სახელზე, ჩ. გ. 858

დავკარგე რკ. გზ. სამმართველოს მიერ მოცემული პირადობის მოწმობა № 38774 ქეთევან კიკნაძის სახელზე ჩ. გ. 859

დავკარგე სამხედრო სააღრიცხვო ბარათი (ОТРЕЗОК „В“) № 60406 პასპორტი № 25288, აღმშენებელთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 2303 პირადობის მოწმობა მოცემული შავი ზღვის რკინის გზის სამმართველოს მიერ № 163, „ავიაქიმის“ და რემედასის საწევრო წიგნაკი ვიქტორ სიმონის-ძე გოცაძის სახელზე, ჩ. გ. 860

დავკარგე სასურსათო წიგნაკი № 24993 პლატონ ლომთაძეს სახელზე, ჩ, გ. 865

დავკარგე ა. ლ. კ. კ. მანდატი № 3461 გაცემული თბილისის მე-2-რე არს. რაიკომიდან, სასწავლებლის მოწმობა № 57 გაცემული სალამოს 1-ლ ტეხნიკუმიდან. მეტრიკული ამონაწერი № 840 გაცემული ოზურგეთის კომიტეტიდან კონსტანტინე გერასიმესძე დოლიძის სახელზე, ჩ. გ. 866

დავკარგე განათლების მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი თბ. განათლების განყოფილების და სახ. უნივერსიტეტის პედაგოგ. ფაკულტეტის სიტყვიერების დარგის მიერ მოცემულ პირადობის მოწმობა მიხეილ ივანესძე მანწკავას სახელზე, ჩ. გ. 868

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.